

178

1992.

ISSN 0868-4537



ქართული
ინტერნაციონალური
სამართლის ინსტიტუტი

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

საქართველო
15/10-35

12
1992

IUS

TBILISI GEORGIA

მთავარი რედაქტორი
თევდოზა ნინია

სარედაქციო კოლეგია:

ანზო არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),

ველა ბერკენიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ ბაშკალიძე,
როლანდ გილიგაშვილი,
ავთანდილ დემეტრაშვილი,
ტარიელ ჯამბახიძე,
მინილ კეკელია,
მზია ლეკვეიშვილი,
გურამ ლილუაშვილი,
ალექსანდრა ტალიაშვილი,
რუსუდან პიტავა.

გულნარა გოსიკაშვილი
ტიქნიკური რედაქტორი



საქართველო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1992 წლიდან

№12 1992

დეკემბერი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

დემოკრატია და არჩევნები

იაკობ ფუტყარაძე — უშუალო დემოკრატიის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში **2**

პოლიტოლოგია

პაატა ცნობილაძე — სახელმწიფოს პრობლემა თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში **9**

საკითხის დასმის წესით

ალექსანდრე კვაშილავა — დანაშაული და მისი შემადგენლობა **18**

არჩილ ბატიაშვილი, თამაზ გავაშელი, ლევან დეშეტრაძე — ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებას — იურიდიული საფუძველი **25**

აპრარული რეფორმა

თამარ ჩიტოშვილი — საიჯარო კანონმდებლობის შექმნის პრობლემები **28**

საოჯახო სამართალი

ელენე მისკარიანი-შეილაძე — ქორწინება და დაქორწინების წესი **32**

ქართული სამართლის ისტორია

ვალერიან მებრეველი — ებრაული სამართლის ქართული ვერსია **39**

გიორგი ნადარეიშვილი — ბიზანტიური საერო სამართლის ნორმები ქართულ „დიდ სჯულისკანონში“. **46**

დოკუმენტები

კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ **56**

სხვა ჟურნალურიდან

დებატები სიტყვის თავისუფლებაზე **71**



იაკობ ფუტყარაძე

უშუალო დემოკრატიის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომულ სახელმწიფოებრივ მოწყობაში

ამ გამოსვლაში ლაპარაკი იქნება არა მთლიანად დემოკრატიის, კერძოდ, არა წარმომადგენლობითი დემოკრატიის, არამედ მხოლოდ უშუალო დემოკრატიის ადგილსა და მნიშვნელობაზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში.

ორიოდე სიტყვა აქ ნახსენები ტერმინების — „უშუალო დემოკრატიისა“ და „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის“ შესახებ.

უშუალო დემოკრატია პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი ნიშნავს მოქალაქეთა პირდაპირ მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. უშუალო დემოკრატია ხორციელდება სხვადსხვა გზით, როგორცაა არჩევნები, მოქალაქეთა კრებები, სათემო ყრილობები და რეფერენდუმი ანუ სახალხო კენჭისყრა, რომელიც შეიძლება იყოს საერთო-ეროვნული მასშტაბისა, ე. ი. მთელი სახელმწიფოს მომცველი და ადგილობრივი, ე. ი. ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში. უშუალო დემოკრატიის გზით საკითხი ან პირდაპირ გადაწყდება, ანდა მისი საშუალებით გამოვლინდება საზოგადოებრივი აზრი, რასაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკონსულტაციო მნიშვნელობა მიენიჭება.

(რაც შეეხება ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებას, იგი გულისხმობს სა-

* მოხსენება საერთაშორისო სიმპოზიუმზე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებთა აკადემიაში 1992 წლის 13 ოქტომბერს. სიმპოზიუმში მიქცენა თემას — „დემოკრატია და არჩევნები“. იგი გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი იყო მოხსენებები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, რუსეთის ფედერაციიდან და საქართველოს რესპუბლიკიდან (სიმპოზიუმის პროგრამა ითვალისწინებდა ელუარდ შევარდნაძის შესავალ სიტყვას და ამერიკის შეერთებული შტატების 4, გერმანიისა და რუსეთის ფედერაციის თითო და საქართველოს 10 წარმომადგენლის გამოსვლას).

2008

ხელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიულ ორგანიზაციას, მისი შინაგანი ტერიტორიული დაყოფისა და საზოგადოების ეროვნული სტრუქტურის ურთიერთკავშირს. ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება სახელმწიფოს შიგნით საგანგებო ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულების არსებობით გამოიხატება.)

უშუალო დემოკრატია უძველესი ინსტიტუტია. იგი ადამიანთა საზოგადოების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და იქიდან მოყოლებული დღემდე უწყვეტლივ არსებობს. იმ შორულ წარსულში ხომ გვაროვნული საზოგადოება უმთავრესად სწორედ უშუალო დემოკრატის, სახალხო კრებების მეშვეობით წყვეტდა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საქართველოს ამ მხრივ უმდიდრესი ისტორიული წარსული და გამოცდილება აქვს. ქართულმა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ უშუალო დემოკრატის, ხალხური მმართველობის უძველესი გადანამოთური ინსტიტუტების არსებობა საქართველოს მთიან რეგიონებში XX საუკუნეშიც კი დაადასტურა. საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ქართველი მთიელები დღესაც განიხილავენ სათემო ყრილობებზე, რომელთა გადაწყვეტილებანი ხალხში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს, უსიტყვოდ და განუხრელად ხორციელდება.

უშუალო დემოკრატის ტრადიციული ფორმების ფართო გავრცელების მიუხედავად, მისი ისეთი სახეობა, როგორც რეფერენდუმი, საქართველოში მხოლოდ 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა, როცა რესპუბლიკის მოსახლეობამ ხმა მისცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ისე კი რეფერენდუმში გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1921 წელს დააკანონა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ. მართალია, მსოფლიო მასშტაბით რეფერენდუმი პირველად კარგა ხნის წინათ — 1439 წელს ჩატარდა (შვეიცარიაში, ბერნის კანტონში), მაგრამ იგი გლობალურად მაინც ვერ გავრცელდა. მაგ., რეფერენდუმისადმი დიდი ხნის განმავლობაში უარყოფითად იყო განწყობილი ინგლისი. რეფერენდუმი დიდი ბრიტანეთის პრაქტიკაში პირველად XX საუკუნის 70-იან წლებიდან შევიდა. ასე რომ, რეფერენდუმის იშვიათობა საქართველოს მაინცდამაინც დიდ მინუსად არ ჩაეთვლება.

უშუალო დემოკრატის საერთაშორისო-სამართლებრივ ბაზას თანამედროვე პირობებში წარმოადგენს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ამ პაქტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად თითოეულ მოქალაქეს რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა მართვაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. ასეთი შინაარსის ნორმა ასახულია სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებშიც, კერძოდ, ჯოჰანჰაგენის 1990 წლის თათბირის დოკუმენტში. აღნიშნული ნორმის საფუძველზე და მის შესაბამისად ყოველ ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული უშუალო დემოკრატის სამართლებრივი ინსტიტუტი.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების განმსაზღვრელი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო სამართლის სათანადო ნორმები, რომელთაც უპირატესობა აქვთ შიდასახელმწიფოებრივ კანონებთან შედარებით. ისინი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უშუალოდ წარმოშობენ უფლება-მოვალეობებს სახელმწიფო ორგანოებისა და მთელი მოსახლეობისათვის.

საქართველოს
გარეგნული
ბიზანტიზმისა

ქვეყნის უშუალო დემოკრატიის უარყოფამ, მისმა გაუკუღმართებამ საბჭოთა დიქტატურის პერიოდში დაამახინჯა საქართველოს ტრადიციული სახელმწიფო წყობილება, მოშალა საუკუნეობით ჩამოყალიბებული ეროვნული მშვიდობა და საფრთხე შეუქმნა საქართველოს უძველეს სახელმწიფოებრიობას.

უშუალო დემოკრატიის იგნორირებისა და ბოროტად გამოყენების სავალალო შედეგები კარგად ჩანს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის მაგალითზე. ცხინვალის რეგიონის ქართველი მოსახლეობის კრებებზე არაერთხელ გამოხატული წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ქართული ქალაქი ცხინვალი 1922 წელს მაინც გამოაცხადა ოსური ავტონომიის დედაქალაქად. ამის შედეგად ცხინვალი თითქმის მთლიანად გაოსდა და რეგიონში თანდათანობით განხორციელდა ქართველთა ნამდვილი გენოციდი. რეგიონის ქართველი მოსახლეობა თავისთავად სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად გადაიქცა. სახელდობრ, ერთი საუკუნის წინათ ცხინვალში ცხოვრობდა ოსების მხოლოდ სამი ოჯახი, 1989 წლისათვის კი ოსების რაოდენობა აქ რუსეთის ფედერაციიდან მექანიკური მატების ხარჯზე 31 537-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც ქართველთა რიცხვმა მხოლოდ 6905 შეადგინა. ასეთია ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის გენოციდის საბჭოთარი მეთოდი და ნაირსახეობა. აი, ასეთ ვითარებაში სსრ კავშირის კანონმდებლობამ რეფერენდუმის შესახებ ავტონომიებს მისცა იმის უფლება და შეუქმნა შესაძლებლობა, რომ სახალხო კენჭისყრის იმიტაციით თვითონვე გადაეწყვიტათ საქართველოდან გასვლის საკითხი. ამგვარად, უღრესად დემოკრატიული ინსტიტუტი იმპერიული ძალების ხელში უკიდურესად ანტიდემოკრატიულ საშუალებად იქცა და სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

როდესაც ვეხებით უშუალო დემოკრატიის ადგილსა და მნიშვნელობას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში, აუცილებლად წამოიჭრება საკითხი განსახილველ პრობლემასთან რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა მიმართების შესახებ. სახელდობრ, გასარკვევია, თუ რამდენად შეუძლიათ ეროვნულ უმცირესობებს გამოიყენონ უშუალო დემოკრატიის ფორმები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხების გადასაწყვეტად. ამ კითხვაზე პასუხი კი ვერ გაცივმა იმის გარეშე, თუ არ განისაზღვრა ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის საკითხი საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით.

ავტონომიის, აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფოებრივი მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ნორმებს, მის ძირითად პრინციპებსა და სულისკვეთებას. უკეთეს ამ სფეროში ავტონომია ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული უშუალო დემოკრატიის ფორმების გამოყენებით ან სხვაგვარად დაარღვევს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციითა და სხვა კანონებით დადგენილ წესებს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობას შეუძლიათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც აძულებს კანონის დამრღვევს შესრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

უშუალო დემოკრატიის ფორმები, მათ შორის რეფერენდუმი ადგილებზე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულსა და ავტონომიაში შეიძლება გა-

მოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებიც არ განეკუთვნება მთელი ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს ხალხის გამგებლობას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას. სახელმწიფოებრივი მოწყობა სწორედ ასეთ ზოგად-ეროვნულ სფეროს მიეკუთვნება და, მაშასადამე, გამორიცხული უნდა იყოს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტა საერთოდ ადგილობრივი მასშტაბის უშუალო დემოკრატიის ფორმებით, კერძოდ კი, რეფერენდუმის გზით. ზოგად-ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია საერთო-სახელმწიფოებრივი დონის ღონისძიებათა გამოყენება.

ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო სამართალი მტკიცედ ადგას სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპს. შორს წაგვიყვანდა და, ალბათ, საჭიროც არ არის აღრინდელი და თუნდაც ბოლოდროინდელი, საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ჩამოთვლა, რომლებშიც ხაზგასმით არის გამოხატული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ეს ფუძემდებლური დებულება. ცხადია, ამ პრინციპთან შეუთავსებელი იქნებოდა ეროვნული ან რელიგიური თუ სხვაგვარი უმცირესობებისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ ცალმხრივად მოითხოვონ გამოყოფა და ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან შევიდნენ სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში. საერთაშორისო სამართალი დღეს გადაჭრით უკუაგდებს აქეთკენ მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებას. ასეთნაირი რადიკალური მოქმედება ცალსახად განიხილება, როგორც საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დაუშვებელია ასეთი უკანონო მიზნის მისაღწევად უშუალო დემოკრატიის ნებისმიერი ფორმის, მეტადრე კი რეფერენდუმის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შედეგებს, რაღა თქმა უნდა, არავითარი იურიდიული ძალა და მნიშვნელობა არ ექნება. ასეთი შეფასება მთლიანად ვრცელდება ამას წინათ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ რეფერენდუმებზე, რომლებიც იმ მხრივაც მიუღებელია, რომ ამჟამად, შეუნიღბავად იყო ფალსიფიცირებული.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ეროვნული უმცირესობის არც იმ უფლებას არ ითვალისწინებს, რომ მოითხოვოს და შექმნას ტერიტორიული ავტონომია. ამის შესაბამისად, საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში არ არის დაფიქსირებული სახელმწიფოს მოვალეობაც, რომ ტერიტორიული ავტონომია მიანიჭოს ეროვნულ უმცირესობას.

ამგვარად, ცხადია, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეროვნულ უმცირესობას არა აქვს უფლება მოითხოვოს ტერიტორიული ავტონომია და მის მოსაპოვებლად გამოიყენოს რეფერენდუმი ან უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმები.

სხვა საქმეა, თუ რომელიმე სახელმწიფო თვითონ მოინდომებს, რომ თავის ეროვნულ უმცირესობას მისცეს ამა თუ იმ სახის ტერიტორიული ავტონომია. ასეთი მოქმედება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით კი არ არის გაპირობებული, არამედ მხოლოდ ამ სახელმწიფოს ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ამის მაგალითია ესპანეთი, რომლის კონსტიტუცია აღიარებს და უზრუნველყოფს ეროვნებათა და მათი საცხოვრებელი რეგიონების უფლებას ავტონომიაზე. ასევე უპირობოდ ვცნობთ ჩვენ, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიას საქართველოს ერთიანი, უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ასეთ შემთხვევაში ეროვნულ უმცირესობას შიდასახელმწიფოებრივი მართლებრივი ნორმების შესაბამისად სრული უფლება აქვს ტერიტორიულ ავტონომიაზე. თავისი ნების გამოსავლინებლად და დასაფიქსირებლად მას შეუძლია მიმართოს უშუალო დემოკრატიას რეფერენდუმისა თუ ნებისმიერი სხვა ფორმის სახით.

ამგვარად, ეროვნულ უმცირესობებს საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ნებისმიერ სათანადო სახელმწიფოში, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ გააჩნიათ გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ან თუნდაც ტერიტორიული ავტონომიის უფლება. მათ მხოლოდ კულტურული ავტონომიის უფლება აქვთ, რაც საქართველოში ტრადიციულად და ზედმიწევნით თანამიმდევრულად ხორციელდება. ქართველები-სათვის მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო და არის ეროვნული, ენობრივი თუ რელიგიური უმცირესობებისადმი კეთილი, შემწყნარებლური დამოკიდებულება. დროის სიმცირის გამო მხოლოდ ორიოდ მაგალითით უნდა შემოვიფარგლოთ. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველოში 2500 წელზე მეტია ცხოვრობენ ებრაელები და ამ ხნის მანძილზე მათ აქ ქართველთა მხრიდან არ განუცდიათ ანტისემიტიზმის საშინელებანი. განა დიდი უმადურობა არ არის იმის დაუნახობა, რომ: 1) ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის აკადემიური მრავალტომეული ოსთა ისტორიულ სამშობლოში კი არა, არამედ სწორედ აქ, საქართველოში შეიქმნა და 2) საქართველოში ოსი ბავშვები იმთავითვე თავიანთ მშობლიურ ენაზე მრავალრიცხოვან ოსურ სკოლებში სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ, მაშინ როდესაც ნამდვილ ოსეთში, თვით იქაური ხელმძღვანელობის აღიარებით, უკანასკნელ დრომდე ერთი სრულფასოვანი ოსური სკოლაც კი არ არსებობდა. აბა, აფხაზების გარდა დაასახელოს ვინმემ მსოფლიოში სხვა ასეთი მცირერიცხოვანი ერი, რომელსაც აქვს თავისი უნივერსიტეტი, მძლავრი აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და საკუთარი ტელევიზია.

განსახილველ თემასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სრულყოფას, დახვეწასა და უფრო ნათლად ჩამოყალიბებას საჭიროებენ საერთაშორისო სამართლის ცალკეული ნორმები. მათ შორისაა ზოგიერთი ფუნდამენტური დებულება, რომლებიც მთლად ურთიერთშეთანხმებულად არ არის შეტანილი საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ აქტებში. ავიღოთ ერთი ასეთი მაგალითი. ცნობილია, რომ მთელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულია უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ აღიარებული დებულება სახელმწიფოთა ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის შესახებ. მეორე მხრივ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პირველსავე მუხლში კატეგორიულად აცხადებს, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალბთ ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს...“ ასეთი ფორმულირება შეიძლება გამოყენებული იქნეს ამა თუ იმ მრავალეროვანი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რამდენადაც იგი ქმნის თვითგამორკვევის უფლებისა და მის სუბიექტთა წრის თვითნებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ვითარება სეპარატიზმისა და ექსტრემისტული პოლიტიკური გადამიჯნის ერთგვარ სტიმულ-

ლადაც გადაიქცეს, რაც საფრთხეს შეუქმნის შესაბამისი სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აკი გამოჩნდა კიდევ „ნოვატორული“ თეორიები, რომელთა მიხედვითაც ტერიტორიები თურმე სამუდამოდ კი არ არის მიმაგრებული რომელიმე ხალხზე, არამედ ამისთვის გამოყოფილია გარკვეული ისტორიული ვადა; ასევე, ერთა თვითგამორკვევის განსახორციელებლად და სეპარატიზმის აღმოსაფხვრელად საჭირო ყოფილა ორიენტაციის აღება „არა საზღვრებზე, არამედ ეროვნებებზე“; ზოგიერთი იმასაც კი მოითხოვს, რომ „ყოფილი საბჭოთა კავშირის შიგნით დანაწევრებულ რაიონებში ჩატარდეს რეფერენდუმი ადგილობრივ მაცხოვრებელთა ნების დასადგენად — თუ რომელ რესპუბლიკაში ექნებათ მათ ცხოვრების სურვილი. რეფერენდუმის შედეგად წარმოიქმნება ახალი სახელმწიფოები ყველაზე სამართლიანი და ყველაზე დემოკრატიული საზღვრებით“ („ლიტერატურული საქართველო“, 1992 წლის 21 აგვისტო, № 32, გვ. 4). ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი რეფერენდუმი აბსურდული პოლიტიკური გადამიჯვნისა და, მაშასადამე, უსაზღვრო ქაოსის საწინდარი იქნება.

რეფერენდუმი ორლესული იარაღია და ამიტომ იგი სიფრთხილით, მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული. რეფერენდუმი საერთოდ პროგრესული ინსტიტუტია, იგი ჩვეულებრივ სწორედ პროგრესული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებად გამოიყენება და ამის დამადასტურებელი ბევრი მაგალითი არსებობს. ამასთან ერთად ცნობილია აგრეთვე ანტიდემოკრატიული რეფერენდუმების გამართვის შემთხვევები. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ეს დემოკრატიული ინსტიტუტი შეიძლება რეაქციული მიზნის მიღწევის საშუალებადაც კი იქცეს, როგორც ეს იყო, მაგ., ჰიტლერულ გერმანიაში. თუმცა ასეთი მაგალითები რაღა შორს ვეძებოთ, როცა ისინი ჩვენშიც საკმაოდ მოიპოვება.

გაყალბებული დემოკრატიული ინსტიტუტის გამოყენება ანგარების მიზნით ზოგჯერ ოფიციალური პოლიტიკის რანგშიც კი შეიძლება მოგვევლინოს, თანაც დაუფარავი ცინიზმითა და თუნდაც ფორმალური შენიღბვის გარეშე. სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რ. ხაზბულატოვის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ (1992 წლის ივნისი) განცხადებაში. აქ ხაზბულატოვი იმუქრება, რომ თუკი საქართველო არ შეასრულებს რუსეთის ფედერაციის სახალხო დებუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს მითითებებს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭო იძულებული გახდება „სამხრეთ ოსეთის ხალხის სურვილისა და რუსეთის პარლამენტში მის ხელისუფალთა მიმართვის შესაბამისად დაუყოვნებლივ განიხილოს სამხრეთ ოსეთის ოფიციალური მიმართვა რუსეთის ფედერაციასთან მისი შეერთების შესახებ“. როგორც ვხედავთ, სწორედ „ხალხის სურვილი“ ედება საფუძვლად საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპების წარმოუდგენელი თავხედობით ფეხქვეშ გათელვას. საგულისხმოა, რომ ანალოგიურ საკითხში დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციას იკერს ბატონი რ. ხაზბულატოვი, როცა საქმე რუსეთის ფედერაციას ეხება. მისი სიტყვით, თუკი წამაოიჭრება საკითხი რუსეთის შემადგენლობიდან ცალკეული რესპუბლიკების გამოყოფის შესახებ, იგი, მსოფლიო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად, უნდა გადაწყდეს არა მართა ადგილობრივი, არამედ მთელი რუსე-

თის მასშტაბით ჩატარებული რეფერენდუმით („იზვესტია“, 1990 წლის 25 სექტემბერი, № 267, გვ. 2). ასეთია იმპეროული ამბიციებით შეპყრობილი გარუსებული სხვატომელის ორმაგი საზომი და „პრინციპული“ პოზიცია. იგი რუსეთში გასაქანს არ აძლევს ფედერაციის სუბიექტებს, საქართველოში კი აბუნტებს ეროვნულ უმცირესობებს და პროვოცირებული რეფერენდუმით ცდილობს ძველთაძველი ქართული ტერიტორიის მიტაცებას.

საერთაშორისო სამართალი გამოიყენებს იმას, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები სხვა ხალხების ინტერესების საზიანოდ განხორციელდეს. კერძოდ, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ადამიანურ განზომილებათა კონფერენციის კოპენჰაგენის დოკუმენტში აღინიშნა, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განმსაზღვრელი არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის საზიანოდ. ეროვნულ უმცირესობათა საკითხების ექსპერტთა ჟენევის 1991 წლის თათბირის მოხსენების მიხედვით, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძირითადად დასახლებულია ეროვნული უმცირესობით, თანაბრად უნდა იქნეს დაცული ამ ეროვნული უმცირესობის პირთა, შესაბამისი სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენელთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეების უფლებები. ექსპერტები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს სხვა მოქალაქეთა დისკრიმინაცია და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ისეთივე უფლება-მოვალეობანი უნდა ჰქონდეთ, როგორც აქვს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს. გაეროს ადამიანის უფლებათა სათანადო ქვეკომისიის ანალოგიურ მოხსენებაშიც აღნიშნულია იმის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რომ უმცირესობათა დასაცავად განხორციელებულმა ღონისძიებებმა არ შელახოს მოსახლეობის უმრავლესობის პირთა უფლებები. ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ეროვნულ უმცირესობებს ეკისრებათ მოვალეობანი, რომელთა შესრულება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი უფლებების განხორციელება.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის გარეშე, მათი მხრივ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებისა და ქვეყნის ბედისათვის თავიანთი წილი პასუხისმგებლობის შეგნების გარეშე შეუძლებელი იქნება სამოქალაქო მშვიდობის დამყარება, დღევანდელი ყოვლისმომცველი კრიზისის დაძლევა და საქართველოს ორგანულად ჩართვა ცივილიზებულ საერთაშორისო ურთიერთობებში.



პაატა ცნოზილაძე

თანამედროვე სახელმწიფოს პრობლემა იურიდიულ მესნიერებაში

თანამედროვე მსოფლიო შევიდა (ან შედის) თავისი განვითარების ახალ ფაზაში, უმეტესობა წამყვანი პოლიტოლოგებისა და იურისტებისა აღიარებენ, რომ დამთავრდა ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, რომელმაც ამოწურა თავისი შესაძლებლობები. თუმცა, არ არიან ერთიანი აზრის იმის შესახებ, თუ კონკეტულად რომელი ეტაპი დასრულდა. მაგრამ მიუხედავად პოზიციებისა და მათი მოტივირების განსხვავებისა, ისინი ერთიანი არიან იმაში, რომ თანამედროვე მსოფლიო იმყოფება კრიზისულ, გარდამავალ სიტუაციაში. უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა სოლიდური რაოდენობა პუბლიკაციებისა, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ კრიზისი შეეხო თვით საზოგადოების რწმენასა და მის იდეალებს, ე. ი. სოციალური პროცესის პროვიდენციალობის, განუსაზღვრელი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს, პოლიტიკური კონსენსუსის სტაბილურობის რწმენასა და სხვა. თანაც ვილაცას ეს რწმენა შეერყა, ხოლო ზოგმა საერთოდაც დაკარგა იგი.

საქართველოც, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის დღეს უკვე ისევ სრულუფლებიანი წევრი-სახელმწიფო იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში, რაც არც შემთხვევითია და არც გასაკვირი. ეს მოვლენების კანონზომიერი განვითარებაა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ჩვენთან არსებითად ხდებოდა რეალიზაცია იმ იდეებისა და იდეოლოგიისა, რომლებიც ჩამოაყალიბეს სოციალიზმის ბელადებმა და იდეოლოგებმა, მაგრამ საბედნიეროდ ადრე არსებულმა ძლიერმა იმპულსებმა კომუნისმისა, დემოკრატიული ცენტრალიზმისა, საბჭოური ფედერალიზმისა და სხვამ, დაკარგეს თავიანთი ძალა, რის გამოც არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ საზოგადოებათშორისო და სახელმწიფოთშორისო ურთიერთობების შემდგომი განვითარება მომავალში შესაძლებელი იქნება სხვა პრინციპებისა და საწყისების საფუძველზე.

და აი ასეთ, უმეტესად კრიზისულ და გარდამავალ პირობებში სრულიად ბუნებრივია სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ფენომენების მი-



მართ ყურადღების გამახვილება. მათ შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად რასაკვირველია, გვევლინება სახელმწიფოს თემა.

მოცემულ პუბლიკაციაში, რასაკვირველია, ვერ ამოვწურავთ თანამედროვე სახელმწიფოს გენეზისის საკითხებს, რის განხილვასაც ალბათ საკმაოდ დიდი მონოგრაფია დასჭირდებოდა. აქ შევეხები მხოლოდ სახელმწიფოს პრობლემატიკის ისეთ ასპექტებს, როგორცაა სახელმწიფოსა და ერის „ურთიერთდამოკიდებულება“, სუვერენიტეტი, ლეგიტიმურობა, სიცოცხლისუნარიანობა.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია ტერმინი „ერი—სახელმწიფო“, რომელიც პოლიტიკურ მეცნიერებაში დაამკვიდრა ცნობილმა ფრანგმა სახელმწიფოთმცოდნემ და კონსტიტუციონალისტმა ლეონ დიუგამ 1920 წელს. იგი თვლიდა, რომ პირველი მსოფლიო ომი იყო ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ფორმების ორ განსხვავებულ კონცეფციას შორის. ერთი მხრივ იმყოფებოდა გერმანია, რომელიც იცავდა მსოფლმხედველობას, რომლის თანახმად ხელისუფლება (სუვერენიტეტი) ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო ერი არის სხვა არაფერი, თუ არა სახელმწიფოს ორგანო. მეორე მხრივ — საფრანგეთი, ერის სუვერენიტეტის თავისი ტრადიციებით, რომელიც სახელმწიფოს წარმოდგენდა როგორც „ერი — სახელმწიფო“.

30-იან წლებში საფრანგეთში სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ფარგლებში მოხდა „სახელმწიფოსა“ და „ერის“ კონცეფციის შერწყმა. სახელმწიფო ცნეს ერის განსახიერებად. „ერის“ პრობლემა კი გახდა სახელმწიფოს თეორიის მეცნიერების პრობლემა. გერმანიაში კი პირიქით, სახელმწიფო სამართლისათვის, მისი გამოჩენილი წარმომადგენლის გ. ელინეკისათვის, ერი, ისევე როგორც ტერიტორია და მმართველობის სისტემა, იყო მხოლოდ სახელმწიფოს ელემენტი. და სწორედ ამიტომ, ერის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის სუვერენიტეტის გადაცემის ფუნქცია, რომელიც აუცილებელი იყო მისი არსებობისა და ხელისუფლების განხორციელებისათვის.

ამ ორი კონცეფციის შეთანხმება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორივე კონცეფციისათვის მეტნაკლებად იმანენტური, ლიბერალური ფასეულობების საფუძველზე. სხვა სიტყვებით, ერთიანი კონცეფცია სახელმწიფოსი თანამედროვე ეტაპზე შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც ლიბერალური კონცეფცია, ან ლიბერალური სახელმწიფოს კონცეფცია. ასეთი კონცეფციისათვის დამახასიათებელია შემდეგი: ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების უფლებები, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ორგანიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება, პოლიტიკური იდეალები და ფასეულობები — ყველაფერი ეს და სხვა მრავალი დაფუძნებულია კონსტიტუციაში და დასაბუთებულია მისითვე. კონსტიტუცია არის ძირითადი ნორმა, ერის შემოქმედების პროდუქტი. გარდა ამისა, ლიბერალურ სახელმწიფოს ახასიათებს სამართლის ბატონობა. სამართალი კი იქმნება სპეციალური ინსტიტუტის — პარლამენტის მიერ, რომელიც წარმოდგენს ერის ინტერესებს. ლიბერალურ სახელმწიფოში სუვერენიტეტი ეკუთვნის ერს, რაც გულისხმობს და იმავდროულად მოითხოვს პოლიტიკური კონსენსუსის არსებობას ქვეყანაში და თვითმმართველობის ეფექტურ სისტემას.

ლიბერალური სახელმწიფოს თეორია ხელს უწყობს ერის იდეის ლეგიტიმურ ძალას. ერი არის ლეგიტიმური პრინციპი, სახელმწიფოს ხელისუფლების წყარო. მაგრამ არ შეიძლება დაგვავიწყდეს ისიც, რომ ლიბერალური სახელმწიფოს თეორია აღმოცენდა ერის კონცეფციიდან, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1789-1793 წლების რევოლუციის ეპოქაში. მაშინ კი ერი განისაზღვრებოდა, როგორც მოქალაქეთა გაერთიანება. ერის პრობლემას უკავშირებდნენ სუვერენიტეტის პრობლემას და არავინ არ ხედავდა ერში ეროვნებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია კულტურული ტრადიციებისა და თვისებების განსაზღვრული კრებული. ამრიგად, ლიბერალიზმის საწყისებთან დგას მსოფლმხედველობა, რომლის ცენტრალური კატეგორიაა — ერი, წარმოდგენილია როგორც მოქალაქეთა და მათგან განუყოფელ მოქალაქეთა უფლებების ერთობლიობა. თუმცა, ეს დებულება კარგა ხანია მოძველდა, რომლის შემცვლელად მოვიდა სხვა, სადაც მითითებულია, რომ ერი არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მათთვის საერთო კულტურული ინტერესებით, ტრადიციებითა და ფასეულობებით. თანაც მოცემული ტრადიციები და ფასეულობები აღიქმება მოცემულ ადამიანთა ჯგუფის მიერ, როგორც მოცემული ეროვნების დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშნები სხვა ეროვნებებისაგან. ამრიგად, ერის თანამედროვე იდეის საწყისებს წარმოადგენს „კულტურული ტრადიციისა“ და „ეროვნული თვითშეგნების“ ცნებები. უფრო მეტიც, დღეს არავინ შეეცდება იმის უარყოფას, რომ ეროვნული თვითშეგნება არსებობს სინამდვილეში, და არა მხოლოდ როგორც ცნება. ჩვენი აზრით, ეროვნული თვითშეგნება ისე „შემუშავდება“ ერების მიერ, როგორც „შემუშავდება“ მათ მიერ ლეგიტიმურობის პრინციპები.

ლიბერალურმა ტრადიციამ განიცადა სერიოზული ცვლილებები ფაშიზმის იდეოლოგიებთან. ერის სუვერენიტეტის პრინციპის მათეული განმარტება სრულიად ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ ფასეულობებს. სახელმწიფოს ფაშისტური მოდელის საფუძველში ჩადებულია იდეა სახელმწიფოსა და ერის შორის ურთიერთკავშირის განსაკუთრებული ტიპის შესახებ. იტალიელი ფაშისტების აზრით, დემოკრატია და ერის სუვერენიტეტი შეუთავსებელია. რაც შეეხება წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემას და საყოველთაო არჩევნების ინსტიტუტს, მათზე პირდაპირ ამბობდნენ ფაშისტი თეორეტიკოსები, რომ ისინი არიან ერის სუვერენიტეტის და სულიერების არსის უარყოფა. ფაშისტური დოქტრინის თანახმად, სახელმწიფო მოქალაქეებში ხედავს მხოლოდ „სუბიექტებს“ და ერის მიმართ სამსახურებრივი ფუნქციის შემსრულებლებს. იმ დროს, როდესაც ერის სუვერენიტეტის ლიბერალური დოქტრინა გულისხმობს, რომ ყოველი მოქალაქე თავის საქმიანობაში ახორციელებს ერის ნებას, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს, ფაშიზმი შეუძლებელს ხდის ამას ერისათვის და ერის სახელით. მეტნაკლებად რადიკალური და ანტიდემოკრატიული პოზიციები ფაშისტ იდეოლოგიებს შორის ეკავათ გერმანელ ნაცისტებს. მათ მთლიანად უარყვეს ლიბერალური ტრადიციები და დაუპირისპირეს მას სახელმწიფოს ტოტალური მოდელი. ნაციონალ-სოციალიზმის თეორეტიკოსებთან უმალდესი პოლიტიკური ხელისუფლება ეკუთვნის მხოლოდ ერთ ადამიანს — ფიურერს, რასაც თავის დროზე საფუძვლად დაედო ცნობილი გერმანელი ფი-

ლოსოფოსის ფრ. ნიცშეს მსოფლმხედველობა და ფილოსოფიური პოსტულატები.

მსგავსი რამ განმეორდა სსრკ-ის სახელმწიფოს შექმნის შემდგომ პერიოდშიც, თუმცა სრულიად განსხვავებული თეორიებისა და იდეების ზემოქმედებით, რამაც ასევე ტოტალიტარულ-დიქტატორული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება განაპირობა. თითქმის დაიკარგა ცნება ეროვნებისა და ეროვნული თვითშეგნების შესახებ. სხვადასხვა ერები, რომლებიც შედიოდნენ თავიანთი ტერიტორიებით სსრკ-ის შემადგენლობაში, როგორც თითქოს სუვერენიტეტის მქონენი, იწოდებოდნენ რუს ერად. მართალია, საბჭოელი იდეოლოგები ოფიციალურად არ აღიარებდნენ ერთი ადამიანის განუსაზღვრელ ძალაუფლებას, თუმცა კი პრაქტიკულად ყოველთვის ეთაყვანებოდნენ და ილტვოდნენ მისკენ.

ლიბერალური სახელმწიფოს დადებითი შეფასება სრულებით არ ნიშნავს, რომ მთლიანად ვეთანხმებოდე მას. არ ვეთანხმები სახელმწიფოსა და ერის ტრადიციულ-ლიბერალულ მოდელს, რამდენადაც ამ მოდელის აგება ხდება ერის მოძველებულ, ვიწრო გაგებაზე. სახელმწიფოს ლიბერალური თეორიის წინ დგას სოციალური ცხოვრების მთელი რიგი მოვლენების გადაფასების ამოცანა, რაც ეჭვგარეშეა, მიგვიყვანს სახელმწიფოსა და ერის ურთიერთობის, და საერთოდ თვით სახელმწიფოს პრობლემის ახლებურად გააზრებამდე.

თანამედროვე მეცნიერებაში „ერი — სახელმწიფოს“ კონცეფცია სხვადასხვაგვარად განიმარტება. მაგალითად, რიგი სახელმწიფოთმცოდნეებისა თვლის, რომ „ერი — სახელმწიფოს“ კონცეფციის ფარგლებში უნდა განვასხვავოთ ორი მისი ნაირსახეობა: საკუთრივ „ერი — სახელმწიფო“ და „სახელმწიფო — ერი“. კონცეფციის პირველი ვარიანტი აღწერს ისეთ ისტორიულ პირობებს, რომლის დროსაც ერი არსებობს ჯერ კიდევ სახელმწიფოს შექმნამდე. მაგალითად, აქ შეიძლება მოვიყვანოთ იტალია, გერმანია და საქართველო — ქვეყნები, სადაც ერებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფოები. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირიქით, სახელმწიფო უსწრებს ერს, სახელმწიფო აყალიბებს ერს. მაშასადამე, აქ გამოიყენება მეორე ვარიანტი — „სახელმწიფო — ერი“. ჩრდილო-ამერიკულ სიტუაციასთან ტიპოლოგიურად მსგავსი ვითარება ჩამოყალიბდა „მესამე მსოფლიოს“ ცალკეულ ქვეყნებში. იქ სახელმწიფოები ებრძვიან ტრიბალიზმის ტრადიციებს და ცდილობენ ცალკეული, ხშირად მტრულად განწყობილი ტომებისაგან შექმნან მეტნაკლებად ჰომოგენური ერები.

სახელმწიფოს და ერის ურთიერთობის ბუნება ადვილად განისაზღვრება იმ ქვეყნებში, რომლებშიც ერი აყალიბებს სახელმწიფოს, და არა პირიქით. თუმცა თანამედროვე პირობებში, როცა „ერი — სახელმწიფოსა“ და „სახელმწიფო — ერი“ შორის განსხვავება თანდათანობით იშლება, ამ ურთიერთობათა ბუნების განსაზღვრა სულ უფრო და უფრო დაიყვანება ერთი დონის სირთულის ამოცანებამდე.

რიგი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „ერი — სახელმწიფოს“ ძირითად ნიშანს წარმოადგენს სუვერენიტეტის ფლობა ერის მიერ (ან კერძო შემთხვევის სახით — სუვერენიტეტის ფლობა ერის მიერ ტერიტორიასთან მიმართ-

თებით — de facto) რაც შეეხება „სახელმწიფო — ერს“, ის კვალიფიცირდება, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია საბოლოოდ ჩამოყალიბებული ეროვნული ბაზისი.

„ერი — სახელმწიფოს“ თანამედროვე სისტემამ ჩამოყალიბება დაიწყო XVII საუკუნის შუა პერიოდიდან, უფრო ზუსტად — ოცდაათწლიანი ომის დამთავრებისა და 1648 წელს ვესტფალის ზავის დადების შემდეგ. მაგრამ XX საუკუნის დამლევისათვის ამ სისტემას თავისი ჩამოყალიბება არ განუცდია. „ერი — სახელმწიფოს“ მშენებლობის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, იმავდროულად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ძლიერდება ტენდენციები, რომლებიც ზიანს აყენებენ „ერი — სახელმწიფოების“ სისტემას. პირველ რიგში, საუბარია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის შესახებ. ყველაზე ძლიერად ეს დღეს ვლინდება ე. წ. „სნგ“-ს ქვეყნებში. სავსებით შესაძლებელია, რომ მოკლე ხანში მათი სუვერენული უფლებები კვლავ გადაეცეს მათთვის საერთო ცენტრალიზებულ სახელმწიფო ორგანოებს. ასეთი პროცესების განვითარება ნიშნავს იმას, რომ „ერი — სახელმწიფოები“ კარგავენ თავიანთ მთავარ, არსებით ნიშანს — ერის სუვერენიტეტს. ლიბერალური პოლიტიკური ფილოსოფიით, თვით ყველაზე კონსერვატიულითაც კი, ერი პოლიტიკური ხელისუფლების წყაროა, და მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფო ლეგიტიმურობით. ერი სუვერენულია, რამდენადაც მას შეუძლია მართოს თავისი თავი. ერის თვითმმართველობა კი გულისხმობს შემდეგს — ერი იმართება: 1. კონსტიტუციით, რომელსაც ლეზულობს წარმომადგენლობითი ორგანო; 2. პარლამენტით, რომელიც არის წარმომადგენლობითი ორგანო და გააჩნია საკანონმდებლო უფლებამოსილება. 3. კანონებით, რომლებსაც იღებს პარლამენტი და რომლებიც სავალდებულოა მოქალაქეებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებისათვის.

სხვათა შორის, საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 52-ე მუხლში პირდაპირაა ჩამოყალიბებული აღნიშნული პრინციპი, რომელშიც ჩაწერილია: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“. სხვა სიტყვებით, ერის სუვერენიტეტი გადადის სახელმწიფოს ხელში; ეს უკანასკნელი თავს უყრის უმაღლეს სახელისუფლებო უფლებამოსილებას. და აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ხელყოფა ერის სუვერენიტეტისა, არის პოლიტიკური ხელისუფლების, დემოკრატიის სისტემის ხელყოფა. მსგავს ხელყოფას საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც აქვს ადგილი და ბუნებრივია, რომ მსგავსი მოქმედების ჩამდენნი პასუხს აგებენ, როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოსა და ერის კონცეფციები ფაქტობრივად შეერწყნენ ერთმანეთს და რომ ეროვნების პრინციპი გახდა თანამედროვე სახელმწიფოს ლეგიტიმურობის მთავარი პრინციპი. რაც შეეხება სახელმწიფოსა და ერის შერწყმის კონცეფციას, აღსანიშნავია შემდეგი: ერისა და სახელმწიფოს ცნებები გახდნენ სინონიმები, და ეს დაფიქსირებულია თვით რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების დასახელებაშიც (მაგ., გაერთიანებული

ერების ორგანიზაცია). და ამიტომ მეცნიერული თვალსაზრისით, „ერი — სახელმწიფოს“ კონცეფცია საკმაოდ კონკრეტულია. სწორედ ეს კონცეფცია გამოხატავს ყველაზე კარგად თანამედროვე სახელმწიფოს ბუნებას, მიუხედავად იმისა, მონო თუ პოლინაციონალურია.

ცოტა რთულადაა საქმე ეროვნულობის პრინციპთან დაკავშირებით, რამდენადაც სახელმწიფოთა უმეტესობა თავის საფუძველში პოლინაციონალურია ანუ მრავალეროვანია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ერს ნებისმიერ მომენტში შეუძლია სცადოს თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია, ე. ი. სცადოს გამოვიდეს მოცემული სახელმწიფოს შემადგენლობიდან და შექმნას თავისი, საკუთარი. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობის დაცვით: საქმე ეხება სახელმწიფოდან გამსვლელისათვის მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ისტორიულ კუთვნილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს თუ არა რომელიმე ერს უფლება მოითხოვოს აბორიგენი მოსახლეობის ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიაზე საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება? რასაკვირველია, პასუხი მხოლოდ ერთგვაროვანია: უარყოფითი. ამიტომ გასაკვირიც არა არის როცა პოლინაციონალური სახელმწიფოების მთავრობები ცდილობენ, რომ ზემოაღნიშნული პროცესები სახელმწიფოში, და ყველა მის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებები განიხილონ როგორც მართლსაწინააღმდეგო და უკანონო. ამასთან, მიუხედავად ეროვნულობის პრინციპის ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებისა და სირთულისა, არ შეიძლება არ ვცნოთ იგი თანამედროვე სახელმწიფოს ლეგიტიმურობის მთავარ პრინციპად. მას ნამდვილად გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის, და „ერი — სახელმწიფოს“ კონცეფციის მსგავსად გამოხატავს მის ბუნებას.

სხვათა შორის, ძალზე კარგად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით, რომლის მე-4 მუხლის მე-3 კარში პირდაპირაა მითითებული, რომ „არც ერთი ახალი შტატი არ შეიძლება შეიქმნას ან ჩამოყალიბდეს სხვა რომელიმე შტატის იურისდიქციის ფარგლებში“.

ეს პრინციპი რომ ყოფილიყო ჩადებული სსრკ-ის პირველ და შემდგომ კონსტიტუციებში, მაშინ საქართველოც და ყოფილი სსრკ-ის ზოგი რესპუბლიკაც თავიდან აიცილებდნენ მათ ტერიტორიებზე ავტონომიური ერთეულების ხელოვნურად შექმნას, რომლებიც დღეს სახელმწიფოდან გამოყოფის, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების შექმნისა და სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიების მითვისებით არიან დაკავებულნი, რაც რასაკვირველია, ისევ და ისევ სახელმწიფოებში წესრიგის დაცვის დიდ პრობლემებს ქმნიან.

ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველოს მომავალ კონსტიტუციაში უნდა აისახოს ნორმები, რომლებიც გამოხატავენ მსგავსი პროცესების განვითარებას. მართალია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველივე მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“, მაგრამ სამომავლოდ აუცილებელია ჩამოყალიბდეს მუხლი, რომელიც გამორიცხავდა საქართველოს ნებისმიერი ავტონომიური ერთეულის მხრიდან ავტონომიის აღდგენის, ახალი ავტონომიური ერთეუ-

ლის შექმნის ან საქართველოს სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხის დაყენებასაც კი. აქ შევეცდები ჩამოვყალიბო აღნიშნული მუხლი, თუმცა, რასაკვირველია, არა საბოლოო ვარიანტით:

„საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში არ შეიძლება ჩამოყალიბდეს, შეიქმნას ან აღდგეს ავტონომიური რესპუბლიკა (ოლქი).

პარლამენტს უფლება აქვს განკარგოს საქართველოს კუთვნილი ტერიტორია ან სხვა საკუთრება და გამოსცეს მათ მიმართ ყველა აუცილებელი კანონი და დადგენილება.

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, როგორც საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილების არსებობა და სტატუსი განისაზღვრება ცალკე კანონით საქართველოს პარლამენტის მიერ“.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტის საკითხთან არის დაკავშირებული. რიგი მეცნიერებისა ამტკიცებენ, რომ თანამედროვე პირობებში სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის წყარო, კარგავს თავის მნიშვნელობას. ასეთ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან, ჩემი აზრით, სახელმწიფო მაშინ იძენს სიცოცხლისუნარიანობას, როცა გააჩნია სუვერენიტეტი. სუვერენიტეტი კი არის სუვერენული სახელმწიფოს ყოფისათვის დამახასიათებელი თვისება, რაც აღიარებულია სხვა სახელმწიფოების მიერ. სუვერენიტეტის ასეთი სახით განმარტება უფრო შეესაბამება საერთაშორისო პოლიტიკის რეალობას. თუმცა, რასაკვირველია, მთლიანობაში ეს ცნება არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი, რამდენადაც მასში არაა საუბარი სუვერენიტეტის წყაროების შესახებ და ამის გამო სუვერენიტეტი არაფრით არ უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების ლეგიტიმურობის პრობლემას საშინაო პოლიტიკის სფეროში. და მაინც, ძირითადი საკითხი ეს არის ის, ცნობენ თუ არა მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტს სხვა სახელმწიფოები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სუვერენიტეტი გარკვეულწილად არის საერთაშორისო საზოგადოების (ან სახელმწიფოების) საჩუქარი კონკრეტული სახელმწიფოსათვის. მაგალითად, უკანასკნელ წლებში სახელმწიფოთა უმეტესობამ უარი თქვა, ეცნოთ მთელი რიგი სახელმწიფოები, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სუვერენიტეტი, თუმცა, ამ ქვეყნების მთავრობები ახორციელებდნენ სრულ კონტროლს მათ კუთვნილ ტერიტორიებზე. ამიტომ, ნებისმიერი მთავრობა, რომელიც არ მიიღებს მსოფლიო აღიარებას, წააგავს „აჯანყებული პროვინციის“ ხელმძღვანელობას ან მოძრაობას, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. მაგალითად, როდესაც დამოუკიდებლობა მიიღო იმავ გზით და იმავე საშუალებებით, როგორცაც თავის დროზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მაგრამ, ყველაფერი ეს, „საშინაო სუვერენიტეტის“ ჩათვლით, აღმოჩნდა უმნიშვნელო მსოფლიოს მიერ მისი არ აღიარების ფაქტის წინაშე. მსოფლიოს მხრიდან არ აღიარების ტალღამ საქართველოსაც გადაუარა ერთი პერიოდი, რასაც საზოგადოება უნდა დაერწმუნებინა საერთაშორისო აღიარების აუცილებლობაში.

ამასთან, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სახელმწიფოს სუვერენიტეტი მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობასთან. ყველაზე სუ-


სტი პოლიტიკური ერთეულიც კი, თუ იგი სცნო ქვეყნების უმრავლესობამ, არის სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია უფლება მსოფლიო თანამეგობრობის წევრის ყველა პრივილეგიაზე.

რა თქმა უნდა, არავის არასოდეს არ მიაჩნდა გრენადა თუნდაც რამეში თანასწორად აშშ-თან, მაგრამ იყო ერთი რამ — ეს იყო სუვერენიტეტი. ამის გარეშე, სუვერენული სახელმწიფოების ფორმალური თანასწორობის ცნობის გარეშე კაცობრიობის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობა შეუძლებელი იქნებოდა. ცნობილია, რომ სუვერენული სახელმწიფოების ფორმალური თანასწორობის პრინციპს უამრავი კრიტიკოსი ჰყავს. მათი არგუმენტიც საფუძვლიანია. მართლაც, ამ სისტემას გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები და არასრულყოფილია, მაგრამ, ამასთან ერთად, კაცობრიობამ, მიუხედავად ცალკეული ცდებისა, ჯერ კიდევ არ შეიმუშავა ამ სისტემის შემცველი რამ. ყველაზე სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი ომების შემდგომ მსოფლიო ყოველთვის უბრუნდებოდა თანასწორობის პლატონურ მოდელს, როგორც ადამიანებს შორის მშვიდობის შენარჩუნების მეტნაკლებად ეფექტიან საშუალებას.

აქვე შეიძლება შევეხოთ სახელმწიფოს „სიცოცხლისუნარიანობის“ ფენომენს. მისი დამაკმაყოფილებელი განმარტების მოძებნა ვაცილებით რთულია, ვიდრე სუვერენიტეტისა. სიცოცხლისუნარიანობა იმდენად არაერთაზროვანი, ამბივალენტური და ფართო ცნებაა, რომ მისი განმარტება შეიძლება სხვადასხვაგვარად. და მაინც, თუ რა არის „სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა“ საკმაოდ ნათელია. ეს არის აქტიური ცხოვრების მთავარი თვისება, რომელიც გულისხმობს დინამიური განვითარებისა და ეფექტიანი თვითდაცვის შესაძლებლობას. სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენის ფორმები სხვადასხვა სახელმწიფოებს სხვადასხვანაირად აქვთ. ერთში სიცოცხლისუნარიანობა ერთი სახელმწიფო, სხვაში — მეორე. ამას ჭარდა, ისტორიული პროცესის მსვლელობისას ერთ ეტაპზე სახელმწიფო შეიძლება იყოს უფრო სიცოცხლისუნარიანი, მეორეზე — ნაკლებად.

საინტერესოა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და სიცოცხლისუნარიანობის ურთიერთობა. ჩემი აზრით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ სუვერენიტეტი, როგორც სიცოცხლისუნარიანობის წყარო, თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას, რომ სუვერენული სახელმწიფოები ნაკლებად არიან მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მოქმედი პირები და მიუთითებენ იმაზეც, რომ თუ დღეს საერთაშორისო სამყარო ჯერ კიდევ შედგება მრავალრიცხოვანი სუვერენული „ერი — სახელმწიფოსაგან“, სულ მოკლე მომავალში ის განიცდის ტრანსფორმაციას და ახალი მსოფლიო თავის საფუძველში მოგვევლინება, როგორც ნახევრად ცენტრისტული.

ასეთ აზრს, პირადად ვერ გავიზიარებ XX საუკუნის მსოფლიოს განვითარებებამ დაამტკიცა თეზისი, რომლის თანახმად სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი წყარო. რა თქმა უნდა, სუვერენიტეტით აღჭურვამ არ შეიძლება დაიცვას სახელმწიფო ომებისაგან და სხვა გადატრიალებებისაგან, მაგრამ ამასთან ერთად, მოცემულ სახელმწიფოს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს თავისი მთლიანობისა და სიცოცხლისუნა-



რიანობის შესანარჩუნებლად. ნებისმიერ მცირე სახელმწიფოსაც კი, რომელიც არის სუვერენული პოლიტიკური ერთეული, შეუძლია კანონიერ და მსოფლიოს მიერ მიღებული საფუძვლებით დაიცვას თავისი ინტერესები.

სუვერენიტეტი ქმნის ეროვნული სიმბოლოების და საერთოდ, ეროვნული ხასიათის გამოყენების პირობებს. სუვერენიტეტს აქვს კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფოებს შეუძლიათ გაერთიანდნენ რეგიონალურ და სხვა ორგანიზაციებში და ამით გააერთიანონ თავიანთი ძალები საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანების გადასაწყვეტად. ცხადია, სახელმწიფოთაშორისი კოოპერაცია ხელს უწყობს ყოველი ცალკეული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას. ამრიგად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ფორმალური დამოუკიდებლობა — აუცილებელი პირობებია მისი ფაქტობრივი დამკვიდრებისათვის თანამედროვე მსოფლიოში.

2008

თუნდაც ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნებისმიერ დარღვევას მიყვარათ სახელმწიფოთა ურთიერთშორის თანაფარდობის დარღვევამდე და ეჭვის ქვეშ აყენებს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება, პირიქით, მოითხოვს მათი სუვერენიტეტისადმი მეტ პატივისცემას. ვერავითარი სახელმწიფოთაშორისი ორგანოები ვერ შეცვლიან ამას. თუკი ინტეგრაციის პროცესები მიგვიყვანენ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეზღუდვამდე, მაშინ დიდი ერები სწრაფად შეავიწროებენ მცირერიცხოვან ერებს, რამდენადაც პირველებს გააჩნიათ გაცილებით მეტი რესურსები და შესაძლებლობები. ამის შედეგად მსოფლიო დაიყოფა რამოდენიმე „რომის იმპერიად“, ეს კი კარგა ხნის განვლილი ეტაპია კაცობრიობის ევოლუციაში, ყოველ შემთხვევაში, ინტეგრაციის პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, დაწყებული სსრ კავშირით და დამთავრებული ნებისმიერ გაერთიანებამდე, განამტკიცებს მოცემულ დასკვნას.

როგორც არ უნდა იყოს, სუვერენიტეტი დღესდღეობით არის ყველაზე ქმედითი საშუალება ყველა არსებულ სახელმწიფოსა და მთლიანად მსოფლიოს გაერთიანების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კვავილაძე

დანაშაული და მისი შემადგენლობა

დანაშაულის სწორად გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, კერძოდ კი, დანაშაულთა აღკვეთა-აცილებასა და დამნაშავეებთან ბრძოლაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დიახ, ადამიანებს ერთნაირად უნდა ესმოდეთ დანაშაულის ცნებაც და მისი შემადგენლობაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საკითხზე მათ საუბარს აზრი არ ექნება. ამ ცნების სხვადასხვაგვარი გაგება სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ საერთოდ დაუშვებელია, ხოლო მისი სწორი და ერთნაირი გაგება — აუცილებელი. საამისოდ კი საჭიროა კანონით განისაზღვროს, თუ რა არის დანაშაული, და ამ განსაზღვრაში აუცილებლად ჩაიდოს შესაბამისი მეცნიერული და პრაქტიკული დასაბუთებები.

დაკანონებულია, რომ დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც, მოკლედ რომ ვთქვათ, ხელყოფს სისხლისსამართლებრივი ნორმებით დაცულ ინტერესებს. ჩვენი აზრით, იგი დავას არც იწვევს, ეთანხმება ვინმე თუ არ ეთანხმება ამას, კანონი კანონია და იგი რეალურად უნდა იყოს გაგებული, ე. ი. დანაშაული არის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისჯება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაც და უმოქმედობაც, თუ ვინმე ამით ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ურთიერთობას. აქვე გასათვალისწინებელია, ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლები ადგენენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის კანონით დაწესებულ ასაკსა და პირის შერაცხადობა-შეურაცხადობის საკითხს. წლებისმიერი ქმედობა (მოქმედება, უმოქმედობა), რომელსაც არ გააჩნია კანონით გათვალისწინებული ნიშნები, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაული. რაც შეეხება დანაშაულის შემადგენლობას, საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში იგი იმგვარად იყო წარმოდგენილი, რომ მას ვეღარ დავეთანხმებით.

* ავტორის ზოგიერთ თვალსაზრისს შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციასს.

კანონი არ განმარტავს თუ რა არის დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ ალბათ ეს ცნება უნდა ეტეოდეს დანაშაულის ცნების ფარგლებში. სიტყვა „შემადგენლობა“ სპეციალური ტერმინი არ არის და თავისი მნიშვნელობით გამოიყენება თითქმის ყველა მეცნიერებაში. ამიტომ მის განსხვავებულ, მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მიუხედავად თქმულისა, „დანაშაულის შემადგენლობა“ საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გულისხმობს დანაშაულის ობიექტს, სუბიექტს, ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს¹. თითქოს ეს ოთხი აუცილებელი ელემენტი ქმნის დანაშაულის შემადგენლობას და მათ შორის ერთიც რომ არ იყოს, გამორიცხულია დანაშაულის შემადგენლობის არსებობა. ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ არის დანაშაულის ობიექტი, სუბიექტი, ობიექტური და სუბიექტური მხარეები, მაგრამ არცერთად მათგანი დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, მისი ელემენტი არ არის.

თუ დანაშაულს წრმოვიდგენთ მისი შემადგენელი ნაწილების (კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ან უმოქმედობის ეპიზოდები) ერთობლიობის სახით, მაშინ დანაშაულთან ერთად სახეზე იქნება მისი შემადგენლობაც და პირიქით, თუ დანაშაულის შემადგენლობა გვექნება, მაშინ სახეზე უნდა იყოს დანაშაულიც. მაგრამ, ლაპარაკია არასაბჭოურ გაგებაზე, რომელიც დანაშაულის შემადგენლობად თვლის დანაშაულის ობიექტს, ე. ი. სისხლის სამართლის კანონით დაცულ იმ ურთიერთობას, რომელსაც ზიანს აყენებს დანაშაულის ჩადენა; სუბიექტს — დანაშაულის ჩამდენ, კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ, შერაცხად პირს; ობიექტურ მხარეს, ე. ი. დანაშაულის ჩამდენი პირის ქცევას, მიმართულს დანაშაულებრივი შედეგის დადგომისაკენ და სუბიექტურ მხარეს, რაც გამოიხატება დანაშაულის სუბიექტის განწყობაში მისი ქმედობისა და ამ ქმედობის შედეგის მიმართ. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა დანაშაულის ობიექტი, სუბიექტი, ობიექტური და სუბიექტური მხარეები ჩაითვალოს დანაშაულის, ე. ი. არამართლზომიერი, საზოგადოებრივად საშიში ქმედობის, დამნაშავის ქცევის შემადგენელ ნაწილად? ჩვენი აზრით, ამ კითხვას შეიძლება მხოლოდ უარყოფითად ვუპასუხოთ.

ზ. კეკელიძე

დანაშაულის ობიექტი არის სამი სახის: საერთო, გვარეობითი და უშუალო. საერთო ობიექტი ერთია ყველა დანაშაულისათვის და ამ ობიექტს სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში საზოგადოებრივ ურთიერთობას უწოდებენ. გვარეობითი ობიექტია ის, რომელიც დანაშაულებრივი ხელყოფის რამდენიმე უშუალო ობიექტს მოიცავს, ხოლო უშუალო ობიექტია ის, რომელიც დანაშაულის ჩადენის შედეგად უარყოფით ცვლილებას განიცდის. მაგალითად, პიროვნება არის გვარეობითი ობიექტი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულისათვის: მკვლელობისათვის, სხეულის დაზიანებისათვის, შეურაცხყოფისათვის და ა. შ. ამ დანაშაულთათვის უშუალო ობიექტებია, შესაბამისად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება. არის თუ არა რამე სადავო დანაშაულის ობიექტის ამნაირ დიფერენცირებაში ან მათ შინაარსობრივ მდგომარეობაში, ამ საკითხებზე აქ მსჯელობა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგანაც ლაპარაკია სხვა საკითხზე. მიგვაჩნია, რომ უშუალო ობიექტი, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ქმედობის კვალიფიკაციის განსაზღვრისას; საბ-

1 ვ. ს. პროხოროვი, საბჭოთა სისხლის სამართლის კურსი, ზოგადი ნაწილი, ლენინგრადის უნივერსიტეტი, 1968, ტ. I, გვ. 250. (რუსულ ენაზე).

ჭოჭორ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სწორად იყო გაშუქებული და იგივე გაგებით ის გამოსადეგია დღესაც. ამიტომ გვინდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ არც ერთი უშუალო ობიექტის, ჩვენი აზრით, ისევე როგორც სხვა ობიექტებისა, დანაშაულის ფარგლებში მოთავსება არ შეიძლება.

დანაშაული არის კანონით დაცული ობიექტის ხელყოფა, მისთვის ზიანის მიყენება ან მისი მოსპობა. დანაშაულმა რომ ზიანი მიაყენოს ასეთ ობიექტს, ეს ობიექტი უნდა არსებობდეს დანაშაულის ფარგლებს გარეთ. თუ დანაშაულის შემადგენლობაში იქნება მოთავსებული დანაშაულის ობიექტი, მაშინ გამოდის, რომ დანაშაული ხელყოფს თავის თავს და ზიანს აყენებს თავისსავე შემადგენელ ნაწილს, ე. ი. დანაშაული მიმართული იქნება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ეს მართლა ასე რომ იყოს, დანაშაული თავისთავის ან თუნდაც სხვა დანაშაულის წინააღმდეგ რომ იყოს მიმართული, მაშინ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა არ იქნებოდა, იგი საზოგადოებრივად სასარგებლოც კი შეიძლებოდა ყოფილიყო და მაშინ, საერთოდ დანაშაულზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა.

ასეთი რამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო მაშინ, საინტერესოა, სად შეიძლებოდა დანაშაულის ჩადენა, თვით დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში? თუ ობიექტი, სუბიექტი, ობიექტური და სუბიექტური მხარეები დანაშაულის ელემენტებია, მისი შემადგენელი ნაწილებია, თუ ამათი ერთობლიობა შეადგენს დანაშაულს და მეტი მას არაფერი სჭირდება, აღნიშნული „კომპონენტები“ თუ შეადგენენ დანაშაულის ერთიან, მთლიან სახეს, მაშინ გამოდის, რომ დანაშაული თვით დანაშაულში, მისი არსებობის სფეროში შეიძლება იქნეს ჩადენილი. ამის მტკიცება კი რომ აბსურდია, ჩვენი აზრით, სადავო არ არის.

რადგან დანაშაულის ობიექტი საზოგადოებრივი ურთიერთობაა და ყველა დანაშაული ასე თუ ისე მეტნაკლებად ზიანს აყენებს ამ ურთიერთობას, მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში. ამ სფეროს მიეკუთვნება ყველაფერი, სადაც შეიძლება იარსებონ საზოგადოებამ და მისმა წევრებმა, საზოგადოებრივი ურთიერთობის სუბიექტებმა, სადაც შეიძლება მათი ნებისმიერი უფლებების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის ობიექტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დანაშაულის (ქმედობის) ფარგლებს გარეთ და არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მის შემადგენლობაში, ჩაითვალოს მის ელემენტად, მის შემადგენელ ნაწილად. მისი არსებობა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის არსებობის სფეროში, სადაც შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა.

ახლა განვიხილოთ დანაშაულის ობიექტი, რომელსაც საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის შემადგენელ ნაწილს უწოდებენ.

სადავო არ არის, რომ დანაშაულის სუბიექტი არის ფიზიკური, კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული. შერაცხადი პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლისსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული, დასჯადი ქმედობა, ე. ი. დანაშაული. დანაშაული არის აღნიშნული პირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც გააჩნია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ყველა ნიშანი. ვიმეორებთ, რომ დანაშაული არის დანაშაულის სუბიექტის ქმედობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავისი შედეგებით.

პრაქტიკულად შეუძლებელია და თეორიულად დაუსაბუთებელი, რომ ადამიანი თავისი ქმედობის (ან უმოქმედობის) შემადგენელი ნაწილი იყოს. თუ დანაშაულის ჩამდენი პირი, დამნაშავე, ე. ი. დანაშაულის სუბიექტი არის დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, მაშინ მშენებელი უნდა იყოს მის მიერ აშენებული ნაგებობების შემადგენელი ნაწილი, წიგნის ავტორი წიგნის ნაწილი და ა. შ., მაგრამ ეს ხომ აბსურდია? ცხადია, არც დანაშაულის ჩამდენი პირი (სუბიექტი) შეიძლება იყოს დანაშაულის ნაწილი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე არის დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკური განწყობილება მისი ქმედობისა და ქმედობის შედეგის მიმართ. იგი მოიცავს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზნებს, განსაზღვრავს ბრალეულობის ფორმას, მაგრამ ეს ყველაფერი წარმოიშობა, ვითარდება და არსებობს მხოლოდ დანაშაულის სუბიექტის შეგნებაში, მისი ფარგლებიდან იგი ვერ გამოვა. იგი მართალია, ამოძრავებს დამნაშავეს, მაგრამ მას არა აქვს მატერიალური არსებობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, იგი გამოიხატება ინტელექტუალურ და ნებელობით ფორმებში, არის უაღრესად განვითარებული მატერიალური არსების, ადამიანის ტვინის ფუნქციონირების შედეგი, მაგრამ თვითონ არ წარმოადგენს მატერიალურ არსებას. დანაშაული მატერიალური არსებაა. იგი კანონსაწინააღმდეგო ქმედობაა, რომელიც მოქმედებს მისი ჩადენის სფეროში, გავლენას ახდენს გარემოცვაზე და ზიანს აყენებს კანონით დაცულ ობიექტებს. მასასადამე, დანაშაულის სუბიექტური მხარე არამატერიალურია, არსებობს მხოლოდ დამნაშავის შეგნებაში, ვერ სცილდება ადამიანის ტვინს, ტვინი ფუნქციონირებს მხოლოდ ფსიქიკურად ჯანმრთელ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანში. ამ პირობის დარღვევისთანავე, ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტისთანავე, წყდება დანაშაულის სუბიექტური მხარის არსებობაც. დანაშაული კი მატერიალური, ადამიანთა სამყაროში არსებული მოვლენაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია დანაშაულის შემადგენლობაში მისი სუბიექტური მხარის მოთავსება.

დანაშაულის ობიექტური მხარე, თვით დანაშაული და მისი ჩადენის ხერხი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და შინაარსობრივად ერთიმეორეში გადახლართული ცნებებია. დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც საერთოდ ცნობილია, არის დანაშაულის სუბიექტის ის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, რომელმაც განაპირობა დანაშაულებრივი შედეგის დადგომა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი დანაშაულად თვლის საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ობიექტებს. თუმცა, მეცნიერება არაიდენტურ განმარტებას აძლევს ამ ცნებას, მაგრამ საბოლოო ჯამში ამავე აზრზე დგას. მაგალითად, ვ. ს. პროხოროვი წერს: „ქურდობის ობიექტური მხარე არის ქონების ფარულად დაუფლება“². მთელი საბჭოური სისხლისსამართლებრივი ლიტერატურა ამ აზრს იზიარებდა და იგი შეესაბამებოდა კანონს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბებული იყო და არის შემდგენიარად: „ქურდობა, ე. ი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარულად გატაცება“.

2 იქვე, გვ. 313.



პროფ. ბ. ფურცხვანიძე ამავე საკითხზე წერდა: „ობიექტური მხრივ, დანაშაული გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარულად გატაცებაში“³.

არ მიიჩნევს რა სადავოდ საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს დანაშაულის ობიექტურ მხარეზე, ი. ბ. ფურცხვანიძე წერს:

„დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიეკუთვნება:

ა) საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), მისი გარეგანი მხარე, ბ) საზოგადოებრივად საშიში შედეგი, გ) მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედობასა და დამდვარ შედეგს შორის, დ) დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, იარაღი, ხერხი, საშუალებანი და მისი დამახასიათებელი სხვა გარემოებანი (ვითარება)“⁴.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, თუ ქმედობა მთლიანად, როგორც ზემოთ „ა“ პუნქტშია ნათქვამი, მიეკუთვნება ობიექტურ მხარეს, მაშინ მისი გარეგნული მხარის ცალკე გამოყოფა საჭირო არ არის, ხოლო მისი გამოყოფა, რაც საბჭოურ ლიტერატურაშია მოცემული, მიუთითებს ქმედობის გარეგნული მხარის, მისი სხვა ნაწილებისა და სხვა მხარეების გარეშე არსებობის შესაძლებლობაზე. ასეთ შემთხვევაში გასარკვევია, თუ რას გულისხმობს ავტორი გარეგნულ მხარეში, რაში გამოიხატება იგი, რომელი და რამდენი მხარე გააჩნია დანაშაულებრივ ქმედობას, მხარეების გარდა კიდევ რა ელემენტებს შეიცავს ეს ქმედობა და ა. შ., მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე არ შეიძლება იყოს დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, არც არის საჭირო ასეთი დეტალური ანალიზი. ეს ისედაც გარკვეულია. თუ ყველაფერი, რაც ზემოთ „(-დ)“ პუნქტებშია ჩამოთვლილი, მიეკუთვნება არა დანაშაულს, არამედ მხოლოდ მის ობიექტურ მხარეს, როგორც საბჭოურ ავტორებს მიაჩნიათ, მაშინ გამოდის, რომ ობიექტური მხარის არსი გაცილებით ფართო ყოფილა, ვიდრე თვით დანაშაულისა და არა მარტო არ ყოფილა დანაშაულის ფარგლებში მისი ობიექტური მხარის მოთავსების შესაძლებლობა, არამედ უნდა ვთქვათ, პირიქით, ე. ი. თვით დანაშაულის მისივე ობიექტური მხარის ფარგლებში მოთავსების შესახებ. ჩვენი აზრით, ამის მტკიცება აბსურდია, თუ ობიექტური მხარე მეტ გარემოებებს მოიცავს, ვიდრე თვით დანაშაული, თუ დანაშაული მხოლოდ ქმედობაა, როგორც მიუთითებს საბჭოური კანონი და ლიტერატურა, ხოლო მისი ობიექტური მხარე არის იგივე ქმედობა და მასთან ერთად ზემო, ოთხ პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებები, მაშინ გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს დანაშაულში მისი ობიექტური მხარის მოთავსების შესაძლებლობა. ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ დავა იმას ჰგავს, რომ ერთ ლიტრიან ბოთლში ორი, სამი ან მეტი ლიტრი სითხის ჩასხმა მოინდომოთ.

ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობაში არ შეიძლება არც მის ობიექტად და სუბიექტად ცნობილ და არც ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებად მიჩნეულ ცნებათა მოთავსება. მაშასადამე, გასარკვევია რა შინაარსია ჩადებული

³ ბ. ზ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწ.). თბილისის უნივერსიტეტი, 1966, გვ. 106.

⁴ ბ. ზ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1971, გვ. 89.

ტერმინში „დანაშაულის შემადგენლობა“, რა მნიშვნელობა აქვს მას, ან საერთოდ, საჭიროა თუ არა იგი კანონმდებლობაში?

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, ტერმინს — „დანაშაულის შემადგენლობა“, თავისი შინაარსის შესაბამისი დატვირთვა არა აქვს. მისი გამოყენება კანონმდებლობაში სიცარიელის დამკვიდრების ტოლფასია, ხოლო დანაშაულის შემადგენლობა იმ გაგებით, როგორც იგი. გამოყენებულია კანონში, ფაქტობრივად არ არსებობს. ამ შემადგენელი ნაწილებიდან არცერთი (ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე), როგორც ზემოთ ითქვა, არ შედის დანაშაულის შენადგენლობაში. ამ საკითხზე ვ. ს. პროზოროვი წერდა: „ყოველი დანაშაული არის ობიექტურისა და სუბიექტურის, მოქმედისა და ქმედობის ერთიანობა, მაგრამ ამ ერთიანობის ფარგლების ღრმად და დეტალურად შესწავლისათვის სისხლის სამართლის თეორია გამოყოფს დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს, ობიექტს, ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს და სუბიექტს“⁵. ამ მოსაზრებას სამოციან წლებში მხარს უჭერდა საბჭოთა მიცნობის დაახლოებით ნახევარი, ხოლო სხვები წინააღმდეგი იყვნენ. ცნობილი რუსი მეცნიერი ა. ა. პიონტკოვსკი წერდა: «Состав преступления как совокупность только фактических признаков соответствующего деяния — есть суть понятие не выражающее суть преступления»⁶.

ა. ა. პიონტკოვსკის საბჭოთა იურისტ-მეცნიერთა დიდი ნაწილი ეთანხმებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაში ტერმინმა — „დანაშაულის შემადგენლობა“, მაინც შემოაღწია, როგორც გამოირკვა და თვით ავტორებიც აღიარებენ, ეს ტერმინი აბსტრაქტულია, ფაქტობრივად იგი არ არსებობს. ამიტომ კანონმდებლობიდან ამოღებულ უნდა იქნეს. ჩვენი აზრით, იგი უნდა შეიცვალოს სიტყვით „დანაშაული“, მაგრამ გრამატიკული მნიშვნელობით შეიძლება მისი გამოყენების წესი ზუსტად განისაზღვროს. ალბათ, არ შეიძლება ყველგან, სადაც „დანაშაულის შემადგენლობა“ წერია, სიტყვა „დანაშაული“ ჩავწეროთ. მაგალითად, სსკ მე-18 მუხლის I ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბებულია ასე: „იმ პირს, ვინც ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“, შეიძლება ამგვარად შეიცვალოს; მოყვანილი ტექსტის ბოლო ნაწილს, სიტყვა „ქმედობა“-ს შემდეგ უნდა დაემატოს სიტყვები: „წარმოადგენს სხვა დანაშაულს“, ხოლო სიტყვები: „შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“, ამოღებული იქნეს. სხვა ვარიანტის გამოყენებაც შეიძლება, მთავარია გამოთქმა — „დანაშაულის შემადგენლობა“, შეიცვალოს სიტყვით „დანაშაული“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბებულია ასე: „ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარ-

⁵ ვ. ს. პროზოროვი, საბჭოთა სისხლის სამართლის კურსი (ზოგადი ნაწილი), ლენინგრადის უნივერსიტეტი, 1968, გვ. 250.

⁶ А. А. Пионтковский, Укрепление социалистической законности и основные вопросы учения о составе преступления, «Советское государство и право», 1954, № 6, с. 74.

სებობის გამო“. ეს მუხლი შეიძლება შეიცვალოს ამგვარად: „ქმედობის არა დანაშაულებრივი ხასიათის გამო“ და ა. შ.

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ კანონში ლაპარაკი იყოს დანაშაულზე, რაც ფაქტობრივად არსებობს და არა იმ არარსებულ შემადგენლობაზე, რომელიც სიცარიელის ტოლფასი მნიშვნელობითაა გამოყენებული. ეს კიდევ უფრო იმიტომაც დაუშვებელი, რომ იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელს ეხება.

საქართველოს საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლები, ჩვენი აზრით, უნდა შეიცვალოს გაერთიანდეს ერთ მუხლად და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამოყენების საფუძველია ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში. ბრალეულობა საბოლოოდ დგინდება სასამართლოს მიერ განაჩენით“. შეიძლება ეს რეკომენდაცია სხვანაირად, მაგრამ ტოლფასად შეიცვალოს. მაგალითად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამოყენების საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა“. ჩვენი აზრით, ორივეგან ერთიდაიგივე მნიშვნელობის აზრია გამოხატული.

როგორც ვიცით, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი ჩამოყალიბებულია როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველები, თუმცა, ამ მუხლში ლაპარაკია არა იმაზე, თუ რა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, არამედ იმაზე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, ვის და რისთვის დაედება სასჯელი. თუ მუხლის სახელწოდება ახალ კოდექსში ასევე დარჩა, მაშინ მისი სახელწოდება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. ჩვენგან შემოთავაზებული წინადადება კი სრულყოფილად მოიცავს მეოთხე მუხლის შინაარსსაც და ალბათ უკეთესი იქნება მათი გაერთიანება. არ შეიძლება შესაბამისი დატვირთვის არმქონე ტერმინების შემოღება და სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება. ისიც ცხადი და ნათელია, რომ დანაშაულს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მისი ობიექტი, სუბიექტი და სუბიექტური მხარე, ხოლო რაც შეეხება ობიექტური მხარის დამოუკიდებლად არსებობას, ეს საკითხი ჩვენ ცოტა განსხვავებულად გვესმის. მიმაჩნია, რომ ობიექტური მხარის, თვით დანაშაულისა და მისი ჩადენის ხერხის ძირითადი არსი ერთიმეორეს ემთხვევა. ყველაფერი (საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედობასა და შედეგს შორის და სხვა), რასაც სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიაკუთვნებენ, თავისთავად დანაშაულია. დღემდე გამეფებული მოსაზრებებიდან გამომდინარე კი, ობიექტურ მხარეს ვუწოდებთ დანაშაულის სუბიექტის კანონსაწინააღმდეგო ქცევას, ქმედობას, ე. ი. მოქმედებას და უმოქმედობას მასთან დაკავშირებულ გარემოებებთან ერთად, რომლის დანაშაულისაგან განსხვავება ძალიან ძნელია. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ობიექტური მხარის არსებობის საკითხზე მსჯელობა დამთავრებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. უბრალოდ, იგი სცილდება ამ სტატიით დასახულ მიზანს, ხოლო მისი არსებობა ან არარსებობა, ხელს არ უშლის შემოთავაზებულ რეკომენდაციებს.

შეტრინარული პრეპარატების გამოყენებას—იურიდიული საფუძველი

ცნობილია, რომ მეცხოველეობაში უკონტროლოდ გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატები უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ეს კი პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან და მის გენეტიკურ მომავალთან.

ვეტერინარიაში გამოყენებული პრეპარატების რიცხვი დღეს 50 ათასს აღწერს, აქედან 8 ათასი ანტიბაქტერიალური ნივთიერებებია. რაც შეეხება პესტიციდებს, მათი ასორტიმენტი ამჟამად თითქმის ასიათასი დასახელებისაა, რომელთაგან საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენება ასზე მეტი. აღნიშნული პრეპარატების ტოქსიკოლოგიური მხარე აიხსნება მათი ბიოლოგიური აქტივობით, რომელმაც შეიძლება შეასრულოს როგორც დადებითი (მკურნალობის, სტიმულიაციის, რეზისტენტობის მომატების და მავნე საწყისის განადგურების) ასევე უარყოფითი ფუნქციაც — ცხოველების პროდუქციის ხარისხის გაუარესება, პროდუქტებში მავნე ნივთიერებების დაგროვება, ცხოველის და ადამიანის ორგანიზმში შორეული მოქმედების გამოვლენა (მუტაგენობა, ტერატოგენობა, კანცეროგენობა და სხვა). ქიმიზაცია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დიდი რეზერვია, ამავე დროს იგი მალავს დიდ საშიშროებას მისი არასწორი გამოყენების დროს. ის შესაძლოა ცხოველების და ადამიანების მასიური მოწამვლის წყარო გახდეს.

დიდ საშიშროებას იწვევს ბიოპრეპარატების (ვაქცინა, შრატი, დიაგნოსტიკუმი, პლაზმიდები და გენური ინჟინერიით მიღებული პრეპარატების არასწორი გამოყენება მეცხოველეობაში. მაგალითად, დადასტურებულია, რომ ორგანიზმში შეყვანილმა სხვადასხვა ბიოპრეპარატმა თავდაცვითი ძალების გამომუშავებისას შეიძლება გამოიწვიოს მუტაგენური ცვლილებები და ცხოველების, ადამიანების კანცეროგენულ დაავადებათა მიზეზი გახდეს.

მიმდინარეობს რა ძველი შეხედულებების გადასინჯვა, საჭიროა ყოველგვარი საშუალებით ვებრძოლოთ მავნე ორგანიზმებს, რომლებიც ხშირად განიხილება, როგორც დიდი და მცირე ეკოლოგიური სისტემის შემადგენელი ნაწილები. ამიტომ დღეისათვის ყველას უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს მავნე ორგანიზმების მაქსიმალური შეზღუდვით ეკოლოგიის მინიმალური დარღვევა. ვიდრე რაიმე ღონისძიების გატარებას დავიწყებდეთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ, საჭიროა გავიანგარიშოთ, თუ სადამდე შეიძლება შე-

ვამცირით მაგნე ორგანიზმების რიცხვი. სპეციალისტი უპირველესად იმაში უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ბიოცენოზიდან ამა თუ იმ სახის მაგნე ორგანიზმების გამოყვანა და მოსპობა უარყოფითად არ იმოქმედებს ეკოლოგიაზე.

აქვე უნდა ითქვას ერთ მეტად საჭირობოროტო საკითხზეც. ცნობილია, რომ მარცვლეულის საერთო მოსავლის 60-70 პროცენტი იხარჯება ცხოველების საკვებად. ეს საკვები კი მოიპოვება იმ ნიადაგზე, რომელიც სასუქებისა და პესტიციდების უკონტროლო გამოყენებით ხშირად ძალზე დაზიანებულია.

აი, როგორია მონაცემები ამ მხრივ: 1986 წელს ჩვენს ქვეყანაში ყოველ 1 ჰა სახნავ ფართობზე 2 კგ პესტიციდი გამოიყენეს, ხოლო 1990 წელს ეს რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. ამჯამად არის რაიონები (ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე), სადაც ყოველი 1 ჰა მუშავდება 230 კგ, პესტიციდით, ეკოლოგიის სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან განსხვავებით, პესტიციდები შეგნებულად შეგვაქვს ნიადაგში. უნდა ითქვას ისიც, რომ სპეციალისტები ეპიზოტის საწინააღმდეგო გეგმის მიხედვით ატარებენ რა ღონისძიებებს, ცხოველებს და გარემოს ამუშავებენ პესტიციდებით, რის შედეგადაც მაგნე ორგანიზმებს უვითარდებათ რეზისტენტობა და პრეპარატების უპასუხისმგებლო, არასწორი გამოყენებით ბინძურდება გარემოც. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გამკაცრდეს კონტროლი ვეტერინალური პრეპარატების გამოყენებაზე, ხოლო სოფლქიმიის სტრუქტურებმა თავიანთი ნორმატიული დოკუმენტაციები გამოსაყენებელ სასუქებზე და პესტიციდებზე შეათანხმონ ვეტერინარულ სამსახურთან.

მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის გაუარესების პრობლემამ ამ ბოლოხანს ფართო ხასიათი მიიღო. მნიშვნელოვანწილად იგი განპირობებულია პროდუქტებზე ერთიანი, სამომხმარებლო მოთხოვნებისა და მისი მართვის ერთიანი სისტემის უგულვებელყოფით, რაც უშუალო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან და მის გენეტიკურ მომავალთან. ამიტომ, ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების რეგლამენტაცია დაკავშირებულია არა მარტო ვეტერინარულ და სამედიცინო სამსახურთან, არამედ სამართლებრივ ოგანოებთანაც, რომლებსაც ამჯამად არა აქვთ მწყობრი იურიდიული დიფერენცირებული მიდგომა პესტიციდებისა და ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაზე. ასევე არაა დამუშავებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხები ქიმიკატების ბოროტად ანუ დაუდევრად გამოყენებისათვის. ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ იურიდიულმა მეცნიერებამ გაითვალისწინოს სხვადასხვა ნივთიერების როლი ვეტერინარიის ქიმიზაციის დროს და გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები ვეტერინარული კანონმდებლობის შექმნისა და შესაბამისი სამეცნიერო რეკომენდაციების ჩასატარებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იურიდიული რეგლამენტაციის გარეშეა დარჩენილი ცხოველების იმუნოზაციის საკითხიც. იურიდიული კანონმდებლობის შემოღებით გაუმჯობესდება ზრუნვა ცხოველებისა და ადამიანების ჯანმრთელობაზე, ყურადღების არეში აღმოჩნდება გარემოს დაცვა, რაც შეეხება მთელ რიგი განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას. ჩვენი აზრით, მეცხოველეობის ქიმიზაციის სამართლებრივი რეგულაცია მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამ ჯგუფს.

პირველი ჭკუფი — ეს არის ქიმიური ნივთიერებების ტოქსიკური საშიშროება ადამიანისათვის, ცხოველებისათვის და გარემოსათვის.

მეორე ჭკუფი — განპირობებულია სამეცნიერო და სამეურნეო მიმოქცევაში ქიმიურ ნივთიერებათა შეყვანილ ე. ი. მათი პრაქტიკული სარგებლობით, რომელიც გამომდინარეობს ტექნოლოგიური და ეკონომიკური მიზნებიდან.

მესამე ჭკუფი — ეს არის ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდება დროის გასვლის შემდეგ ან ოფიციალურად აკრძალული პრეპარატების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

ამგვარად, ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება მეცხოველეობაში იწვევს მთელი რიგი საზოგადოებრივი ურთიერთობების გამოცოცხლებას, პრეპარატების ობიექტური რეგლამენტაციის საჭიროება მოითხოვს მათი წარმოების გამოყენების, შენახვის ან განადგურების წესების დადგენა-შესრულებას. ყველაფერი ეს კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იურიდიულ საფუძველზე, რომლის აუცილებელ პირობად სპეციალური კანონმდებლობის შემოღება გვესახება.

ამისათვის მიზანშეწონილია შესაბამისმა ინსტანციებმა მიიღონ: ა) კანონი ვეტერინარული პესტიციდების გამოყენებაზე, ბ) კანონი ცხოველების იმუნიზაციაზე, გ) ნორმატიული აქტები მეცხოველეობაში გამოყენებულ სამკურნალწამლო ნივთიერებებზე, სტიმულიატორებზე და სხვა.

ასეთი აქტები უნდა იყოს ყოველმხრივ ამომწურავი, მათში გათვალისწინებული საკითხები უნდა შეეხოს არა მხოლოდ წმინდა იურიდიულ მხარეს, არამედ ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ ვეტერინარულ, სამედიცინო და სხვა პრობლემებს, რათა კვალიფიციურად და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად ვმართოთ ვეტერინარული დარგის ქიმიზაცია.

რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის დღევანდელი ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობას ჰქონდეს ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტები. საამისოდ კი საჭიროა, ვეტერინარულ პრაქტიკაში იურიდიული კანონმდებლობით განვამტკიცოთ ქიმიური ნივთიერებების გამოყენების წესი, ყველაფერი ვიღონოთ, რომ არასოდეს შეილახოს ადამიანის და ცხოველის გენეტიკური უშიშროება, საშვილიშვილოდ დავიცვათ ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრე და სიწმინდე.

არჩილ გაბიაშვილი,
ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი
თამაზ გავაშელი,
ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი
ლევან დემეტრაძე,
ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი

ჰონორარი გადაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში.



თამარ ჩიჭოშვილი

საიჯარო კანონმდებლობის შუქ-ჩრდილები

დღეს ცხარე კამათი მიმდინარეობს, რათა რაც შეიძლება სწორად გატარდეს მიწის რეფორმა, რამეთუ იგი აგარაული რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა.

მიწის რეფორმის შესახებ კანონპროექტის შესაბამისად მიწაზე დაშვებულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრების მიწებზე კი შეიძლება გამოვიყენოთ მიწათსარგებლობის საიჯარო ფორმა, რომელიც ყველგან და ყოველთვის არსებობდა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა. სათანადო ორგანოების მიერ დღემდე გამოცემულმა ვერც ერთმა კანონმა თუ კანონქვემდებარე აქტმა ვერ მისცა მას დასრულებული სახე და იგი დღესაც ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესშია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კანონის სწორად გაგებასა და ცხოვრებაში გატარებას, რადგან: „თუ მკითხველი დაკვირვებია ჩვენს ცხოვრებას, თვალყური უდევნებია გლეხკაცობის ავლა-დიდებისათვის, ადვილად დაინახავდა, რომ ახალმა სამართალმა ის ნაყოფი არ მოიტანა, რომელსაც არათუ ჩვენ, არამედ მცირე ძმანიც ჩვენნი მოელოდნენ“¹. ეს სიტყვები კარგად ესადაგება იჯარის შესახებ კანონის მოქმედების შედეგებს, რადგან მართო კანონის გამოცემა არ არის საკმარისი. მთავარია იურიდიული და არა ინდივიდუალური მიდგომა. თუ კანონს არ შევასრულებთ, ანდა ისე არ შევასრულებთ, როგორც კანონი თხოულობს და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ყოველთვის სასურველ კუთხეს მოვუძებნიოთ, მაშინ კანონის არსებობას აზრი არა აქვს, იგი შედეგს ვერასოდეს ვერ მოგვცემს.

მიწასთან პატიოსან შრომას შეჩვეული გლეხი ნაკლებად იცნობს წერილობით საბუთს (ჩვენს შემთხვევაში ხელშეკრულებას), ნაკლებად ესმის მისი, როგორც იურიდიული საბუთის მნიშვნელობა, და არ არის, ანდა ნაკლებად არის გათვითცნობიერებული მისი უინაარსის სრულყოფის საქმეში, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეს არასრულყოფილად გააფორმოს ხელშეკრუ-

1 ნ. ხიზანიშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, გვ. 18.

ლება და გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რის გამოც მოიჯარე ხშირად მოტყუებული რჩება.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოიჯარეს საიჯარო ხელშეკრულებას ვადაზე ადრე გაუქმებენ ხოლმე მიწის ნაკვეთს, რომელიც მას 15 ან 20 წლით ჰქონდა აღებული, პირადი მოსაზრებებით ჩამოართმევენ და იმავე პირობებით გადასცემენ სხვას. ასეთი მოქმედება კანონის უხეში დარღვევა და საერთოდ იჯარის არასწორი გაგებაა. რა მიზეზიც არ უნდა არსებობდეს. თუ მოიჯარე არ არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ არც ერთ პირობას, მას საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე არ უნდა შეეწყვიტოს. გამონაკლისი შეიძლება დავუშვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა მიწის ნაკვეთის გამოყოფის აუცილებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

თუ ხელშეკრულების მოქმედება იურიდიული საფუძვლის გარეშე ვადაზე ადრე შეწყდება, ბრალულმა მხარემ პასუხი უნდა აგოს კანონის შესაბამისად, მაგრამ დღეს საიჯარო წესით სარგებლობისათვის მიწების მიცემისა და წართმევის შემთხვევებს ისეთი მასიური სახე აქვს, რომ მოიჯარე (გლეხი) ამას უკვე ბუნებრივადაც კი მიიჩნევს და ვეღარც კი წარმოუდგენია, რომ მეიჯარის (ე. ი. მეურნეობის დირექტორის თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარის) იქით არსებობს სასამართლო, რომელსაც შეუძლია გაარკვიოს, თუ რატომ შეწყდა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე. ამას სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ადასტურებს. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სასამართლოში 1991 წლის იანვრიდან 1992 წლის ივნისამდე არ შემოსულა და შესაბამისად არ განხილულა საქმე, რომელიც შეეხება საიჯარო ხელშეკრულებების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს, მაშინ, როცა ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია და ბევრს თავისი დაკარგული უფლებები შეიძლება სასამართლოს გზით კვლავ აღედგინა.

მართალია, იჯარის კანონმდებლობის შესახებ დღეს მოქმედი დებულება არ შეიცავს კონკრეტულ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისას, რომელიც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის საფუძველი, მაგრამ დებულების 3.10-ე პუნქტში გასაგებად წერია, რომ მოიჯარესა და მეიჯარეს შორის დადებული ხელშეკრულება ვადაზე ადრე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, ე. ი. მხოლოდ ვალდებულებათა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მიზეზი ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლისა. მაგალითად, მცხეთის რაიონში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს საიჯარო წესით 20 წლის ვადით აღებული ჰქონდა 20 ჰექტარი სახნავი მიწის ნაკვეთი. იგი ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებდა, მაგრამ მეურნეობის ადმინისტრაციამ ოფიციალური ბრძანებით აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეწყვიტა იმ მოტივით, რომ მეურნეობაში შეიქმნა მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა. უნდა შეცვლილიყო საიჯარო ქირის სახე და ოდენობა (ხელშეკრულების თანახმად მოიჯარე საიჯარო ქირას იხდიდა ფულადი სახით). ასეთ შემთხვევაში მეიჯარე ვალდებული იყო მოიჯარის წინაშე დაეყენებინა საიჯარო ხელშეკრულების პირობების შეცვლისა (მითუმეტეს, რომ მოიჯარე თანახმა იყო საიჯარო ქირა, ნაცვლად ფულადი სახისა, გადაეხადა ნატურით) და არა მისი გაუქ-

მების საკითხი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხი ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით უნდა განიხილა სასამართლოს.

პრაქტიკაში ხშირია სოფლების გაყოფა, (მაგალითად, გურჯაანის რაიონში გაიყო სოფლები: ჭანდარი და ვეჯინი), რაც ხშირად საიჯარო ხელშეკრულებების ვადაზე ადრე მოშლის საფუძველი ხდება. სწორედ სოფელ ვეჯინში ძცხოვრებ პირს ვეჯინის მეურნეობასთან დადებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე 1988 წელს გადაეცა 2 ჰექტარი ცარიელი მიწის ნაკვეთი, რაზედაც მან, ხელშეკრულების პირობის თანახმად, საკუთარი სახსრებით გააშენა ვენახი. 1991 წელს, როდესაც პირველი მოსავალი უნდა მიეღო, გააუქმეს ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ მოხდა სოფლის გაყოფა. სოფელ ვეჯინს გამოეყო სოფელი კეკა. მიწის ნაკვეთი (შემდეგში უკვე ვენახი), რომელიც პირს იჯარით ჰქონდა აღებული, ტერიტორიულად მიეკუთვნა სოფ. ვეჯინს, ხოლო თვით მოიჯარე კი ცხოვრობს სოფ. კეკის ტერიტორიაზე.

ცხადია, როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით ასეთი მოქმედება ყოვლად გაუმართლებელია, რადგან საკუთარი ხელით გაშენებული ვენახი მოიჯარეს უკვე გათავისებული აქვს, მას უფლის როგორც საკუთარს და სამი-ოთხი წლის უნაყოფო შრომის შემდეგ, რომელიც მის გაშენებას სჭირდება, ჩამოართმევნ და იმავე საიჯარო პირობებით გადასცემენ სხვას, ისე რომ იგი ერთხელაც ვერ ასწრებს მოსავლის მიღებას. მართალია, იჯარის შესახებ დღეს მოქმედ დებულებაში არ არის მინიშნებული, რომ მესაკუთრის ე. ი. მეიჯარის, შეცვლა შეიძლება თუ არა გახდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი, მაგრამ სოფლის გაყოფა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მეიჯარის შეცვლა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმების საფუძველი, იმ მოტივით, რომ გაყოფის გამო მოიჯარე გახდა სხვა სოფლის მაცხოვრებელი, ხოლო მიწის ნაკვეთი, რომელიც მას იჯარით ჰქონდა აღებული, ტერიტორიულად გახდა სხვა სოფლის კუთვნილება. ტერიტორიული პრინციპის დაცვა, ე. ი. მოიჯარე ცხოვრობდეს და მუშაობდეს იმავე სოფელში, რომელსაც იჯარით ასაღები მიწის ნაკვეთი ეკუთვნის, სავალდებულო არ არის.

ზემოაღნიშნული მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა კანონის არასწორი გაგება, ან მისი შეგნებული დარღვევა, რამეთუ ხელშეკრულების მოქმედება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხოლოდ საიჯარო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში.

საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის მე-14 მუხლში ნათქვამია: მეიჯარე ორგანიზაციის რეორგანიზაცია, ან იჯარით აღებული ქონების შეცვლა არ არის ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი, რასაც საიჯარო ურთიერთობათა შესახებ დღემდე მოქმედი არცერთი დებულება არ ითვალისწინებს. აღნიშნული საკითხი კი მეტად მწვავედ წამოიჭრა პრაქტიკული საქმიანობის დროს, ამიტომ მე-14 მუხლში გამოთქმული აზრი უცვლელად უნდა შევიდეს საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ კანონში. იგი აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ მიწის შესახებ იჯარის კანონშიც. „თვით ბატონყმობის დროსაც კი აკრძალული იყო გლეხკაცობისათვის უმიზეზოდ იმ მიწის ჩამორთმევა, რომლის მიმართაც მას გააჩნდა მფლობელობა და სარგებლობა, რომელ-

2 ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, გვ. 69.

შიც მას ჯანი და ღონე ჰქონდა ჩადგრილი. სამართალიც და ჩვეულებაც თხოულობდა ეს მამული მისთვის უმიზეზოდ არ გამოეწირა ბატონს“². ამის გახსენება იმიტომ დაგვიკირდა, რომ თუ არ დავიცავთ სამართალს, არ განვამტკიცებთ დისციპლინას, უგულვებლევყოფთ და არ შევასრულებთ ხელშეკრულებებს, მაშინ საიჯარო ურთიერთობის რაიმე უკეთეს შედეგებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დროს შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე ვარკვეულ გაუმჯობესებათა წარმოების აუცილებლობა. აღნიშნულს ეხება საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ კანონის პროექტის მე-11 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილები.

მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად „თუ მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით საკუთარ და მასთან გათანაბრებული სახსრებით მოახდინა ისეთი გაუმჯობესებანი რომელთა გამოყოფა იჯარით აღებული ქონების დაზიანების გარეშე შეუძლებელია, მეიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მოიჯარეს აუნაზღაუროს განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება, ხოლო ღირებულება იმ განუყოფელი გაუმჯობესების, რომლებიც მოიჯარემ მოახდინა მეიჯარის ნებართვის გარეშე, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.“

ქონების იჯარით ხელახლად აღებისას მოიჯარეს უფლება აქვს აინაზღაუროს იჯარით აღებული ქონების განუყოფელი გაუმჯობესებანი, რომლებიც მან მოახდინა საკუთარი სახსრებით, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მეიჯარის ნებართვა ასეთ გაუმჯობესებაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ე. ი. მოიჯარე, რომელმაც საკუთარი სახსრებით, მეიჯარის თანხმობის გარეშე მოახდინა განუყოფელი გაუმჯობესებანი, მის ღირებულებას აინაზღაურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგივე ქონებას იგი ხელახლად აიღებს იჯარით, განაახლებს ხელშეკრულებას და გააგრძელებს მისი მოქმედების ვადას. ამდენად, პირველი ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მოიჯარე ამ ღირებულებას ვერ აინაზღაურებს.

ამავე მუხლის მე-6 პუნქტში კი ნათქვამია, რომ „მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის ვადის გასვლის ან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოითხოვოს მის მიერ განხორციელებული გაუმჯობესების (როგორც გამოსაყოფი, ისე განუყოფელი) ღირებულებათა ანაზღაურება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. აქ კი გამოთქმულია სრულიად საწინააღმდეგო აზრი, ე. ი. მოიჯარეს იჯარის ვადის გასვლის ან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, როგორც ჩანს, უფლება აქვს აინაზღაუროს მის მიერ განხორციელებული განუყოფელი გაუმჯობესებების ღირებულება, მიუხედავად იმისა, ეს გაუმჯობესება მოხდა თუ არა მეიჯარის თანხმობით.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად მეიჯარის თანხმობის გარეშე მომხდარი განუყოფელი გაუმჯობესებების ღირებულება, თუ არ იქნება თავად მეიჯარის ნება, მოიჯარეს არ უნდა აუნაზღაუროდეს. ხოლო თუ ეს გაუმჯობესება გამოწვეული იყო უკიდურესი აუცილებლობით, მაშინ მისი ღირებულება, მიუხედავად მეიჯარის თანხმობისა, უნდა აუნაზღაუროდეს მოიჯარეს.

ასეთი გაუმჯობესებების შესახებ მოიჯარემ უნდა აცნობოს მეიჯარეს.

ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ აღნიშნულ შენიშვნებს გაითვალისწინებენ მომავალ საიჯარო კანონმდებლობაში.

ელენე მისკარიანი-შეხილაძე

ქორწინება და დაქორწინების წესი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისათვის საოჯახო სამართალში ყველაზე მეტად ილახება ქორწინების ინსტიტუტი. მისი დაუხვეწაობა და შეზღუდულობა. უამრავი შეცდომები და ხარვეზები პირდაპირ აღმაშფოთებელია. იგი მოითხოვს თითქმის ყველა ნორმის ძირეულ შეცვლასა და დეტალიზაციას. ქორწინების ინსტიტუტის არასრულყოფილების შედეგია დაბალი დონე სხვა საოჯახო სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც დაკავშირებულია პირად და ქონებრივ, ცოლ-ქმრულ და შობებელთა სამართალურთიერთობასთან, ასევე ქორწინების შეწყვეტასთან, რადგან იგი უკავშირდება მისი წარმოქმნის საშუალებას. ეს უკანასკნელი პრინციპი მხოლოდ საოჯახო სამართალს როდი ეხება. იგი დადგენილია ჯერ კიდევ ძველი რომის იურისტების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბუნებრივი უფლებების და მოვალეობების შელახვა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მათი აღმოცენების საშუალებას, და მართლაც, იგი ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელზე დამოკიდებული. მაგალითად, ჩვენი პრობლემის განხილვისას ქორწინების შეწყვეტა (დამოუკიდებლად მისი შეწყვეტის მიზეზისაგან — იქნება ეს განქორწინება თუ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადება) ჩვეულებრივ გადმოიციემა მისი განხორციელების წესთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, კანონმდებელი მკაცრად მიჯნავს იურიდიულად გაფორმებულ და ფაქტობრივ ქორწინებას სახელმწიფოს მიერ დამოწმებული ქორწინების შედეგად აღმოცენებულ პირთა უფლებებსა და ვალდებულებებს, და იმ პირთა უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ეგრეთ წოდებული ფაქტობრივი ქორწინებით უერთდებიან ერთმანეთს, თუმცა არ არის გათვალისწინებული თუ რამდენი ხანი ვრძელდება ეს ფაქტობრივი ქორწინება და მყარი არის თუ არა იგი. დღეს მოქმედი კანონი აღიარებს მხოლოდ ქორწინების ერთადერთ ფორმას — იგი რეგისტრირებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანოს მიერ როგორც სამოქალაქო მდგომარეობის აქტი. სრულიად იგნორირებულია დაქორწინება რელიგიური წესით ან რაიმე სხვა ფორმით (მაგ., განცხადების წესით). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არ კრძალავს რელიგიური წესით დაქორწინ-

ნებას ან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებს. აქ მოქმედებს დასაქორწინებელ პირთა არჩევანის თავისუფლების პრინციპი და სახელმწიფო ამას საკმაოდ ლოიალურად ეკიდება. აკრძალვა ვრცელდება ბევრად უფრო ფართოდ და ატარებს სახელმწიფოს სურვილის დარღვევისათვის სანქციის ხასიათს. ასეთ შემთხვევებში კანონი არ იცავს მოქალაქეთა, როგორც საოჯახო სამართალურთიერთობების სუბიექტების, ინტერესებს; ამასთან, სამართლებრივი დაცვის გარეშე რჩება არა მხოლოდ თავად მეუღლეთა ინტერესები (ქონებრივი, საბინაო, სამემკვიდრეო), არამედ მათი შვილების ინტერესებიც, თუ მამობა არ არის სათანადოდ დამტკიცებული.

მაგრამ დაქორწინებიდან გამომდინარე, სამართალურთიერთობების ხასიათის დასადგენად (არსებითად, ეს არ არის ჩვენი ამოცანა), აუცილებელია დადგინდეს რა არის ქორწინება იურიდიული თვალსაზრისით, ვინაიდან შეუძლებელია გავიგოთ შედეგი, თუ არ ვიცით მისი გამომწვევი მიზეზი.

ქორწინება არ არის განსაზღვრული კანონმდებლობის მიერ. აღნიშნული საკითხის შესახებ არსებულ სამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორები ვერ შეთანხმებულან და ყოველი მათგანი თავის კონცეფციას წარმოგვიდგენს, ხსნის მას შეტად წინააღმდეგობრივად, ამასთან, თითოეული თავს ვალდებულად თვლის ეკამათოს მეორეს და აღიარებს თავის მოსაზრებას ერთადერთ მართებულ დებულებად. აქ ახლა აღარ დავამატებთ ჩვენს განსაზღვრებას ქორწინების შესახებ, რადგან ამჯერად მხოლოდ ქორწინების იურიდიული ბუნების არსის, დაქორწინების ძირითადი და უმთავრესი პირობების დადგენა გვინტერესებს. უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილია, რომ ქორწინების ძირითადი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა მხარეთა ნებაყოფლობითი თანხმობა, ე. ი. დასაქორწინებელ პირთა სურვილის თავისუფალი გამოვლინება.

მრავალი საზღვარგარეთელი მკვლევარის საწინააღმდეგოდ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქორწინება ხელშეკრულებაა, ჩვენ სხვა აზრს ვიზიარებთ, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელშეკრულება. რატომ არ შეიძლება ქორწინების მიჩნევა ხელშეკრულებად და რა არგუმენტები აქვთ ამ მოსაზრების მხარდამჭერებს?

საქორწინო ურთიერთობების სახელშეკრულებო ხასიათის შესახებ მოსაზრება ემყარება ქორწინების ძირითად ნიშანს — დასაქორწინებელ პირთა თანხმობას დაქორწინების თაობაზე. ვინაიდან თანხმობა ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველია, აქედან გამომდინარე, ქორწინებასაც ხელშეკრულებათა რიგს აკუთვნებენ. მაგრამ ყოველი ხელშეკრულების არსია ერთი ან ორივე კონტრაგენტისთვის განსაზღვრული მოვალეობების დაკისრება, რომლებიც შეესაბამება მეორე მხარის ან ორივე მხარის გარკვეულ უფლებებს. ამასთან, ქორწინების, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან გამომდინარე მოვალეობების განსაზღვრის დროსაც მკვლევარები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. ეს არის ბავშვების შობის და აღზრდის მოვალეობა, ან უშუალოდ ცოლ-ქმრული მოვალეობების აღსრულება, ან ერთმანეთის მხარდაჭერა და რჩენა და ა. შ. მაგრამ საქორწინო კავშირის შედეგად აღმოცენდება არა მხოლოდ გარკვეული, კერძო ვალდებულებები, როგორც ეს ხდება სხვა სახის ხელშეკრულებების შემთხვევაში, არამედ სრულიად სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობები, რომელთა საფუძველია არა კანონით დად-

გენილი სახელშეკრულებო დისციპლინის შესრულება, არამედ მეუღლეთა ინტერესების ერთიანობა, კავშირის შექმნის თავისუფლება, მონოგამია, პარიტეტი ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტისას, ბავშვების აღზრდა და ა. შ. ამ ვალდებულებათა სპექტრი ბევრად ფართო და სტაბილურია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებისას; როგორც წესი, საქორწინო ურთიერთობები სამუდამოა (განსხვავებით სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან) მათი შეუსრულებლობა ან ცუდად შესრულება საჯარიმო სანქციებს არ იწვევს. აქედან გამომდინარე, ქორწინება, საქორწინო ურთიერთობა არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ მას აქვს მხოლოდ სპეციფიკური მახასიათებლები.

დაქორწინება ხდება გარკვეული, კანონით დაწესებული წესით, ე. ი. ეს არის სახელმწიფოს მიერ სანქცირებული კავშირი. მხოლოდ კანონით დადგენილი წესების დაცვაა საფუძველი ცოლ-ქმრული სამართალურთიერთობების აღმოცენებისა. აქედან გამომდინარე, ეს არის სამართლებრივი, ბუნებრივი და მორალური ინსტიტუტი, რომელსაც აქვს ბიოლოგიური, ასევე სოციალური ფუნქციები. ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულებად, ვინაიდან მას არ ახასიათებს სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

დაქორწინებას წინ უძღვის მოსამზადებელი სტადია. ე. წ. ნიშნობა. ეს არის საუკუნოვანი ტრადიცია და უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტი. რომაული სამართალი ნიშნობას განიხილავს როგორც „...მომავალი ქორწინების წინადადებას და ორმხრივ დაპირებას“, რომლის განხორციელებისათვის საკმარისია თანხმობა. კანონიკურმა სამართალმა სრულად შემოინახა რომაულ სამართალში არსებული კონცეფცია, დაწვრილებით დაამუშავა ნიშნობის ინსტიტუტი და მიიღო ნორმა, რომელიც ჩართულია 1917 წლის კანონიკური სამართლის კოდექსის შესაბამის კანონში (1017) და ითვალისწინებს ორ ძირითად მომენტს: კერძოდ, ქორწინების დაპირება ნიშნობის ფორმით უმოქმედოა, თუ არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტი, ხელმოწერილი მხარეების და მღვდლის მიერ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ნიშნობაზე დამსწრე ორი მოწმის მიერ. იმ შემთხვევაშიც, როცა დაქორწინების დაპირება ძალაშია და არ არის საპატიო მიზეზი, რომელიც ერთ-ერთ მხარეს ათავისუფლებს დაპირების შესრულებისაგან, მეორე მხარეს არა აქვს არავითარი საფუძველი წაუყენოს სარჩელი იძულებით დაქორწინების თაობაზე, მაგრამ უფლება აქვს წააყენოს სარჩელი დაქორწინებაზე უარის გამო მიყენებული ზარალის თაობაზე.

მრავალმა ქვეყანამ თავიანთ კანონმდებლობაში (მაგ., ავსტრია, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი) დააფიქსირა კანონიკური სამართლის ეს დებულება, მაგრამ თუ ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო დებულება პირდაპირ არეგულირებს ამ ინსტიტუტს და მიუთითებს, რომ ნიშნობის ჩაშლას დაქორწინების თვალსაზრისით არ მოსდევს არავითარი სამართლებრივი შედეგები, მაგრამ მხარეს, რომლის ქცევა ნიშნობის პერიოდში უზადო იყო, უფლება აქვს ითხოვოს ზარალის ანაზღაურება თუ დაამტკიცებს, რომ დაზარალდა დაქორწინებაზე უარის შედეგად. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი უშუალოდ ნიშნობას არ არეგულირებს, მაგრამ არაერთხელ მოიხსენიებს მას შესაბამის მუხლებში, რომლებშიც მითითებულია ნიშნობის დარღვევის შემთხვევაში საჩუქრების დაბრუნების, ასევე მიყენებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობა.

ბა. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაქორწინების პირობის შესრულება სავალდებულო არ არის. დაქორწინების მოთხოვნა დაცული არ არის, მაგრამ კანონმდებელი ითვალისწინებს დამნაშავე მხარის მიერ ქორწილის მომზადებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. სხვაგვარი მდგომარეობა შეიქმნა ინგლისის სამართალში, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის აღძვრას დაქორწინების დაპირების არშესრულების შემთხვევაში. პრაქტიკულად, სარჩელის აღძვრა დასაშვებია იყო არა დაპირების იძულების წესით აღსრულების მიზნით, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით. 1970 წელს, კანონმდებლობის რეფორმის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. კანონით განისაზღვრა, რომ ნიშნობა არ აკისრებს არავითარ ვალდებულებას, რომელიც უნდა განხორციელდეს სარჩელის წესით. შესაბამისად, დღესდღეობით საუბარიც კი არ შეიძლება მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე.

ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელმაც ანგარიში გაუწია ამ ინსტიტუტს, პრაქტიკულად ამ პრობლემას ერთსახოვნად წყვეტს, ე. ი. აღიარებს ნიშნობას დაქორწინების დაპირებად, გამორიცხავს იძულებით დაქორწინებას და მიუთითებს ქორწინების მზადებასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობაზე.

სავსებით გაუგებარია, რატომ აუარა გვერდი დუმილით ამ ინსტიტუტს ჩვენმა კანონმდებლობამ. არცერთი ცოლ-ქმრული კავშირი არ იქმნება და არც შეიძლება შეიქმნას წინასწარი შეთანხმების, ქორწინების შეთავაზებისა და დაპირების გარეშე. ჩვენმა კანონმდებლობამ კომპაქტური ტერმინის — „დანიშნულების“ ნაცვლად დაახვავა სიტყვები, კერძოდ, „პირნი, რომლებსაც სურთ დაქორწინება“. ამ პირებს ეძლევათ ერთთვის ვადა დაქორწინების შესახებ განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრაციამდე. ეს არის მოსაფიქრებელი ვადა (!) მოფიქრებული გადაწყვეტილებისთვის. იგი შემოღებულია სტაბილური ოჯახის შექმნისათვის და შემდგომი განქორწინებების რიცხვის შესამცირებლად. ამგვარად, კანონმდებელი განურჩევლად ყველას ბრალს დებს გადაწყვეტილების და განზრახვის არასერიოზულობაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანების უმეტესობა თავის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს დგამს მოუფიქრებლად, ან შესაძლოა, ანცობის მიზნით. სხვაგვარად ამ დებულების ახსნა შეუძლებელია. მაგრამ როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, თვემ, რომლის განმავლობაშიც დანიშნულებმა უნდა იფიქრონ, არ განამტკიცა ქორწინებანი და პრაქტიკულად ვერ შეამცირა განქორწინებათა რიცხვი. ვფიქრობთ, ეს არის მხოლოდ ფორმალური მომენტი და აღნიშნული ოცდაათდღიანი ვადა არ არის წინამძღვარი მყარი ცოლქმრობისა. უფრო მეტიც, იგი დაქორწინებამდე ამ ურთიერთობებს და პერიოდს უკარგავს მისთვის დამახასიათებელ რომანტიზმს.

სრულებით არ მოვიტხოვთ, რომ ქორწინების რეგისტრაცია მოხდეს განცხადების შეტანისთანავე. შეიძლება ძალაში დარჩეს ეს ვადა, შეიძლება იგი გახანგრძლივდეს კიდევ და კანონით ეწოდოს ნიშნობის დრო, რაც უფრო გასაგები, ნათელი და (სამართლებრივ ცნებებს რომ თავი დავანებოთ) ელვანტურია.

იმასთან დაკავშირებით, რომ ვთავაზობთ ჩვენს კანონმდებლობაში ნიშნობის ინსტიტუტის რეანიმაციას, წარმოჩნდება შემდეგი ხასიათის კითხვები —

არის თუ არა ნიშნობა მხოლოდ საზოგადოებრივი, ფაქტობრივი ხასიათის და აღმოცენდება თუ არა მის საფუძველზე რაიმე უფლებები და მოვალეობები, გარდა წმინდა მორალური ხასიათის ვალდებულებებისა? მოსალოდნელი ქორწინების შესახებ შეთანხმებით აღმოცენდება მხოლოდ მორალური, თუ მასთან ერთად იურიდიული ვალდებულებებიც, რაც ამ დაპირებას სამართლებრივი ინსტიტუტის ხასიათს ანიჭებს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ პრობლემას შეიძლება მივუდგეთ ორი პოზიციიდან — ნიშნობას მიენიჭოს არასამართლებრივი ხასიათი, ან მივიღოთ იგი როგორც იურიდიული ინსტიტუტი.

პირველ შემთხვევაში ამოსავალი მომენტი ის არის, რომ ნიშნობა არ ეყრდნობა დაქორწინების მოსურნე პირთა იურიდიული ხასიათის მქონე მოქმედებას, და შედეგად, დანიშნულთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები ვერ ჩამოყალიბდება. აქ მოქმედებს მხოლოდ მორალურ-ეთიკური ნორმები, რომელთა დარღვევას, როგორც წესი, არ მოსდევს სამართლებრივი შედეგები.

თუ პრობლემას სხვა რაკურსით განვიხილავთ, მაშინ ნიშნობა, რა თქმა უნდა, უკავშირდება დასაქორწინებელ პირთა სურვილის თავისუფლად გამოხატვას და მოითხოვს მათგან გარკვეულ იურიდიულ მოქმედებებს, კერძოდ, არ უნდა დაიდოს შეთანხმება მომავალი ქორწინების შესახებ, როცა ერთ-ერთი მხარე დატურღვეველ ქორწინებაშია; საჭიროა მმაჩში განცხადების შეტანა დაქორწინების სურვილის შესახებ; უნდა დამოწმდეს ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაცნობის ფაქტი; სავალდებულოა დაქორწინების ცერემონიაზე პირადად დასწრება და ა. შ.

მაგრამ ნიშნობა არ უკავშირდება ვალდებულების აღსრულებას იძულებითი სამართლებრივი მეთოდებით და მომავალ ქორწინებაზე უარს სანქციები არ მოსდევს. ნიშნობა არ იძლევა ჯარიმის, უპირობის ჯარიმის გადახდის ან სხვა სახის უზრუნველყოფით სარგებლობის საფუძველს, აქ მოქმედებს მხოლოდ პირობის დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურების პრინციპი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მეორე კონსტრუქცია, ე. ი. ნიშნობის სამართლებრივ ინსტიტუტად აღიარება იქნება ყველაზე მისაღები. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როგორც არ უნდა მივუდგეთ ნიშნობას — ვაღიარებთ მხოლოდ მის ფაქტობრივ ხასიათს, რომელიც დანიშნულებს აკისრებს მხოლოდ მორალურ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ. თუ განვსაზღვრავთ მას სამართლებრივ ინსტიტუტად — ორივე შემთხვევაში გამორიცხულია დაქორწინების იძულება და დაპირების შეუსრულებლობა არ ისჯება სანქციებით. ყველა შემთხვევაში საკანონმდებლო წესით მითითებული უნდა იყოს, რომ შედეგები დაკავშირებულია არა ქორწინებაზე უარის თქმასთან, არამედ მეორე მხარისათვის არსებითი მატერიალური ზარალის მიყენებასთან. ე. ი. აუცილებელია ძვირფასი საჩუქრების, ფულის, ქორწილის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯების დაბრუნება. მაშასადამე, შესაძლებელია და აუცილებელი ანაზღაურდეს მხოლოდ მატერიალური ზარალი.

აქ შეიძლება აღიძრას მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხიც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელი ხდება მეორე პირის ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოებების დაცვა, ასევე დაცვა მიმოწერისა, რომელსაც ფლობს მეორე მხარეც და ბოროტად იყენებს ამ ფაქტს. ეს

ყველაფერი რეგულირებულია სამოქალაქო კანონმდებლობით და აღნიშნული მოქმედებების გამო დაზარალებული პირნი სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ.

დაქორწინებისთვის აუცილებელია კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობის დაცვა — საქორწინო ასაკის მიღწევა. ჩვენს რესპუბლიკაში მამაკაცებისთვის საქორწინო ასაკი 17 წელია, ქალებისთვის — 16 წელი. ეს დებულება გარკვეულ შემოფოტებას იწვევს. ერთის მხრივ, აღრეული ქორწინებანი ზრდის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების, ბავშვთა და მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვის ზრდის შესაძლებლობას. ამ პროცესის პოზიტიურობა უდავოა, მაგრამ არის საკითხის მეორე მხარეც. დაქორწინების უფლება აქვთ არასრულწლოვან მოქალაქეებს, რომლებიც სრულწლოვანების მიღწევამდე თავად იმყოფებიან მშობლების მზრუნველობის ქვეშ და როგორც წესი, მათ სრულ კმაყოფაზე, არასრულწლოვანთა დაქორწინება, კანონის თანახმად, იწვევს სამოქალაქო ქმედითუნარიანობის საზღვრების აღრევას. 18 წლამდე დაქორწინებული პირნი სამოქალაქო ქმედითუნარიანობას სრული მოცულობით იძენენ დაქორწინების მომენტიდან, ბუნებრივია, ამავე მომენტიდან წყდება მათზე მზრუნველობა.

აღრე მოქმედი ნორმით საქორწინო ასაკის ქვედა ზღვარად დადგენილი იყო ჩვიდმეტი წელი, მაგრამ ამას გარდა, საჭირო იყო არასრულწლოვანთა მშობლების თანხმობა მათ დასაქორწინებლად და სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი ნებართვა. ახლა კანონით საქორწინო ასაკად დადგენილია 16 წელი. ამასთან, არ არის საჭირო მშობლების თანხმობა, არც არავითარი დამოწმება ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობის, პროფესიის ქონის, შრომითი მოწყობის შესახებ. ეს მომენტები გათვალისწინებულ უნდა იქნას. რა თქმა უნდა, შეგვიძლია მაგალითისათვის მოვიშველიოთ ინგლისის, კანადის კანონმდებლობა, რომელშიც საქორწინო ასაკი იგივე დონისაა; კიდევ უფრო დაბალია საქორწინო ასაკის ზღვარი ესპანეთის კანონმდებლობით. მაგრამ აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობებით დადგენილია, რომ მიღებულ საქორწინო ასაკის ფარგლებში დაქორწინებული პირნი, ასევე პირნი, რომლებიც ქორწინდებიან დადგენილი საქორწინო ასაკის მიღწევამდე, თავიანთი ქონების მფლობელნი ხდებიან. უფრო მეტიც, ყველა ქვეყანაში დაქორწინებისთანავე სავალდებულოა საქორწინო კონტრაქტის დადება, რომელშიც ნათლად ჩანს ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, ვინაიდან კონტრაქტით განისაზღვრება ქონების ფლობისა და მართვის წესი. სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქორწინო კონტრაქტის დადებას, და ჩვენი შვილების უმეტესი ნაწილი არ არის მფლობელი იმგვარი ქონებისა, რომელიც შედარებით ნორმალური არსებობის საშუალებას იძლევა.

დღესდღეობით საქორწინო ასაკის ზღვარის დაბლა დაწევა მხოლოდ სანახევრო ღონისძიებაა. ამ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად საჭირო იყო კორექტივების შეტანა შრომით კანონმდებლობაში, სამსახურიდან გაძევებისაგან არასრულწლოვანი მეუღლის სპეციალური აქტით დაცვა, მისი აუცილებელი შრომითი მოწყობის, აუცილებელი კვალიფიკაციის, შრომითი საქმიანობის დაცვის და ა. შ. უზრუნველყოფა, კანონმდებლობას არ მიუცია სპეციალური გარანტიები არასრულწლოვან მეუღლეთა ოჯახის სოციალური დაცვის სფეროშიც. ფაქტობრივად მშობლები, რომლებსაც ამჟამად არ შეუძლიათ და-



თანხმდნენ ან უარი თქვან არასრულწლოვანთა დაქორწინებაზე, ნებით თუ უნებლიედ ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ახალშექმნილი ოჯახი.

მართალია, საქორწინო ასაკის ზღვარის დაბლა დაწვევას თავისი გარკვეული უპირატესობები აქვს, მაგრამ ბავშვების შობა, შენახვა და აღზრდა დღევანდელ პირობებში ძნელია არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ უფროსი ასაკის მშობლებისათვისაც. ამის გამო, აუცილებელია, კანონმდებლობის საფუძველზე, გაფართოვდეს არასრულწლოვანი მშობლების სოციალური დაცვის გარანტიები, მოხდეს შრომითი უფლებების, განათლების უფლების რეალიზაცია, თუნდაც სრულწლოვანების მიღწევამდე ხელფასის მომატება. აგრეთვე გაიზარდოს ალიმენტების მიღების ასაკი, გაიზარდოს სტიპენდიების, დახმარებების მოცულობა სახელმწიფოს, დემოგრაფიული ფონდის, კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოებების, სპონსორების, კოოპერატორთა კავშირის და სხვათა ხარჯზე. სხვაგვარად ეს საკანონმდებლო ნორმა რეალურ პოზიტიურ შედეგებს ვერ მოიტანს. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ნათლად გამოიკვეთა ამ საკანონმდებლო აქტის ცალმხრივობა, მოუფიქრებლობა და სახელმწიფოს მოუშხადებლობა მის მიერვე მიღებული კანონის განხორციელებისათვის. თუ არასრულწლოვან მეუღლეებს საკმარისად არ ეხმარებიან მშობლები, ისინი ფაქტობრივად ბედის ანაბარა რჩებიან, რაც, ჩემი აზრით, გამოიწვევს უარყოფით შედეგებს.

რამდენიმე მოსაზრება დაქორწინების ფორმაზეც. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა აღიარებს მხოლოდ მმაჩის ორგანოებში რეგისტრირებულ ქორწინებას და აბსოლუტურად უარყოფს დაქორწინების რელიგიურ წესს. ნათელია, რომ უკვე დროა აღდგეს და კანონმდებლობით განმტკიცდეს ეს წესი, მიეცეს მას იურიდიული მნიშვნელობა და დავიცვათ იგი სამართლებრივად. დაქორწინების ფორმა უნდა განისაზღვროს არა სახელმწიფოს, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ დასაქორწინებელ პირთა მიერ.

ეკლესია ასწლეულების მანძილზე წარმოაჩენდა თავის მოძღვრებას ქორწინების მორალურ-რელიგიური ხასიათის შესახებ, მაგრამ არასდროს უარუყვია მისი სამართლებრივი მხარეები და არ მიუნიჭებია მისთვის მხოლოდ რელიგიური აქტის ხასიათი. მაშ, რატომ არის ჩვენს კანონმდებლობაში აბსურდული ნორმა ქორწინების მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის შესახებ და რატომ ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო ქორწინების და ოჯახური ურთიერთობების რეგულირებას?

დღეს კანონმდებელი პირველ რიგში აყენებს სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული კანონმდებლობის დახვეწის და განახლების პრობლემას, მაგრამ არ ეხება საოჯახო კანონმდებლობას. თუ უახლოეს დროში არ მოგვარდება საოჯახო კანონმდებლობის პრობლემები, თუ არ განახლდება თავად საოჯახო კანონმდებლობა, თუ არ შეიქმნება ახალი კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების შექმნას და განმტკიცებას, რაღა საჭიროა სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სხვა კანონმდებლობების შექმნა? ოჯახს ხომ ადამიანები, მოქალაქეები ქმნიან და მთელი სამართალიც მათ სამსახურში უნდა იყოს.





მალარიან მებრეველი

მბრალე სამართლის ქართული გვრსია

ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული 1705-1708 წლებშია შედგენილი. მასში შეტანილია როგორც ქართული, ისე უცხოური სამართლის ძეგლები. უცხოური სამართლის ძეგლებიდან მნიშვნელოვანია ებრაული სამართალი ანუ სამართალი მოსესი.

აკადემიკოს ი. დოლიძის მითითებით „დიდმა ქართველმა სჯულმდებელმა, პოეტმა და მეცნიერმა ბატონიშვილმა ვახტანგმა, „ჭკვიან კაცთა“ კომისია რომ შექმნა, „იგულა და იგულისმოადგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი უამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდებნეულ იყო“. ამგვარად მან სჯულმდებლობის დიდი კრებული შეადგინა და ამით საქართველოს ისტორიაში კეთილი და გონიერი გამგებლის სახელი დაიმკვიდრა. ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული არის ჩვენი Corpus iuris civilis. და ჩვენს სჯულმდებელსაც სამართლიანად შეიძლება ქართველი იუსტიციანე ეწოდოს...“¹.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ ვახტანგ VI სამართლის წიგნში შეტანილი ებრაული სამართლის ანუ მოსეს სამართლის ქართული ვერსია.

მოსეს სამართალი ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიას ბიბლიიდან გადმოუღია, კერძოდ, ბიბლიის მეხუთე წიგნიდან ანუ მეორე რაჯულიდან ამოუკრებია².

ბიბლია ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება ა) ძველი აღთქმა, ბ) ახალი აღთქმა.

ძველი აღთქმის წიგნები (მათი რიცხვი 31 უდრის) იწერებოდა XIII-I საუკუნეებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე. ძველი აღთქმის პირველი ხუთწიგნეულიდან (დაბადება, გამოსვლა, ლევიანნი, რიცხვნი და მეორე რაჯული) მნიშვნელოვანია მეხუთე წიგნი, ანუ მეორე რაჯული, რომელიც საფუძვლად დაედო მოსეს სამართლის ქართულ ვერსიას.

¹ „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I. ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 3.

² ახ. „ბიბლია“, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 162-196.



მეორე რჯული 34 თავისაგან შედგება და ძირითადად კანონიკურ-ეთიკურ ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ღმერთმა გაუგზავნა ებრაელ ხალხს მოსეს ხელით და ამდენად ეწოდება მას მოსეს სამართალი.

მართალია ვახტანგ VI ებრაული სამართლის ქართული ვერსიის ხელნაწერში აღნიშნულია, რომ იგი შედგენილია მეორე რჯულისა და გამოსვლათას მიხედვით, მაგრამ გამოსვლის წიგნიდან მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში არაფერი არ არის შეტანილი. იგი მთლიანად მეორე რჯულს ეყრდნობა. ამასთან, სწავლულ კაცთა კომისიას დიდი სამუშაო ჩაუტარებია, მექანიკურად კი არ გადმოუღია მეორე რჯული, არამედ ამოუკრებია ის ნორმები, რომლებიც საქართველოს პრაქტიკაში იყო გამოსადეგი. აკადემიკოს ი. დოლიძის მითითებით, „შესაძლოა, ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას თავადბირველად განზრახული ჰქონდა შესაფერისი მუხლები შეეტანა მოსეს სამართალში „გამოსვლათა წიგნიდან“, მაგრამ ეს განზრახვა შემდეგ აღარ განუხორციელებიათ“³.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბიბლიის მეორე რჯული 34 თავისაგან შედგება. თითოეული თავი კი რამდენიმე ათეულ მუხლს შეიცავს, მაგრამ მოსეს სამართლის ქართული ვერსია მხოლოდ 52 მუხლადაა გადმოღებული. ჩვენ საგანგებოდ შევაჯერეთ და შევუპირისპირეთ ვახტანგის ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ბიბლიის მეორე რჯულის მუხლებს და აღმოჩნდა, რომ მოსეს სამართლის ქართული ვერსია არ არის ბიბლიიდან მექანიკურად გადმოღებულით, ქართული ვერსიის მუხლები დამუშავებულია, ე. ი. მოყვანილია ქართული სინამდვილის მოთხოვნათა შესაბამისობაში, მათ ქართული სათაურებიც კი აქვს მიცემული. ასეთი მუხლებია „მცნება ღმრთისაგან“ ანუ პირველი მუხლი. ამ მუხლს მეორე რჯულში დათმობილი აქვს ანუ შეესაბამება მეხუთე თავის მე-16, 17 მუხლები. ამ მუხლში ჩამოყალიბებულია ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური ცნებები, რომლებიც უარყოფს და კრძალავს მკვლელობას, ქურდობას, ცილისწამებას, მრუშობას და სხვ. მუხლში აღნიშნულია: პატივი ეცი შენს დედას, როგორც გიანდერძა უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ დღეგრძელი იყო და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც შენ უფალი ღმერთი გაძლევს... ნუ იმრუშებ, კაცი არ მოჰკლა, არ იქურდო, არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი ახლობლის წინააღმდეგ.

არ მოინდომო ახლობლის ცოლი, არ ისურვო ახლობლის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი ყმა, არც მისი ყმაქალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არაფერი მისი საბადებელიდან⁴.

მოსეს სამართლის ქართული ვერსიის მეორე მუხლი შეესაბამება ბიბლიის მეორე რჯულის მე-13 თავის 1, 2, 5 მუხლებს: თუ გამოჩნდა შენს შორის წინასწარმეტყველი ან სიზმართმხილველი და მოგცა რაიმე ნიშანი ან სასწაული და ახდა ეს ნიშანი და სასწაული, რაც გამოგიცხადათ, და გეტყვი: მივმართოთ სხვა ღმერთებს, რომლებსაც შენ არ იცნობ და ვემსახუროთ, ყურს ნუ დაუგდებთ ამ წინასწარმეტყველის ან სიზმართმხილველის ნათქვამს, რადგან გცდით უფალი, თქვენი ღმერთი, იმის გასაგებად, გიყვართ თუ არა უფალი, თქვენი ღმერთი, მთელი თქვენი გულითა და სულით. ის წინასწარმეტყველი ან სიზმართმხილველი კი უნდა მოკვდეს, რადგან უფალი, თქვენი ღმერთ-

³ იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“.

⁴ მოსეს სამართლის ქართული ვერსიის შესატყვისი თანამედროვე ტერმინოლოგიით აღებული გვაქვს ბიბლიის მეორე რჯულის მეხუთე თავის 16, 17, 18 მუხლებიდან. იხ. „ბიბლია“, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 168.

თი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანათ და მონობის სახლიდან და-
გისხნათ, დაჰგმო მან, რათა იმ გზიდან აეცდინე, რაზეც სიარული გიბრძანა
უფალმა, შენმა ღმერთმა⁵.

მოსეს სამართლის ქართული ვერსიის მე-3 მუხლს „მამისა და დედისა-
გან ღმრთის უარყოფის პატივი“ — შეესაბამება მეორე რჯულის მე-13 თავის
მე-6, 8, 9, მე-10 მუხლები. აქაც, როგორც პირველ მუხლში, მოცემულია უფ-
ლისადმი სამსახურის მტკიცედ დაცვა, სხვა ღმერთების თუ სარწმუნოების
უარყოფა: თუ იღუმალ წაგაქეზებს შენი ძმა, დედაშენის შვილი, ან შენი ვაჟი,
ან ასული, ან შენს გვერდით მწოლი ცოლი, ან მეგობარი, რომელიც საკუთარი
სულივითა გყავს და გეტყვის წამო ვემსახუროთ სხვა ღმერთებს, რომლებსაც
არ იცნობთ არც შენ, არც შენი მამა-პაპა, ნუ აპყვები მას და ნუ გაუგონებ,
ნუ დაგენანება იგი, ნუ შეიბრალებ, ხელს ნუ დააფარებ, არამედ მოჰკალი იგი.
პირველად შენი ხელი უნდა აღიმართოს მის მოსაკლავად, მერე კი მთელი
ერისა. ჩაქოლე იგი, რომ მოკვდეს, რადგან ცდილობდა მოეწყვიტე უფალს,
შენს ღმერთს, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან მონობის სახლიდან⁶.

მე-4 მუხლში საუბარია უფლისათვის შესაწირავის შესახებ, რომ მთელი
ყოველწლიური მოსავლიდან შეათედი უფლის წინაშე უნდა შეჰკამო, იმ ად-
გილას, რომელიც უფალმა აირჩია და თუ ეს ადგილი შორსაა, მაშინ მოსავლის
შეათედი გადაცვალე ვერცხლზე; წადი იმ ადგილას, სადაც უფალს სურს, იყი-
დე იქ საქონელი, ცხვარი, ღვინო, ვერცხლი, ყველაფერი, რასაც სული მოგთ-
ხოვს და ჰამე იქ, უფლის წინაშე.

მე-5 მუხლში საუბარია ღარიბი მოძმის მიმართ ხელგაშლილობაზე, ღარი-
ბისა და ღატაკის შეწყალებაზე.

მე-6 მუხლი ეძღვნება ებრაელის მიერ ებრაელი მონის ყიდვის საკითხებს.
კერძოდ, ნაყიდი მონა შეეჭვსე წელს უნდა გაათავისუფლოს მყიდველმა, ამას-
თან, ხელცარიელი როდი უნდა გაუშვას. იმ შემთხვევაში თუ მონას წასვლა არ
სურს, უნდა აიღოს პატრონმა სადგისი, კარზე მიადებინოს ყური და გაუხვი-
ტოს, ამგვარად იქნება იგი სამუდამო ყმა.

მე-7 მუხლი ეძღვნება მართლმსაჯულებას: დასხი მსაჯულები და რჯუ-
ლისკაცები შენი შტოებიდან ყოველ ქალაქში და „სჯიდე ერსა მას სიმართლ-
ლისა სასჯელითა“.

ნუ გარდასდრეკ სასჯელსა, ნუცა სჯიდე თუალღებით (მიკერძოებულ ნუ
იქნები — ვ. მ.), ნუ მიიღებ ქრთამსა, რამეთუ ძღვენმა და ქრთამმან და-
უყვნეს თვალნი ბრძენთან და გარდაქცინის (გადაასხვაფერეს—ვ. მ.) სიტყვა-
ნი სიმართლისანი.

„სიმართლის სამართალსა შეუდევით, რათა სცხოვნდეთ, შეხვიდეთ და და-
იმკვიდროთ ქვეყანა იგი, რომელ უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ...“ მართ-
ლმსაჯულების საკითხს ეხება ასევე მოსეს სამართლის ქართული ვერსიის 48-ე
მუხლი: „ორთა მოჩივართა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ ორ მოჩივარს
ერთმანეთთან დავა აქვთ, სასამართლოს უნდა მიმართონ და განსაჯონ მათ, მარ-
თალს გაამართლებენ და დამნაშავეს დასჯიან.

5 მოსეს სამართლის ქართული ვერსია, მუხლი მე-2. მისი შესატყვისი. იხ. ბიბლია“ მეორე
რჯული, თავი მეცამეტე, მუხ. 1, 2, 3, 5.

6 „მოსეს სამართლის ქართული ვერსია“. მუხლი მე-2 მისი შესატყვისი, იხ. „ბიბლია“
მეორე რჯული, თავი მეცამეტე, მუხ. 1, 2, 3, 5.

და თუ ცრუ ანუ დამნაშავე ცემის ღირსი იყოს, წამოაქციოს იგი მსაჯულმა და აცემინოს თავის წინაშე დანაშაულის კვალობაზე, რასაც იმსახურებს. ბიბლიაში ამ მუხლთან დაკავშირებით (იხ. მეორე რჯული, თავი 25, მუხლი 3) აღნიშნულია, რომ ასეთ დამნაშავეს ორმოცი დარტყმა აკმარონ, მეტს ნუ დარტყამენ, თორემ თუ გადაამეტეს და ბევრი ურტყეს, დამცირდება შენს თვალში შენი მოძმე. სანქციის ეს სახე მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში არ არის გადმოტანილი. იქნებ ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისია ჰუმანურობით ხელმძღვანელობდა, როცა ფიზიკური სასჯელები არ შემოჰქონდა?

მე-8 მუხლშიც სარწმუნოების მკაცრად დაცვასა და კერპთაყვანისმცემლობის აკრძალვაზეა საუბარი. მითითებულია, რომ სიკვდილით უნდა დაისაჯოს ის, ვინც ჩაიდინა ბოროტმოქმედება ანუ დაარღვია თავისი აღთქმა — სარწმუნოებისა, ამასთან კარგად უნდა იქნეს გამოკვლეული დანაშაული და ამის შემდეგ შეიძლება აღსრულდეს განაჩენი: ორი მოწმის ან სამი მოწმის ჩვენებით მოსაკლავი უნდა მოკვდეს, ერთი მოწმის ჩვენებით კი — დაუშვებელია.

მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებიც რელიგიური წესების დაცვას და აღსრულებას ეძღვნება.

მე-12 და მე-18 მუხლებში მკვლელობის შესახებაა საუბარი: „...ვისაც უნებურად შემოაკვდება თავისი მოყვასი, ისე, რომ არ ჰქონია მისი მტრობა, არც გუშინ, არც გუშინწინ, ან ვინც თავის მოყვასთან ერთად წავა ტყეში შესის მოსაპრელად, მოიქნევს ცულს ხის წასაქცევად, ტარს რკინა წაძვრება, მოხვდება მის მოყვასს და მოკლავს, ამ კაცმა ერთ-ერთ ამ ქალაქთაგანს უნდა შეაფაროს თავი, რომ გადარჩეს⁷, რომ არ გამოეკიდოს მესისხლე მკვლელს ცხელ გულზე... არ მოჰკლას; ის სასიკვდილო არ არის, რადგან არ ჰქონია მასთან მტრობა არც გუშინ და არც გუშინწინ“.

მე-18 მუხლში განზრახი მკვლელობის შესახებაა საუბარი: „უკეთუ ვინმე იყოს კაცი, რომელსა სძულდეს მოყუასი თვისი მტრობით, უმზიროს (ჩაუსაფრდეს — ვ. მ.). აღდგეს და მოკლას, და შევარდეს ერთსა ქალაქთაგანსა, მიაველინეთ ყოველთა მოხუცებულთა მის ქალაქისათა და გამოიყუანეთ მიერ და მიეციეთ ხელთა შურის მძიებელთასა მის სისხლისათა, — მოკლან იგი“. იქვე მითითებულია, რომ წყალობის თვალთ ნუ შეხედავ განზრახ მკვლელს.

მე-14 მუხლი: ცრუ მოწმეთა დასჯას ეძღვნება. აქ აღნიშნულია, რომ თუ ავისმდომელი მოწმე ცილს დასწამებს ვინმეს — ორივე მოდავე მხარე უნდა წარსდგეს მღვდლებისა და მსაჯულების წინაშე, მსაჯულებმა კარგად უნდა გამოიძიონ და თუ ეს მოწმე ცრუ მოწმე გამოდგა, ტყუილი დაუბრალებია თავისი მოძმისათვის — ისე დაისაჯოს იგი, რასაც აბრალებდა და რაც სურდა სხვისთვის, რათა დანარჩენებმაც შეიტყონ ეს ამბავი, რომ შიში ჰქონდეთ და აღარ ჩაიდინონ მსგავსი. აქვე ჩამოყალიბებულია სამაგიეროს მიზლის პრინციპი: ნუ შეიწყალებს მას შენი თვალი „სული სულისა წილ, თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ხელი ხელისა წილ, ფერხი ფერხისა წილ, რაიცა ვინ უყოს მოყუასსა, ეგრეთვე მიეგოს მას“ (მუხლი 14).

მე-15 მუხლის სახელწოდებაა: „სახლის აღმშენებლის ლაშქრობისთვის“. ამ მუხლში ჩამოთვლილია ის შეღავათები, რომლებიც ეკუთვნის ომში მიმა-

⁷ სხვა ადგილას ღმერთი ურჩევს ებრაელებს დააწესონ, ან გამოყონ სამი ჭლაქი, სადაც მკვლევები შეაფარებენ თავს, და სადაც მათ ვერაფერ შეეხება.

ვალ კაცს. კერძოდ, სჯულისკაცების გადაწყვეტილებით ომში არ უნდა წავიდეს ის კაცი, ვინც ახალი სახლი ააშენა და გაუნათლავს, იგი სახლში უნდა დარჩეს, რათა ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ დაისაკუთროს იგი. მე-16 მუხლის მიხედვით იგივე ეკუთვნის მას, ვინც ახალი ვაზი ჩაყარა, ვერ მოიწია, დაბრუნდეს სახლში, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ მოიწიოს. მე-17 მუხლის ძალით კი, ვინც ქალი დანიშნა და არ მოუყვანია, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და ქალი სხვამ არ წაიყვანოს. მე-18 მუხლის მიხედვით ომში არ უნდა წავიდეს მშიშარა და გულით ძაბუნი, რათა მოძმეებიც არ აიყოლონ, არ შეაშინონ.

მე-19 მუხლი უაღრესად გონივრული და პრაგმატული მუხლია. მასში აღნიშნულია, რომ ნუ განადგურებ მტრის ალყაშემორტყმულ ქალაქში ხეებს, ცუღს ნუ აღმართავთ მასზე, რადგან თუ კი ჭამთ მათ ნაყოფს, არც უნდა მოჭრათ. მხოლოდ ის ხეები შეგიძლიათ მოჭრათ, რომლებიც ნაყოფს არ იძლევიან და ააშენო მით სიმაგრე, ვიდრე არ აიღებ ქალაქს. მოსეს სამართლის ქართული ვერსიის მე-20, 21-ე, 22-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 41-ე, 42-ე, 45-ე მუხლები ეძღვნება საქორწინო-საოჯახო ურთიერთობის საკითხებს.

მე-20 მუხლში საუბარია მრავალცოლიანობაზე: „ორი ცოლისა და შვილთა მათთა“. აქ აღნიშნულია, რომ თუ კაცს ორი ცოლი ჰყავს, რომელთაგან ერთი უყვარს, მეორე კი სძულს, მათ მიერ გაჩენილი ვაჟებიდან პირმშოდ ითვლება საძულველი ცოლისგან ნაშობი შვილი. ამასთან, მამას უფლება არა აქვს საძულველი ცოლისაგან ნაშობ ვაჟს ზიანი მიაყენოს თავისი ქონების განაწილებისას. პირმშოს ეკუთვნის ორმაგი წილი ყველაფრიდან, რაც კი აბადია მამას.

21-ე მუხლი არეგულირებს დედამამის ურჩი შვილის საკითხს: თუ კაცს ეყოლება ჯიუტი და ურჩი, დედ-მამის სიტყვის გაუგონარი შვილი, რომელსაც ჭკუას ასწავლიან, მაგრამ არ ესმის მას, ხელი მოჰკიდონ დედ-მამამ და გაიყვანონ იგი თავიანთი ადგილის კარიბჭესთან უხუცესების წინაშე, მოახსენონ მათ, რომ მათი შვილი ჯიუტი და ურჩია, ღორმუცელა და ლოთია, სიტყვის გაუგონარი. ასეთი შვილის მიმართ მოსეს რჯული სიკვდილს აწესებს: „მოიყუანონ კაცთა მათ ქალაქისათა, ქვა დააკრიბონ მას და მოკუდეს, რათა მოისპოს უკეთური იგი თქვენ შორის და ყოველსა ისრაელსა, რომელსა ესმეს და შეეშინოს“. (მუხ. 21).

22-ე მუხლში მოცემულია „ნაბიჭურისა და მართალი შვილის“ შესახებ. კანონმდებელი კრძალავს მხევალთან ან ხარაჭასთან უკანონო შვილის გაჩენას. მაგრამ თუ მაინც ადგილი ექნა ასეთ მოვლენას — ქონების განაწილებისას ნაბიჭვარს წილი არ ერგება.

მოსეს კანონების **29-ე მუხლში** მოცემულია დაქორწინების საკითხები, კერძოდ, „თუ ვინმე ცოლს ითხოვს, შევა მასთან და მერე შეიძულეებს მას, ცილს დასწამებს და ცუდ ხმებს დაუყრის, იტყვის: მე ვითხოვე ეს ქალი, დავუახლოვდი მას, ქალწული არ აღმოჩნდაო, აღდგეს ამ ყმაწვილი ქალის დედ-მამა და გამოუტანოს მისი სიქალწულე ქალაქის უხუცესებს კარიბჭესთან. უთხრას ყმაწვილი ქალის მამამ უხუცესებს: ეს ჩემი ასული ამ კაცს მივათხოვე ცოლად, მან კი შეიძულა. აჰა, ცილს სწამებს მას, ამბობს: ქალწული არ აღმოჩნდაო შენი ქალიშვილი. აჰა, ჩემი ასულის სიქალწულე. და გაუშლიან სამოსელს ქალაქის უხუცესების წინ. აღდგენ ქალაქის უხუცესები და დასაჯონ ეს კაცი. ასი ვერცხლით დააჯარიმონ და გადაუხადონ ყმაწვილი ქალის მამას, რა-

დგან ცუდი ხმები დაუყარა ისრაელიან ქალწულს. ქალი მის ცოლადვე დარჩება, ვერ გაუშვებს მას თავის სიცოცხლეში.

თუ ეს ნათქვამი მართალი გამოდგა, ყმაწვილი ქალი ქალწული არ აღმოჩნდა, გამოიყვანონ ყმაწვილი ქალი მამამისის სახლის კართან და ჩაქოლონ მისი ქალაქის კაცებმა, მოკვდეს, რადგან სააუგო საქმე ჩაიდინა ისრაელში, იმრუშა მამისეულ სახლში. აღმოფხვრი ბოროტებას შენი კრებულიდან⁸.

30-ე მუხლი ქმრიან დედაკაცთან მრუშობის საკითხს ეხება. აქ აღნიშნულია: თუ კაცს გათხოვილ ქალთან მწოლარეს წაუსწრეს, ორივე უნდა მოიკლას: ქალთან მწოლარი კაციცა და ქალიც...

31-ე მუხლში კი დანიშნული ქალის სიძვაზეა ლაპარაკი: თუ კაცზე დანიშნულ ყმაწვილ ქალს, ქალწულს, ქალაქში ვინმე შეხვდა, დაწვა მასთან, გაიყვანონ ორივენი ამ ქალაქის კარიბჭესთან და ჩაქოლონ სასიკვდილოდ — ყმაწვილი ქალი იმის გამო, რომ ხმა არ გაიღო ქალაქში, კაცი კი იმის გამო, რომ ძალა იხმარა მოყვასის ცოლზე.

32-ე მუხლში მოცემულია ქალწული ქალის გაუპატიურების შესახებ ველად: „თუ მინდორში შეხვდება კაცი დანიშნულ ყმაწვილ ქალს, დაიჭერს მას და დაწვება მასთან, უნდა მოიკლას მხოლოდ კაცი, რომელიც ქალთან დაწვა. ყმაწვილ ქალს არაფერი დაუშავო, სასიკვდილო დანაშაული არ აწევს ყმაწვილ ქალს, რადგან ეს იმგვარი საქმეა, ვინდა კაცი დასხმოდეს თავის მოყვასს და მოეკლას. რადგან მინდორში შეხვდა მას, და თუნდაც ეყვირა ყმაწვილ ქალს, არავინ იქნებოდა მისი მშველელი“.

33-ე მუხლი აწესრიგებს გაუთხოვარი ქალის გაუპატიურების საკითხს: „თუ ვინმე შეხვდება ქალწულს, რომელიც დანიშნული არ არის, დაიჭერს, დაწვება მასთან და წაასწრებენ, მისცეს ყმაწვილ ქალთან ნაწოლმა კაცმა მის მამას ორმოცდაათი ვერცხლი, ქალი კი მისი ცოლი გახდეს, იმის სანაცვლოდ, რომ ძალა იხმარა მასზე. არ შეიძლება მისი გაშვება თავის სიცოცხლეში“.

34-ე მუხლი კრძალავს შვილის მიერ მამის ცოლის შერთვას.

41-ე მუხლში ლაპარაკია ცოლის შერთვის, გაშვების თუ მეორედ შერთვის შესახებ; თუ კაცი ცოლს მოიყვანს და მისი ქმარი გახდება, მერე აითვალისწინებს, რადგან რაღაც სასირცხოს აღმოაჩენს მასში, უნდა დაუწეროს გაყრის წერილი, მისცეს ხელში და გაუშვას სახლიდან.

ქალი წავა მისი სახლიდან და გაჰყვება სხვა ქმარს.

თუ მეორე ქმარი მოიძულებს მას და დაუწერს გაყრის წერილს, მისცემს ხელში და გაუშვებს თავისი სახლიდან ან მოკვდება მეორე ქმარი, რომელმაც ცოლად მოიყვანა იგი, პირველ ქმარს, რომელმაც გაუშვა იგი, ნება არა აქვს ისევ მოიყვანოს ცოლად, მას შემდეგ, რაც ქალი გაუწმინდურდა, რადგან ეს სისაძაგლეა უფლის წინაშე.

42-ე მუხლს ეწოდება „ცოლის შერთვისა“, მაგრამ აქ მითითებულია ახლადდაქორწინებულთათვის მიცემულ შედევათებზე: თუ ვინმეს ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავს, ნუ გავა სალაშქროდ და ნურც ნურაფერი დაეკისრება მას; ერთი წლით თავისუფალი იყოს სახლისთვის და გაახაროს თავისი ცოლი, რომელიც მოიყვანა.

⁸ მოსეს სამართლის ქართული ვერსიის თანამედროვე ენა აღებული ვაჰქვს ბიბლიის ახალი გამოცემიდან, იხ. „ბიბლია“, მეორე რეული, თავი 22, მუხ. 13-21, თბ., 1989.

მოსეს სამართლის ქართული ვერსიის 45-ე მუხლი სისხლის სამართლის თვალსაზრისით არის საინტერესო, მაგრამ რადგან ოჯახის წევრების ურთიერთობის საკითხებსაც ეხება, მას აქვე შევეხებით: არ უნდა მოიკლან მამები შვილების გამო და შვილები არ უნდა მოიკლან მამების გამო. თითოეული თავისი დანაშაულისათვის უნდა მოიკლას. ნუ გაამრუდებ მდგმურისა და ობლის სამართალს, ნუ დაიგირავებ ქვრივი ქალის სამოსელს...

ამრიგად, მოსეს სამართლის ქართული ვერსიის ანალიზიდან ირკვევა, რომ მისი უმეტესობა რელიგიურ-ეთიკური ნორმებია, მრავალი ნორმა ეძღვნება საოჯახო-საქორწინო ურთიერთობათა მოწესრიგებას, ძალზე მცირეა მაგრამ გვხვდება სისხლისა და საპროცესო სამართლის ნორმებიც.

გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოსეს სამართლის ქართული ვერსია წარმოადგენს ბიბლიის მეხუთე წიგნის ანუ მეორე რჯულის შემოქმედებით ამონაკრებს, ირკვევა, რომ ამ ძეგლიდან ქართველ მთარგმნელებს ამოუკრებიათ ისეთი მუხლები, რომლებიც უფრო ზოგადსაკაცობრიოა და რომლებიც ქართულ სინამდვილესაც შეესაბამებოდა, იგი არ არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. მოსეს სამართლის ქართული ვერსიის ზოგიერთი მუხლი აერთიანებს მეორე რჯულის ოთხ, ხუთ, ზოგჯერ მეტ მუხლსაც, ე. ი. ქართული ვერსიის მუხლები ძალზე ვრცელია. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოსეს სამართლის ქართული ვერსიის თითოეულ მუხლს აქვს სახელწოდება, სათაური. ეს სათაურები ბიბლიის მეორე რჯულში არი გვხვდება და იგი გაუკეთებია საკოდიფიკაციო კომისიას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საკოდიფიკაციო კომისია დიდი სიფრთხილით მოკიდებია ბიბლიის მეორე რჯულის თარგმანს. აქ ვერ ვნახავთ ზომიერ მეთ გადახვევებს. ზოგიერთი ცვლილებები, რაც საკოდიფიკაციო კომისიას შეუტანია, ძალზე ზომიერებით გამოირჩევა და ნაკარნახევია ქართული სინამდვილით.

როგორია მოსეს სამართლის ქართული ვერსიის მუხლების დანაწილება სამართლის დარგების მიხედვით? სისხლის სამართლის საკითხებს აწესრიგებს შემდეგი ნორმები: 1, 2, 3, 8, 9, 12, 13, 44, 45 მუხლები; სამოქალაქო სამართლის საკითხებია მოცემული: 6, 23 მუხლებში; საოჯახო სამართლის საკითხებს ეძღვნება: 17, 20, 21, 22, 29, 30, 31, 32, 33, 34, 41, 42 მუხლები; მართლმსაჯულების (პროცესის) საკითხებს ეხება: 7, 14, 48 მუხლები; ეთიკურ-რელიგიური ნორმები, ასევე სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ურთიერთობების ნორმებია მოცემული შემდეგ მუხლებში: 9, 11, 15, 16, 18, 19, 24, 25, 26, 27, 28, 35, 36, 37, 38, 39, 40, 43, 46, 47, 49, 50, 51, 52.

ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსეს სამართლის ქართული ვერსიის მუხლები ანუ ნორმები არ არის ისე ჩამოყალიბებული (ჩამოქნილი) როგორსაც დღევანდელი მოთხოვნები აყენებს. მრავალი ნორმა სამართლის სხვადასხვა დარგის საკითხებს აწესრიგებს. რეგულირების ნიშნის მიხედვით მკვეთრ გამოიჯანს ჩვენ ვერ ვხვდებით და არც მოეთხოვება ამ პერიოდის სამართალს.

ბიზანტიური სავრო სამართლის ნორმები

ქართულ „დიდ სჯულისკანონში“

ივანე ჯავახიშვილმა თავის კაპიტალურ ნაშრომში, „ქართული სამართლის ისტორია“, სპეციალური კარი მიუძღვნა ქართული სამართლის წყაროების კვლევას. მკვლევარის მოსაზრებით „ქართული საეკლესიო სამართალი მართლმადიდებლობის წინაარსით კი არ იყო საეკლესიო, არამედ წარმოდინარებით. ამ მხრივ ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის Corpus juris canonici“-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილებით, ბევრი თვისებებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს“¹.

ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოცემული არ ყოფილა ე. წ. „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანი. ამიტომაც მკვლევარის მოსაზრება წინასწარი დაკვირვების ხასიათისა იყო.

1975 წელს გამოქვეყნდა „დიდი სჯულისკანონი“², რომელსაც თან ახლავს წინასიტყვაობა და ე. გაბიაშვილის ვრცელი შესავალი.

მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უდიდესი მნიშვნელობისა იყო ე. წ. 14-ტიტლოვანი ნომოკანონი, რომელშიც თავმოყრილი იყო საეკლესიო და საერო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ასეთი ნომოკანონის არსებობა თავისთავად მიგვანიშნებდა სახელმწიფოსა და ქრისტიანული ეკლესიის თანამშრომლობაზე, „ნომოსის“ და „კანონის“ შესაძლო შეთანხმებულობაზე. ამ მხრივ ისიც არის აღნიშვნის ღირსი, რომ ისეთ დიდ სახელმწიფო მღვდელმთავრე VI საუკუნეში, როგორც იუსტინიანე (482-565) იყო, შესაძლებლად მიიჩნდა სამოქალაქო და საეკლესიო კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესი ძალის მინიჭება ამ უკანასკნელისათვის.

მართებული ჩანს მოსაზრება, რომ თოთხმეტ-ტიტლოვანი ნომოკანონის XI საუკუნის მიწურულის ერთადერთი ქართული თარგმანი, რომელიც ქართულ საეკლესიო მწერლობაში „დიდი სჯულისკანონის“ სახელით დამკვიდრდა, ბერძნულიდან სხვა ენებზე ნათარგმნ ძირითად კანონიკურ კოდექსებს შორის ერთ-ერთ უძველეს თარგმანად უნდა ჩაითვალოს.

შეიძლება ვერწმუნოთ ე. გაბიაშვილს, რომ არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონი“ ბერძნული 14-ტიტლოვანი ნომოკანონის

¹ ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ 1982, გვ. 37.

² „დიდი სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 628.

ძირითადი კანონიკური კოდექსის ერთადერთი თარგმანია ქართულად და ეს ძეგლი არც მანამდე და არც შემდეგ არ ყოფილა გადმოღებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის შენიშნული, რომ სახელწოდება „ნომოკანონი“ თავდაპირველად მაინც მხოლოდ კანონიკურ კრებულს გულისხმობდა, რომელშიც საეკლესიო „კანონ“-ებთან ერთად საერო კანონებიც („ნომოი“) იყო შეტანილი. მაგრამ დროთა ვითარებაში თანდათან გაჩნდნენ მხოლოდ საეკლესიო კანონებისაგან შემდგარი კრებულები, რომლებშიც „ცივილური“ სამართლის ძეგლები უკვე აღარ იყო მოთავსებული.

„დიდი სჯულისკანონის“ მთარგმნელს „თითქმის უგულვებელყოფილი აქვს დედნის სამოქალაქო კანონები და მათი რიცხვი თარგმანში მინიმუმამდე აქვს შეკვეცილი“³.

ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს სწორედ ეს „მინიმუმამდე შეკვეცილი“ ბიზანტიური ნომოკანონიდან შემოსული საერო სამართლის ნორმები შეადგენენ.

მიუხედავად ძნელებელობისა და ქართული ხელნაწერი წიგნების ჩვენამდე მოუღწევლობისა, ქართულ ხელნაწერთა ფონდში „დიდი სჯულისკანონის“ ნუსხები არც თუ ისე ცუდადაა წარმოდგენილი. ძეგლის გამომცემლები შვიდ მათგანს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და საფუძვლად უდებენ მის ბეჭდურ გამოცემას. გარდა ამისა, ძეგლის გამომცემლები, ასახელებენ ათამდე სხვა ნუსხასაც, რომელნიც ან დეფექტურნი, ან ფრაგმენტულნი, ან კიდევ გვიანდელნი არიან და ძველი ნუსხების ასლს წარმოადგენენ.

მეცნიერებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს „დიდი სჯულის კანონის“ უძველეს — XII-XIV საუკუნეების ხელნაწერებს. „პირველი ჯგუფის ხელნაწერებს „დიდი სჯულისკანონის“ მთარგმნელისეული ტექსტი დაუტავს, ხოლო მეორეს — თავდაპირველი თარგმანი მოგვიანებით შეუვსია ახლად თარგმნილი მასალით“⁴. პირველი ჯგუფის ხელნაწერებს აკუთვნებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 76 ხელნაწერს, რომელიც XII საუკუნისაა. ასევე XII საუკუნისაა ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 25 ხელნაწერი, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 171 ხელნაწერი და იმავე ფონდის № 1102 ხელნაწერი ორივე XIII საუკუნეს განეკუთვნება. მეორე ჯგუფში მხოლოდ ორი ხელნაწერია, ქუთაისის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის № 17 ხელნაწერი, რომელიც XIII საუკუნეს განეკუთვნება და ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 1670 ხელნაწერი, რომელიც XIII-XIV საუკუნით თარიღდება.

„ამ ორი ჯგუფის ხელნაწერებს შორის ძირითად განსხვავებას ქმნის მხოლოდ სისტემატური ნაწილი, კერძოდ კი სისტემატურ ნაწილში სამოქალაქო კანონების ხვედრითი წონა. მეორე ჯგუფის ხელნაწერები პირველთან შედარებით გაცილებით ვრცელ ამონაწერებს შეიცავენ ბიზანტიური სამოქალაქო კანონმდებლობიდან“⁵. ე. ი. „დიდი სჯულისკანონის“ მეორე ჯგუფის ხელნაწერებში საერო კანონმდებლობის ნორმები უფრო უხვადაა ბერძნული ხელ-

³ „დიდი სჯულისკანონი“, გვ. 22.
⁴ იქვე, გვ. 23.
⁵ იქვე, გვ. 23-24.

ნაწერებიდან გადმოღებული, ვიდრე XII საუკუნის ხელნაწერებში. ფაქტია, რომ XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერებში საერო კანონმდებლობის ნორმები უფრო უხვადაა ბერძნული ხელნაწერებიდან გადმოღებული, ვიდრე XII საუკუნის ხელნაწერებში.

გამოსარკვევია თუ რატომ მოხდა ასე?

„დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის რედაქტორს მართებულად აქვს აღნიშნული, რომ მისი გავლენა ქართული სამართლის ძეგლებზე საგანგებო შესწავლის საგანია. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებს საკითხი: რატომ არ თარგმნიდნენ „ნომოკანონში“ მოთავსებულ საერო კანონმდებლობის ნორმებს მთლიანად და რატომ უფრო ნაკლები დოზით ითარგმნებოდნენ ისინი და ხვდებოდნენ „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტში XII საუკუნეში, ვიდრე მომდევნო XIII-XIV საუკუნეებში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თეორიულად თითქოს ასეთნაირად შეიძლება: XII საუკუნეში მიაჩნდათ, რომ ბერძნული ნომოკანონის ის ნაწილი, რომელიც საერო კანონმდებლობის წიაღში შექმნილ ნორმებს შეიცავდა, საქართველოსთვის მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო, მაგრამ XIII-XIV საუკუნეებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „დიდი სჯულისკანონის“ ქართულ ტექსტში საჭიროა მოხვდეს ბიზანტიაში მოქმედი საერო სამართლის ნორმებიც დიდი ნომოკანონიდან. საინტერესოა თუ რა სახის „სამოქალაქო“ სამართლის ნორმები გადმოაქართულეს მაშინდელმა მთარგმნელებმა.

მაგალითად, XIII-XIV ს. ს. ხელნაწერში (H-1670) თარგმნილია იმპერატორ იუსტინიანეს ნოველა, რომელიც ანდერძით მემკვიდრეობას ეხება. აქვე დამოწმებულია ადგილები დიგესტებიდან (დიგესტონი) სხვადასხვა საკითხზე — წმინდა ნივთების სამართლებრივ მდგომარეობაზე და ა. შ. „ხოლო დიგესტონი მეხუთე და მეექვსე და სამეოცდამეორე იტყუს ვითარმედ სამლუდელოსა სახმრისა მვაჭრებლობაი ვერვისაგან დაიმტკიცების“⁶.

ხელნაწერთა ინსტიტუტის H-1670 და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 17 ხელნაწერში გვხვდება კომენტარი, სადაც ასეთი გამოთქმა: „სიმრავლე ჟამთაი სამართალსა ვერ დაუშრეტენ“⁷.

საკმაოდ დიდი ოდენობით არის „დიდი სჯულისკანონის“ ზოგიერთ ხელნაწერში ბიზანტიელი იმპერატორების ნოველები. სხვათა შორის, ყურადღებას იპყრობს ფალკიდიონის ხსენება. ფალკიდიონის კანონი (714 წ.) გულისხმობდა ანდერძის დამტოვებლის — მონანდერძის უფლების მცირედ შეზღუდვას. ზოგიერთი პირი მთელ ქონებას ისე ფლანგავდა, რომ მემკვიდრეებს არაფერს უტოვებდა. ფალკიდიონის კანონის მიხედვით, ლეგატებად შეიძლებოდა გაცემა მემკვიდრეობის სამი მეოთხედისა, დარჩენილი ერთი მეოთხედი უნდა ეძლეოდა მემკვიდრეს.

საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „ფალკიდიონ“ ასეა განმარტებული: „თივის მკვეთელი ცელი ბერძნულ, რომლისაებრ მკვეთელობს სჯულიცა“⁸.

⁶ იქვე, გვ. 130.

⁷ იქვე, გვ. 143.

⁸ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. IV, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1966, გვ. 182. შტრ. „დიდი სჯულის კანონი“, გვ. 144.

თუ ვინმე ლეგატების სახით თავისი ქონების სამ მეოთხედზე მეტს გასცემდა, მაშინ იმას, რაც სამ მეოთხედზე მეტს შეადგენდა, ჩამოკვეთდნენ, ჩამოცელავდნენ სამ მეოთხედამდე.

„დიდი ჯულისკანონის“ ქართულ გამოცემაში, როგორც ვიცით, ბერძნული ნომოკანონის ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიური საერო საკანონმდებლო ძეგლებიდან მომდინარეობდა და ქართულადაც იქნა თარგმნილი, პეტიტითაა დაბეჭდილი. მათ შორისაა ასეთიც: „და ინსტიტუტიონისა მეორისა პირველი ნაწილი იტყუის, ვითარმედ სამღვდელონი ჭურჭელნი არცა განივაჭრებიან, არცა დაიწინდებიან თუნიერ ხოლო სახსრად ტყუეთა. ხოლო პირველი განწესებაი მეორისა ნეარონთა ნაწილისაი განპატიყებათა შთააგდებს გარეშე სჯულისა სამღვდელთა ჭურჭელთა დამწინდებელთა, ანუ განმსყიდულთა, ანუ განმადნობელთა, ანუ განმხმარებელთა, გარნა თუ სახსრად იყო ტყუეთა“⁹.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში ამ ნორმათა მოქმედების კვალი მეტნაკლებად ჩანს.

„დიდ სჯულისკანონში“ ვკითხულობთ: „ხოლო იტყუის პირველისა წიგნისა მეათრვაშეტისა ნაწილისა მეათცამეტე დიგესტონი, ვითარმედ შთავარნი გამოქიებდედ სამღვდელთმკრეხველისაი და მეათისა წიგნისა მეათისა ნაწილისა მეოთხე დიგესტონი კუალად — ვითარმედ სამღვდელთმკრეხველობითა მოგებულთა ვერ განიყოფენ მემამულენი. მერმეცა ორმეოცდამეხუთის წიგნის პირველისა ნაწილისა ოცდამეექუსე დიგესტონი — ვითარმედ უძლურ არს აღსარებაი სამღვდელთმკრეხველისაი და უჯერო არს სჯაი ამისი“. აქედან ჩანს, რომ ქართულ „დიდ სჯულისკანონში“ მოხვდა მრავალი ნორმა ბიზანტიური სამართლიდან.

მრავალი სამართლებრივი იდეა მოდიოდა პირდაპირ დიგესტების სათანადო ადგილის გადმოთარგმნის შედეგად. რომელი იურისტის უღპიანეს აზრით, რომელიც დიგესტებში იყო მოთავსებული, მკრეხელობითა და ხაზინის ქურდობით შეძენილი ქონება, აგრეთვე ყაჩაღობისა და ძალადობის გზით შეძენილი ქონება მემკვიდრეთა შორის გაყოფას არ ექვემდებარებოდა¹⁰.

„დიდ სჯულისკანონში“ ქართულ ენაზე გადმოღებულია იუსტინიანეს დიგესტების 48-ე წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი. დიგესტების ეს თავი დღემდე რუსულ ენაზეც არ არის თარგმნილი, და ამდენად, ლათინური ენის საფუძვლიანად არმცოდნე თანამედროვე ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ეს მნიშვნელოვანი წყაროა ბიზანტიური სამართლის გასაცნობად.

„კუალად ორმეოცდამერვის წიგნის მეოთხე ნაწილი და დიგესტონი პირველი იტყუის, ვითარმედ ბრალი სამღვდელთმკრეხველობისაი მსგავსი არს ბრალისა მეფეთ ორგულებისა“. ე. ი. ხელის ამართვა ეკლესიაზე, მკრეხელობა გათანაბრებულია ისეთ მძიმე დანაშაულთან, როგორცაა მეფეთა ორგულობა. ამ ნორმასაც შეიძლება დაეძებნოს ანალოგიები ქართულ სამართალში.

H-1670 ხელნაწერში იუსტინიანეს კოდექსიდან მოტანილია ასეთი ნორმა: „და პირველიცა განწესებაი მეათორმეტისა ნაწილისა პირველის წიგნისა

⁹ „დიდი სჯულისკანონი“ გვ. 146

¹⁰ იხ. Д. 10, 2, 4, 2 შტრ. «Дигесты Юстиниана» Избранные фрагменты в переводе И. С. Перетерского, изд. «Наука», М., 1984, стр. 185.

კოდიკონისა იტყუის, ვითარმედ უკეთუ ჰურიამან ბრალისა რაისამე ანუ ვალი-საგან ლტოლვილმან ქრისტიანობაი ინებოს, არა ჯერ-არს შეწყნარებაი მისი, ვიდრე არ გამოჩნდეს უბრალოდ ანუ ვალი გარდაიხადოს“¹¹.

„დიდ სჯულისკანონში“ ვხვდებით ნორმებს ბიზანტიელი იმპერატორების ნოველებიდან, დიგესტებიდან პატივისა და ღირსების დაცვისა და ცილისწამების დასჯადობის შესახებ. ბიზანტიური სამართალი აწესებდა, რომ „სჯულნიცა და კანონნი აყენებენ მოყუასთა ფიცისაგან“¹².

ანალოგიური თეორიული პოსტულატი ცნობილი იყო ქართული სამართლის ძეგლებისთვისაც, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ფიცს ხშირად მიმართავდნენ.

„დიდი სჯულისკანონის“ ზემოხსენებულ ხელნაწერშივე მოტანილია ნორმა იუსტინიანეს კოდექსიდან: „ხოლო მწამლველობათა და ვარსკულავთ-მსწავლელობითობათა და ესეგითართეთის მეთარვამეტისა ნაწილისა მეცხრისა წიგნისა კოდიკონისასა პირველი განწესებაი მოიღებს ესრეთ, ვითარმედ უფრო არს წამლითა მკვლელობაი მახუილითისასა. და კუალად მეორე განწესებაი ქვეყანისმზომელობისა მცნობელობაი სახმარ არს, ხოლო ვარსკულავთ მასწავლებლობითისაი განგდებულ და დასასჯელს არსო“.

გარდა ამისა, აქვეა „განწესებანი“ კოდექსიდან, რომლითაც იკრძალება სამღვდლო პირთა „შემავალობა“ — თანადგომა მკითხავეებისადმი, „ვინაით-გან იგიცა დაიწუებისა და ჰაზრვისა მაწუეველიცა მისი ექსორია იქმნების აკრებული და ვისცა ენების, შეასმენს (ბრალს დადებს) მათ“.

მეოთხე „განწესებით“ — ისჯება მისნობით კაცთა ჯანმრთელობის წინააღმდეგ „ვერაგობა“... „ხოლო მეხუთე განწესებაი — ნუვინ ჰკითხავენო გრძნეულსა“, გინა მზორველსა, ე. ი. კერპებისადმი მსხვერპლის შემწირველთა მკითხავებსა... იკრძალება „ქალდეე“-თა, განა ვარსკულავთ-მსწავლელთა და ა. შ. მოხმობა.

სწამდათ, რომ ადამიანს შეეძლო სამყაროს წესრიგის მოშლა „ასოთა აღ-მაშფოთებლობა“, ეშმაკის დახმარებით საკუთარი მტრის მოსპობა... ასეთი დანაშაულიც სასტიკად ისჯება „მეექუსე განწესების“ თანახმად.

მეშვიდე განწესებით ისჯებიან „სამეფოსა შინა პოვნილნი“ ჯადოქრები და მათნი მსგავსნი, „მგრძებავობით“ მკითხავები და ა. შ.

„ხოლო მერვე განწესებაი, სწორ არისო, იეტუის, განგდებულთა სწავლა და მსწავლელობაი“. განგდებული აქ აკრძალულს, კანონსაწინააღმდეგოს უნდა ნიშნავდეს.

მეცხრე განწესების თანახმად „რომელმან იცოდის ვინმე გრძნეული და დაეპყრას იგი გრძნებასა ზედა, გაეცინ იგი“...

ჩვენი ძეგლი კოდექსს კოდიკოს ეძახის და მასში იგულისხმება იმპერატორ იუსტინიანეს თაოსნობით 534 წელს გამოცემული სჯულდება, რომელიც შეიცავდა სისტემაში მოყვანილ მნიშვნელოვან კანონებს თორმეტ წიგნად აღრიხენ-დან იუსტინიანემდე (117-534 წ. წ.).

¹¹ „დიდი სჯულისკანონი“, გვ. 152.

¹² აქვე, გვ. 163.

მოტანილია კოდექსის ნორმები მეცხრე წიგნიდან „დიდ სჯულისკანონში“. მოთავსებულია აგრეთვე იუსტინიანეს კოდექსის პირველი წიგნის მეოთხე თავის, აგრეთვე, მეთერთმეტე თავის საკანონმდებლო მასალები ისევე მისნებისა და მკითხავთა, „მომწამვლელთა“ წინააღმდეგ.

კოდექსიდან თარგმნილ საკანონმდებლო მასალებში იხსენიება ქონების კონფისკაციაც. მაგალითად, „ქრისტიანეთაგან ჰურია ქმნილი აკრებულ იქმნების სრულებით“. სასჯელთა შორის იხსენიება სიკვდილით დასჯაც („...აიკრიბების და თავისკუთით იტანჯების“).

ქართულ „დიდ სჯულისკანონში“ ციტირებულია აგრეთვე იუსტინიანეს კოდექსში (წიგნი პირველი, ტიტ. IV, 34) მოთავსებული საკანონმდებლო ნორმა, აგრეთვე ნოველების განწესებანი (1, 2). აქვე მოტანილია ასეთი დანაწესი: „არა მხოლოდ ცრუფიცობისაგან დაყენებულ არს მოყუასი, არამედ საყოველთაოისა და ფიცისაგანაცა, რამეთუ იტყუის ოცდამეხუთე განწესებაი მესამე ნაწილისა პირველისა წიგნისა კოდიკონისაი, ვითარმედ დასჯილნი მოყუასნი მისცემდელ თავსმდებთა ვიდრე ერგასისთა ლიტრათამდისთათუის, ხოლო უკუეთუ ზესთაღმეტოს საქმე მხოლოდ აღსარებასა ჰყოფდელ ზესთგარდარეულისა მისთვის უფიცარსა ამისათუის, რამეთუ სჯულნიცა და კანონნი აყენებენ ფიცვისაგან მოყუასსა“. „დიდ სჯულისკანონში“ ვპოულობთ ქურდობის ცნების განმარტებას¹³ მოტანილს იუსტინიანეს კოდექსიდან (წიგნი VI, 2) და დიგესტების 47-ე წიგნიდან (ტიტ. 2): „ხოლო ორ პირიან სახენი პარვისანი და რომელიმე მისი ითქუმის ცხადად პარვად, ხოლო რომელიმე უცხადოდ. და ცხადი ვიდრემე მპარავი არს, რომელი მოპარულისა საქონელსა თანა შეპყრობილ იქნას, ვითარისაცა მომღებულ იყოს პატივისა პირველ საქონლისა მის წარღებისა, ადგილისა, სადა განეწესა მასვე დღესა, გინა საეროსა ადგილისა, გინა განთუისებულსა. ხოლო უკუეთუ წარედოს იგი, სადა წინასწარ დაეწესოს, დაღაცათუ შეპყრობილ იქმნას იგი ამისა შემდგომად, არღარა არს ცხადი მპარავი ხოლო არა ესრე მპარავი უცხადოი მპარავი არს. ხოლო სატანჯველი საჩინოდ მპარავისაი ვიდრემე არს ოთხი ნაწილი სხუაი საფასოი მოპარულისა, ხოლო არს ოდესმე, რომც უმეტესადცა ზღვეულებაი მისი“...

„დიდ სჯულისკანონში“ არის ციტირებული დიგესტების მესამე წიგნის მეორე ტიტულიდან ადგილები ქურდობასთან დაკავშირებით (წიგნი III, 2, 6).

აქვე დიგესტების 47-ე წიგნიდან (ტიტ. 12) დამოწმებულია ნორმა, რომლის მიხედვითაც საფლავის წამხდენნი, ამომვდენნი („მკურელებნი“) „თანამდებ არიან სახმართათუისისა და ბრალთათუისისა მტანჯველობისა“, ე. ი. ისჯებიან როგორც სისხლის სამართლის საჯარო სასჯელით, ასევე ფულადი ჯარიმითაც.

„ხოლო საფლავის მკურელებელთაგანნი, უკუეთუ საჭურველითა ყოფილ იყვნენ, თავის-კუთითა დაისჯებიან. ხოლო უკუეთუ თუნიერ საჭურველთაისა-დაისჯებიან ოქროის მადნობელთა თანა. ხოლო უკუეთუ ნაწილნი ან ძუალნი გარდაემძრნენ მკურელებელთა გლახაკნი იყვნენ, თავ-შედგმით იტანჯნენ, და თუ მდიდარნი — ექსორია იქმნენ. ხოლო უკუეთუ სხუებ რაიმე საფლავისათა მიმართ მცოდველ იყვნენ, თავარ-იქმნენ ანუ მიწის მადნობელთა თანა დაისაჯ-

¹³ „დიდი სჯულისკანონი“, გვ. 176.

ნენ, გარნა, თუ ვითარ შესაძლებელ არს უპატიჟოდ და უზღვევოდ გარდაღებ-
ბაი ნაწილთაი და განწმენდაი საფლავისაი, ასწავებს იგივე ნაწილი და მეშვიდე
დიგესტონი მეათერთმეტისა წიგნისაი“¹⁴.

ქართულ „დიდ სჯულისკანონში“ ბერძნული ნომოკანონიდან გადმოღე-
ბულ-გადმოთარგმნილია საერო სამართლის ნორმები ქალის ძალით მოტაცე-
ბასთან დაკავშირებით: „...უკუეთუ ვინ აღიტაცოს ანუ მხოლოდ აღტაცებასა
ეცადოს და მოყვანასა ქორწინებულისა ქალწულისა წმიდისასა, თავისკუეთითა
განიპატიჟოს“...

ბიზანტიური სამართლის ნორმებში მკვეთრად მოსჩანს საჯარო სასჯელების
მოძალბა. საინტერესოა ტერმინებიც, რომლებსაც იყენებს ქართველი მთარგ-
მნელი ბერძნულ-რომაული სამართლის რიგი ცნებების გადმოსაცემად: „...ხო-
ლო სხუებრ შემწენი აღმატაცებელთანი, ანუ თან-მოქმედნი, ანუ თანამეცნი-
ერნი, ანუ შემწყნარებელნი, გინათუ მოსწრაფებისა ვითარისაცა მაჩუნებელ-
ნი მხოლოდ უკანაისკნელად ტანჯვისა თანამდებ არიან“¹⁵.

„დიდი სჯულისკანონი“ შეიცავს ნორმას მეფის გინების შესახებ. „კანონი
მოციქულთანი“ (§ 84) აწესებს: „ვინცა ვინ აგინოს მეფესა ანუ მთავარსა თუი-
ნიერ სამართალისა, გუემისა თანამდებ იყავნ უკუეთუ მღვდელ იყოს, განი-
კუეთენ, ხოლო უკუეთუ ერისკაცი — უზიარებელ იქმენინ“.

მაგრამ, გარდა ამისა, „დიდი სჯულისკანონისა“ ერთი ქართული ხელნაწე-
რი შეიცავს ბიზანტიური ნომოკანონიდან გადმოღებულ საერო სამართლის
ნორმას ხსენებულთან დაკავშირებით. აქ მოტანილია „განწესებაი მეშვიდისა
ნაწილისა მეცხრისა წიგნისა კოდიკონისაი“, და აგრეთვე „დიგესტონი მეშვიდე
მეოთხისა ნაწილისა ორმოცდამერვისა წიგნისაი“... და აგრეთვე დამოწმებუ-
ლია ინსტიტუციების ტექსტიც (4, 4).

მეფე მისი მაგინებელს „პირისა ვითარებისაგან სჯის, უკუეთუ თანამდებ
შენდობისა იყოს ანუ სატანჯველისა“... „რამეთუ არცა ჯერ-არს ადვილად მტან-
ჯველობაი მყეფრისაი, არათუ ესრეთ ვითარმე ქმნილ — იყოს ნაცოდვებით, რო-
მელსა სჯული თქმულად ანუ მსგავსებისაგან სტანჯავს“...¹⁶

საინტერესოა ნივთების კლასიფიკაციის გამომხატველი ტერმინები „დიდ
სჯულისკანონში“. ადრე ასეთი ფიქსირებულია გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპი-
კონში, XI საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლში.

„...ხოლო მესამე განწესებაი მეორისა ნაწილისა ნეარონთაისაი იტყუის,
ვითარმედ ეპისკოპოსნი შემდგომად ეპისკოპოსობისა მათისა მოგებულთა
ძრულთა ანუ თუითმოძრავთა თუისთა ნათესავთა, ანუ სხუათა ვითარ-სახეთაცა
გუართა, ვერ შესატყუებელ ჰყოფენ, არამედ განაბნევდელ მათ ხსნისათუის ტყუ-
ეთაისა და გამოსაზრდელად გლახაკთა“...¹⁷

„დიდ სჯულისკანონში“ ვხვდებით მწვალებლობის წინააღმდეგ მიმართულ
ნორმებს, როგორც სასულიერო, ასევე საერო კანონმდებლობის მიხედვით.

საერო კანონმდებლობის ძეგლებიდან აქ ნოველებიდან და იუსტინიანეს
კოდექსიდან მოხმობილი დანაწესებია ქართულად თარგმნილი. კოდექსის პირ-

14 იქვე, გვ. 177.

15 იქვე, გვ. 179.

16 იქვე, გვ. 183.

17 იქვე, გვ. 187.

ველი წიგნის მიხედვით მწვალებელთა სამემკვიდრეო უფლებები შეზღუდულია „მეხუთესა ნაწილსა შინა პირველისა წიგნისა კოდეკოსისა“ დადგენილი იყო... „ვითარმედ მანიქეველნი და დონატისტელნი უკანაისქნელად იტანჯვიან და იავარ იქმნებიან და ვერცა მენადერძებენ ანუ რაოდენცა და ვითარადცა მზავობელობენ მართლმადიდებელთა თანა და ვერცა დაიმკუდრებიან შეილთა არა მართლმადიდებლად მყოფთაგან და შემდგომად სიკუდილისაცა შესმენილ იქმნებიან მწვალებელობასა და უმტკიცო იქმნებიან აღნათქუემნი მათნი“¹⁸... „ვერ ნათლისმცემლობენ მწვალებელნი, ვერც მზრუნველობენ“, „ვერცა მემკვიდრეობენ“...

იუსტინიანეს კოდექსის პირველი წიგნის „მეცხრე ნაწილში“ მოთავსებული იყო კანონები მიმართულნი იუდეველთა წინააღმდეგ: „იუდეანნი“ „ვერცა ექორწინებიან ქრისტიანეთა“ და ა. შ. „...ნუმცა იქმნებიან სამღვთრო შესაჯრებელნი მათნი“.

ნოველებიდან და კოდექსიდან მოტანილი ნორმების მიხედვით სასტიკად ისჯებიან მწვალებლები თვით სიკვდილით დასჯამდეც. იხსენიება ქონების კონფისკაციაც, „ხოლო გარდამავალი ამის სჯულისაი იავარიქმნებოდედ“... ბიზანტიური კანონმდებლობა ებრძოდა წარმართობას — „ელლინთა საცთურს“.

„ხოლო მეცხრე განწესებაი მეათერთმეტისა ნაწილისა პირველისა წიგნისა კოდეკოსაი იტყუის, ვითარმედ უკუეთუ რაიმე მიენიჭოს ანუ დაეტყოს ადგილთა ანუ პირთა ელინთა საცთურისა შესაჯრებელად მყოფთა, ქალაქმან მიიხუნედ იგინი რომელთა შინა მკუდრობდენ პირნი იგი, ანუ რომელსაცა ქუეშე ადგილნი იგი მდებარე იყვნენ და განიხმარვოდედ მსგავსებისამებრ ქალაქურთა მათ შემოსავალთა“¹⁹.

აღსანიშნავია ისიც, რომ „დიდ სჯულისკანონში“, ყოველ შემთხვევაში, მის ზოგიერთ ხელნაწერში ბერძნულიდან ქართულად არის თარგმნილი დიგესტების 23-ე წიგნის მეორე ტიტულში მოთავსებული მოდესტინუსისეული განმარტება ქორწინებისა.

„ქორწინებაი არს თანაყოფაი მამაკაცისა და დედაკაცისაი და თანამონაწილეობაი ყოველისა ცხოვრებისა მათისა, საღმრთოისა და კაცობრივისაი მართალითა ზიარებითა და ამის საზღვრისაებრ ჯერ-არსო ქორწინებითა შეერთებულთა თანამკუთვნელ ყოფად“...

„დიდი სჯულისკანონისთვის“ დართულ ლექსიკონში მართებულადაა მითითებული, რომ თანამეკუთვნელი აქ ერთიდაიგივე რელიგიის მიმდევართ უნდა ნიშნავდეს.

მოდესტინუსი ამბობდა, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და დედაკაცის მთელსიცოცხლივი (სამისდღეშიო) კავშირი, მათი ღვთაებრივი და ადამიანური უფლების ერთობა (23.2.1). ქორწინების მოდესტინუსისეულ განსზღვრებაში მითითებული იყო, რომ ქორწინება არის ქალ-ვაჟის არა დროებითი, არამედ მუდმივი, სამისდღეშიო კავშირი, და რომ ასეთი კავშირითიერთობისათვის აუცილებელი იყო, რომ მამაკაცი და დედაკაცი ერთი რელიგიის მიმდევარი ყოფილიყო. იდეა ქორწინებისა, როგორც რელიგიური საიდუმლოებისა, როგორც მეტად სერიოზული აქტისა, რომლის განსახორციელებლად აუცილებე-

¹⁸ იქვე, გვ. 197.

¹⁹ იქვე, გვ. 199.

ლი იყო ცოლქმრის მხრით ერთი რელიგიის აღიარება, მათი სულიერი ერთობა, ქრისტიანულია, მაგრამ მის საფუძვლად ქორწინების მოდესტინუსისეული განსაზღვრება გამოხატავს იყო და ამიტომაც ის ბერძნულ ნომოკანონის მეშვეობით მოხვდა რუსულ „კორმჩაია კნიგაში“ და როგორც ვნახეთ ქართულ „დიდ სჯულისკანონშიც“.

შესაძლებელი იყო ქორწინება მართლმადიდებელსა და მწვალებელს შორის. შეიწყნარებოდა ქორწილი „საშუალ მართლმადიდებლისა და მწვალებლისა“. „ხოლო იტყუის განწესებაი მეათორმეტე მეხუთის ნაწილისა პირველისა წიგნისა კოდიკოსი, ვითარმედ მაცილობელობასა და ურთიერთას ხდომასა მშობელთასა უძლიერეს არს მისი, რომელსა ენებოს შვილთა მართლმადიდებლისა სარწმუნოებისამო მოყვანებაი.

და მეათვრამეტე განწესებაი მისვე ნაწილისაი იტყუის, ვითარმედ უკუეთუ რომელიმე თანამკვდრებულთაგანი მართლმადიდებელი იყოს, ხოლო რომელიმე მწვალებელი, ჯერ — არს შვილთა მათთაი მართლმადიდებელ ქმნაი“.

ბიზანტიური კანონმდებლობიდან მომდინარეობდა სამართლებრივი იდეა, რომ მართლმადიდებელს და მწვალებელს შორის შესაძლებელია ქორწინება, მაგრამ შვილი ან შვილები მხოლოდ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე უნდა აღიზარდონ. ცხადია, ეს ნორმა საქართველოშიც მოქმედებდა.

„დიდი სჯულისკანონის“ ერთ-ერთ ხელნაწერში მოთავსებული იყო ნორმა იუსტინიანეს კოდექსის მეხუთე წიგნიდან, აგრეთვე ნოველებიდან იმის შესახებ, რომ „სამოქალაქო სჯული არა სტანჯავს მეორე ქორწინებასა და ანუ მრავალ ქორწინებასა“²⁰.

ცნობილია, რომ ქრისტიანობამ ზღვარი დაუდო მრავალჯერ ქორწინებასა და ზოგან განსაზღვრა კიდევ ის ასაკიც, რომლის ზევითაც ქორწინება დაუშვებელი იყო.

განქორწინებასთან დაკავშირებით „დიდი სჯულისკანონის“ ზოგიერთ ხელნაწერში მოტანილი იყო სათანადო ნორმები იუსტინიანეს კოდექსის მეხუთე წიგნიდან დიგესტების 25-ე წიგნიდან მეორე ტიტული, მეუღლეთა ქორწინებრივი ურთიერთობის შესახებ.

აქვე ვხვდებით ნორმებს იუსტინიანეს კოდექსის მეცხრე წიგნიდან მამათმავლობის დასჯის შესახებ და დიგესტების 48-ე წიგნის მეხუთე ტიტულიდან მრუშობის დასჯადობის შესახებ, დიგესტების 47-ე წიგნის მეორე ტიტულიდან ქურდობის შესახებ, იმავე წიგნის მე-12 ტიტულიდან, საფლავის წამბილწველთა შესახებ. დიგესტების 48-ე წიგნის მე-19 ტიტულიდან სასჯელების შესახებ, „ხოლო ოცდამეთექუსმეტესა დიგესტასა შინა მეათცხრამეტისა ნაწილისა ორმოცდამერვისა წიგნისასა ესრეთ იტყუის, ვითარმედ სახმართათუის მომვინებელი ჩჩულისაი თავით განიბატიჟებისო“, ხოლო თუ ქალი ჩვილს გასწირავს, მოსპობს ქმრის სიძულვილით, ექსორიით ისჯება.

საერთოდ, ხშირად იხსენიება „დიდ სჯულისკანონში“ დიგესტების 48-ე წიგნი და მასში მოთავსებული სამართლებრივი ნორმები და იდეები.

კერძოდ, ავაზაკობასთან დაკავშირებით მოტანილია ნორმა, რომ თუ ყაჩაღობას ადგილი აქვს მახვილების გამოყენებით „მრავალჯვის და გზათა ზედა“.

²⁰ იქვე, გვ. 202.

„დამნაშავენი სიკვდილით ისჯებიან, თავითა განიპატიეებიან“ და „რამოდენიმე ექსორია იქმნებიან“²¹.

ჩვენამდე მოღწეულია გიორგი III-ის, 1170 წლის სიგელი, რომლის მიხედვითაც მრავალჯერ პარვის ჩამდენი, გამოუსწორებელი დამნაშავე „ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ“-ო.

პარვა აქ რთული ცნების შემცველი სიტყვა უნდა იყოს, რომელშიც ყაჩაღობა-აგაზაკობაც უნდა იგულისხმებოდეს პარვასთან ერთად.

ბასილი ეზოსმოძღვარი, თამარის ისტორიკოსი წერდა „დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძღაგრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი, თვინიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა“-ო. რას უნდა გულისხმობდეს ბასილი ეზოსმოძღვართან ნახსენები ძველი სჯული? ხომ არ შეიძლება ვიგულისხმოთ მასში ძველი ბიზანტიური სამართალი, ბერძნულ-რომაული სამართლებრივი პლასტი და არა ბიბლიური სამართალი?

ყოველ შემთხვევაში მრავალჯერ „პარვისათვის“ მკაცრი საჯარო სასჯელების გამოყენებაში იქნებ ბიზანტიური პრაქტიკის გავლენაც არ იყოს გამორიცხული.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცალკე კვლევისა და დაკვირვების საგანი უნდა გახდეს საკითხი თუ რა გავლენა მოახდინა ქართულ სამართალზე „დიდ სჯულისკანონში“ შესულმა ბიზანტიური საერო სამართლის ძეგლებმა.

²¹ „დიდ სჯულის კანონი“, გვ. 211.

კონვენცია საზღვაო უზიარაღებულ კალაშნიკოვ დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კასტასტროფაში მოყოლილ პირთა სვედრის გაუმჯობესების შესახებ.

1949 წლის 12 აგვისტო*

1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტომდე ჟენევაში, საზღვაო ომისათვის 1906 წლის ჟენევის კონვენციის საწყისების გამოყენების გამო ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის X კონვენციის გადახედვის მიზნით, მიმდინარე დიპლომატიურ კონფერენციაზე დამსწრე მთავრობათა ქვემორეხელისმომწერი უფლებამოსილი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან იღებენ, შეასრულონ და აიძულონ შესრულებულ იქნეს მოცემული კონვენცია.

მუხლი 2. გარდა დებულებებისა, რომლებიც ძალაში უნდა შევიდეს ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, მოცემული კონვენცია გამოყენებულ იქნება გამოცხადებული ომის ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელსაც ადგილი აქვს მოლაპარაკებაში მონაწილე ორ ან რამდენიმე მხარეს შორის იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი მათგანი არ ცნობს ომის მდგომარეობას.

კონვენცია გამოყენებულ იქნება მაშინაც, როდესაც მთლიანად ან ნაწილობრივ ოკუპირებულია მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის ტერიტორია, და თუ ამ ოკუპაციას არ გაუწევინ შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

* კონვენცია ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს, ხსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიცირება მოახდინა 1954 წლის 17 აპრილს.

თუ კონფლიქტში მყოფი ერთ-ერთი მხარე არ არის მოცემული კონვენციის წევრი, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობებში ეყრდნობიან მოცემულ კონვენციას. ამას გარდა, ისინი დასახელებულ ქვეყანასთან ურთიერთობისას ეყრდნობიან მოცემულ კონვენციას, თუ ეს უკანასკნელი იზიარებს და ასრულებს კონვენციის დებულებებს.

მუხლი 3. არასაერთაშორისო ხასიათის საერთაშორისო კონფლიქტის დროს, რომელსაც ადგილი აქვს მოლაპარაკებაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, კონფლიქტში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან დაიცვან როგორც მინიმუმი შემდეგი დებულებები.

1. პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების იმ წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც იარაღი დაყარეს, ასევე იმათი ჩათვლით, ვინც საომარ მოქმედებებს გამოეთიშა, ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, ყველა პირობებში უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, წარმომავლობის ან ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ანალოგიური კრიტერიუმების საფუძველზე.

ამ მიზნით აკრძალულია და ყოველთვის და ყველგან აკრძალული იქნება ზემოხსენებულ პირთა მიმართ შემდეგი ქმედებების ჩადენა:

- a) სიცოცხლის ხელყოფა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა, კერძოდ — მკვლელობის, დასახიჩრების, სასტიკი მოპყრობის, წამების და ტანჯვის ნებისმიერი სახე;
- b) მძევლად აყვანა;
- c) ადამიანური ღირსების შელახვა, კერძოდ — შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
- d) ცივილიზებული ერების მიერ აუცილებლობად აღიარებული სასამართლო გარანტიების დაცვის და შესაბამისად დაფუძნებული სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გასამართლება და განაჩენის სისრულეში მოყვანა.

2) დაჭრილებს და ავადმყოფებს გაუწევინ შესაბამის დანხარებას. ისეთ მიუმხრობელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, როგორიც არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შეუძლია შესთავაზოს თავისი სამსახური კონფლიქტში მონაწილე მხარეებს.

ამას გარდა, კონფლიქტში მყოფი მხარეები ეცდებიან, სპეციალური შეთანხმებების გზით, ამოქმედონ მოცემული კონვენციის ყველა დანარჩენი დებულება ან მათი ნაწილი.

ზემოხსენებულ დებულებათა გამოყენება არ შეეხება კონფლიქტში მყოფი მხარეების იურიდიულ სტატუსს.

მუხლი 4. კონფლიქტში მყოფ მხარეთა სახმელეთო და საზღვაო ძალებს შორის საომარი მოქმედებებისას მოცემული კონვენცია შეეხება მხოლოდ საზღვაო შეიარაღებულ ძალებს.

ხმელეთზე გადმოსხმული ეს ძალები უმაღლვე ექცევიან ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს მოქმედ არმიასი დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის მოქმედების ქვეშ.

მუხლი 5. ნეიტრალური სახელმწიფოები ანალოგიურად გამოიყენებენ მოცემული კონვენციის დებულებებს დაჭრილების, ავადმყოფების და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების მიმართ, ასევე, კონფლიქტში მყოფ მხარეთა სანიტარული და სასულიერო პერსონალის მიმართ, რომელიც მიღებული ან ინტერნირებულია მათ ტერიტორიაზე, ასევე ცხედრების მიმართ.

მუხლი 6. გარდა 10, 18, 31, 38 და 43 მუხლებით გათვალისწინებული შეთანხმებებისა, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ დადონ სხვა სპეციალური შეთანხმებები მათთვის საინტერესო საკითხების მოგვარების მიზნით. არც ერთი შეთანხმება არ უნდა აზარალებდეს ავადმყოფების, დაჭრილების, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების, ასევე, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის მოცემული კონვენციით დადგენილ მდგომარეობას, არ უნდა იზღუდებოდეს მათთვის მინიჭებული უფლებები.

ავადმყოფები, დაჭრილები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები, სამედიცინო და სასულიერო პერსონალი აგრძელებს ამ შეთანხმებათა უპირატესობებით სარგებლობას მთელი პერიოდის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს კონვენცია, გარდა საწინააღმდეგო ხასიათის პირობების სპეციალურად მითითების შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მათ მიმართ კონფლიქტში მყოფი ესა თუ ის მხარე უფრო ხელსაყრელ ღონისძიებებს მიმართავს.

მუხლი 7. ავადმყოფები და დაჭრილები, ასევე, სანიტარული და სასულიერო პერსონალი არავითარ შემთხვევაში, არც ნაწილობრივ და არც მთლიანად, არ უარყოფს მოცემული კონვენციით მათთვის გათვალისწინებულ უფლებებს, ასევე უფლებებს, რომლებიც არსებობს წინა მუხლში ნახსენებ სპეციალურ შეთანხმებებში.

მუხლი 8. მოცემული კონვენცია გამოყენებული იქნება მფარველი სახელმწიფოს დახმარებით და კონტროლით, რომელსაც ეკისრება კონფლიქტში მყოფ მხარეთა ინტერესების დაცვა. ამისათვის მფარველ სახელმწიფოებს, გარდა დიპლომატიური ან საკონსულო პერსონალისა, შეუძლიათ დელეგატები დანიშნონ თავის მოქალაქეებისაგან ან სხვა ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეებისაგან. ამ დელეგატთა დანიშვნას უნდა დათანხმდეს სახელმწიფო, რომელშიც მათ უნდა აღასრულონ თავიანთი მისია.

კონფლიქტში მყოფი მხარეები მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში შეამსუბუქებენ მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ან დელეგატთა მუშაობას.

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ან დელეგატებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადააჭარბონ მოცემული კონვენციით განსაზღვრული მისიის ფარგლებს, მათ კერძოდ, უნდა გაითვალისწინონ იმ სახელმწიფოს უშიშროების საჭიროებანი, სადაც აღასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. მათი მოღვა-

წვობის შეზღუდვა ხდება გამონაკლისის სახით და დროებით, მწვავე საომა-
რი საჭიროებების გამო.

მუხლი 9. მოცემული კონვენციის დებულებანი დაბრკოლებებს არ უქმნის
ჰუმანიტარულ მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებს წითელი ჯვრის საერ-
თაშორისო კომიტეტი ან ნებისმიერი სხვა მიუმხრობელი ჰუმანიტარული ორგა-
ნიზაცია დაჭრილების, ავადმყოფების და გემის კატასტროფაში მოყოლილი
პირების მიმართ, ასევე, სანიტარული და სასულიერო პერსონალის მიმართ მა-
ცათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით კონფლიქტში მყოფ დაინტერესებულ
მხარეთა თანხმობით.

მუხლი 10. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძ-
ლიათ შეთანხმდნენ, რათა რომელიმე ორგანიზაციას, რომელიც იძლევა სრუ-
ლი მიუმხრობლობის და ქმედითობის გარანტიას, ანდონ მოცემული კონვენცი-
ით მფარველ სახელმწიფოზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

თუ დაჭრილებზე, ავადმყოფებზე და გემის კატასტროფაში მოყოლილ პი-
რებზე ან სანიტარულ და სასულიერო პერსონალზე აღარ ვრცელდება ან რა-
იმე მიზეზით არ ვრცელდება რომელიმე მფარველი სახელმწიფოს ან პირველ
აზნაცუმი მითითებული ორგანიზაციის მოღვაწეობა, სახელმწიფომ, რომლის ხე-
ლისუფლების ქვეშაც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირები, თხოვნით უნდა
მიმართოს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან ამგვარ ორგანიზაციას, თავის თავზე
აიღოს კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ დასახელებული მფარველი სა-
ხელმწიფოს მოცემული კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების შეს-
რულება.

თუ არ მოხერხდა მფარველობის განხორციელება აღნიშნული ხერხით,
სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც იმყოფებიან მფარველობის ქვეშ
მყოფი პირები, თხოვნით მიმართავს რომელიმე ჰუმანიტარულ ორგანიზაციას,
მაგალითად — წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, ან მოცემული მუხ-
ლის დებულებათა გათვალისწინებით იღებს ამგვარი ორგანიზაციის თხოვნას,
თავის თავზე აიღოს მოცემული კონვენციით მფარველ სახელმწიფოზე დაკის-
რებული ჰუმანიტარული ფუნქციების შესრულება.

აღნიშნული მიზნების შესრულებისათვის დაინტერესებული სახელმწიფოს
მიერ შემოთავაზებული ან მოწვეული ნებისმიერი სახელმწიფო ან ორგანიზა-
ცია უნდა მოქმედებდეს იმ მხარისადმი პასუხისმგებლობით, რომელიც მონაწი-
ლეობს კონფლიქტში და რომლის სახელზეც ირიცხებიან მფარველობის ქვეშ
მყოფი პირები. წარმოადგინოს გარანტიები, რომ მას შეუძლია, თავის თავზე
აიღოს შესაბამისი ფუნქციები და მათი მიუკერძოებლად შესრულება.

ზემოხსენებული დებულებების დარღვევა არ ხდება სახელმწიფოთაშო-
რისი სპეციალური შეთანხმებებით, როცა ერთ-ერთი სახელმწიფო, თუნდაც
დროებით, შეზღუდულია და თავისუფლად ვერ აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა
სახელმწიფოსთან ან მოკავშირეებთან საომარი მდგომარეობის გამო, განსაკუთ-
რებით იმ შემთხვევებში, როცა ოკუპირებულია მოცემული სახელმწიფოს მთე-
ლი ტერიტორია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.



ყოველთვის, როცა მოცემულ კონვენციაში ნახსენებია მფარველი სახელმწიფო, ეს გულისხმობს ორგანიზაციასაც, რომელიც ცვლის მას ამ მუხლის თანახმად.

მუხლი 11. მფარველი სახელმწიფოები ყოველთვის, როცა ამას ჩათვლიან ხელსაყრელად მფარველობის ქვეშ მყოფი პირებისათვის, კერძოდ — კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის უთანხმოების დროს მოცემული კონვენციის დებულებათა გამოყენების ან გაგების თაობაზე, გაუწევენ დახმარებას უთანხმოებათა მოგვარების მიზნით.

ამ მიზნით, მფარველ სახელმწიფოს შეუძლია, ერთ-ერთი მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, შესთავაზოს მხარეებს მათი წარმომადგენლების, კერძოდ — იმ ხელისუფალთა თათბირი, რომელთაც ეკისრებათ დაჭრილებზე, ავადმყოფებსა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებზე, სანიტარულ და სასულიერო პერსონალზე ზრუნვა. თათბირი შეიძლება გაიმართოს ნეიტრალურ, შესაბამისად შერჩეულ ტერიტორიაზე. კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა უნდა გამოიყენონ შეთავაზებული წინადადებანი. მფარველ სახელმწიფოებს შეუძლიათ, აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეებს მხარდასაჭერად წარუდგინონ ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დელეგირებული პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ თათბირში.

თავი II

დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები

მუხლი 12. შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა და სხვა პირები მითითებული მომდევნო მუხლში, რომლებიც ზღვაზე ყოფნისას დაიჭრიებიან, დაავადდებიან ან მოხვდებიან გემის კატასტროფაში, სარგებლობენ მფარველობითა და დაცვით ყველა პირობაში. ამასთან, ტერმინი „გემის კატასტროფა“ აღნიშნავს ნებისმიერი სახის კატასტროფას იმ პირობებისაგან დამოუკიდებლად, რომელშიც იგი მოხდა, ზღვაზე თვითმფრინავის იძულებითი დაშვების ან ზღვაში ჩავარდნის ჩათვლით.

კონფლიქტში მონაწილე მხარე, რომლის ხელისუფლების ქვეშაც ისინი იმყოფებიან, უზრუნველყოფს მათ ჰუმანური მოპყრობით და მოვლით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა კრიტერიუმების საფუძველზე. მკაცრად იკრძალება მათ სიცოცხლეზე თავდასხმა, ამოხოცვა, წამება, ბიოლოგიური ცდების ჩატარება, წინასწარი განზრახვით სამედიცინო მომსახურების და მოვლის გარეშე დატოვება, მათი დაავადებისათვის პირობების შექმნა.

უპირატესობის მინიჭება სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას დაშვებულია მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო მიზეზებით.

ქალებს უნდა მოეპყრონ მათ სქესისადმი შესაფერისი განსაკუთრებული პატივისცემით.

კონფლიქტში მონაწილე მხარე, რომელიც იძულებულია მოწინააღმდეგეს დაუტოვოს დაჭრილები ან ავადმყოფები, ტოვებს რამდენადაც ეს შესაძლებელია საომარი მოთხოვნების გათვალისწინებით თავისი სანიტარული პერსონალის და აღჭურვილობის ნაწილს მათ მოსავლელად.

მუხლი 13. მოცემული კონვენცია გამოიყენება დაჭრილების, ავადმყოფების, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების მიმართ, რომლებიც ეკუთვნიან შემდეგ კატეგორიებს:

1. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირადი შეჩადგენლობა, ასევე ამ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი თავდაცვის და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა.

2. თავდაცვისა და მოხალისეთა სხვა რაზმების პირადი შემადგენლობა, კონფლიქტში მონაწილე მხარის წინააღმდეგობის ორგანიზებული მოძრაობების პირადი შემადგენლობის ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ საკუთარ ტერიტორიაზე ან მის გარეთ, ტერიტორიის ოკუპაციის დროსაც კი, თუ აღნიშნული რაზმები და ორგანიზებული მოძრაობები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- a) მათ მეთაურობს პირი, რომელიც პასუხს აგებს ქვეშევრდომებზე;
- b) აქვთ გარკვეული და შორიდან ადვილად გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი;
- c) ღიად ატარებენ იარაღს;
- d) თავიანთი მოქმედებით იცავენ ომის კანონებს.

3. იმ რეგულარულ შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა, რომელიც ემორჩილება მთავრობას ან ხელისუფლებას, რომელიც არ არის აღიარებული ტყვეობაში მყოფ მთავრობად ან ხელისუფლებად.

4) პირები, რომლებიც არ შედიან უშუალოდ შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ მოსდევენ მას, მაგალითად — საომარი თვითმფრინავების ეკიპაჟში შემავალი სამოქალაქო პირები, საომარი კორესპონდენტები, მომმარაგებლები. სამუშაო ჯგუფთა და სამსახურთა პირადი შემადგენლობა, რომელსაც ეკისრება შეიარაღებული ძალების საყოფაცხოვრებო მომსახურება იმ პირობით, რომ მათ ნებადართული აქვთ ახლდნენ შეიარაღებულ ძალებს.

5. კონფლიქტში მონაწილე მხარეთა-სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟის წევრები კაპიტნების, ლოცმანების და იუნგების ჩათვლით, აგრეთვე, სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის რაიმე სხვა დებულებათა ძალით არ სარგებლობენ უფრო შეღავათიანი რეჟიმით.

6. არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მოწინააღმდეგის მოახლოებისთანავე სტიქიურად იღებს ხელთ იარაღს, მაგრამ არ არის ფორმირებული რეგულარული არმიის სახით, ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებს.

მუხლი 14. მეომარი მხარის ნებისმიერ სამხედრო გემს შეუძლია ითხოვოს ნებისმიერი ეროვნული კუთვნილების სამხედრო-ჰოსპიტალურ გემებზე, საქველმოქმედო საზოგადოებათა ან კერძო პირთა ჰოსპიტალურ გემებზე, ასევე სავაჭრო გემებზე, იახტებსა და მსუბუქ გემებზე მყოფი დაჭრილების, ავადმყოფების და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების გადაცემა, თუ მათი გადაადგილების საშუალებას იძლევა აღნიშნულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და თუ სამხედრო გემს შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი პირობები სათანადო სამედიცინო მომსახურებისათვის.

მუხლი 15. თუ დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები აიყვანა ნეიტრალურმა სამხედრო გემმა ან ნეიტრალურმა სამხედრო თვითმფრინავმა, საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით, მათ აღარ მიიღონ მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში.

მუხლი 16. მე-12 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, მოწინააღმდეგის ხელისუფლების ქვეშ მყოფი დაჭრილები, ავადმყოფები და კატასტროფაში მოყოლილი პირები ჩაითვლებიან სამხედრო ტყვეებად და მათ მიმართ გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამართლის ნორმები სამხედრო ტყვეების შესახებ. ტყვეების ხელში ჩამგდებს უფლება აქვს, მდგომარეობის შესატყვისად გადაწყვიტოს, დაიტოვოს ისინი, გადაიყვანოს თავის პორტში, ნეიტრალურ პორტსა თუ მოწინააღმდეგის პორტში. მოწინააღმდეგის პორტში გადაყვანის შემთხვევით თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებული სამხედრო ტყვეები აღარ ასრულებენ სამხედრო სამსახურს მთელი ომის მიმდინარეობის პერიოდში.

მუხლი 17. ნეიტრალურ პორტში ადგილობრივ ხელისუფალთა თანხმობით გადასხმულ დაჭრილებს, ავადმყოფებს და კატასტროფაში მოყოლილ პირებს, თუ საწინააღმდეგო ხასიათის შეთანხმება არ არის ნეიტრალურ სახელმწიფოსა და მეომარ მხარეებს შორის, ნეიტრალური მხარე იმგვარად მოუვლის, რომ შემთხვევებში, როდესაც ამას ითხოვს საერთაშორისო სამართალი, მათ არ მიიღონ მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში.

ჰოსპიტალიზაციისა და ინტერნირების ხარჯებს იღებს სახელმწიფო, რომლის მოქალაქენიც არიან დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები.

მუხლი 18. ყოველი ბრძოლის შემდეგ კონფლიქტში მყოფი მხარეები დაუჯონებლივ მიიღებენ ზომებს, რათა მოძებნონ დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები, დაიცვან ისინი გაძარცვისა და უდიერად მოპყრობისაგან, უზრუნველყონ მათი მოვლა, ასევე მოძებნონ გარდაცლილები და აღკვეთონ მათი ძარცვა.

ყოველთვის, როცა ამის შესაძლებლობას იძლევა პირობები, კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დაიდება ადგილობრივი შეთანხმებები ალყაშემორტყმული ზონიდან დაჭრილთა და ავადმყოფთა საზღვაო გზით ევაკუაციის შესახებ, ასევე ამ ზონაში იქ მიმავალი სანიტარული და სასულიერო პერსონალის და ქონების შეშვების შესახებ.

მუხლი 19. კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა შესაძლებლობისთანავე უნდა მოახდინონ ყველა მონაცემის რეგისტრირება, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ხელში ჩაგარდნილი მოწინააღმდეგე მხარის დაჭრილთა, ავადმყოფთა, გენის კატასტროფაში მოყოლილ პირთა და მოკლულთა პიროვნების დადგენას. ეს მონაცემებია:

- a) სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის მოცემული პირი;
- b) სამხედრო ან პირადი ნომერი;
- c) გვარი;
- d) სახელი ან სახელები;
- e) დაბადების წელი;
- j) ყველა სხვა მონაცემი, რომელიც შედის მის პირადობის მოწმობაში ან ამოსაცნობ მედალიონში;
- გ) ტყვედ ჩავარდნის ან გარდაცვალების ადგილი და რიცხვი;
- h) მონაცემები დაჭრის, ავადმყოფობის შესახებ, ან გარდაცვალების მიზეზები.

ზემოხსენებული მონაცემები უმოკლეს დროში გადაეცემა 1949 წლის 12 აგვისტოს სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის კონვენციის 122-ე მუხლში მითითებულ ცნობათა ბიუროს. ბიურო მიღებულ მონაცემებს გადასცემს შესაბამის სახელმწიფოს მფარველი სახელმწიფოს ან სამხედრო ტყვეების საქმეთა შესახებ ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით.

კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა ამავე ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს უნდა გადასცენ გარდაცვალების მოწმობები ან სათანადოდ დამოწმებული გარდაცვლილთა სიები.

ისინი ერთმანეთს გადასცემენ ორმაგი ამოსაცნობი მედალიონების ნაწილებს, ანდერძებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ გარდაცვლილთა ოჯახებისათვის, ასევე, ფულს და ყოველგვარ სუბიექტური თუ ობიექტური ფასეულობის მქონე ნივთებს, რომლებიც ნაპოვნია გარდაცვლილებზე. ეს ნივთები, აგრეთვე, ამოუცნობი ნივთები, გადაეცემა დალუქულ პაკეტებში, განცხადებასთან ერთად, რომელიც შეიცავს მონაცემებს გარდაცვლილთა პირადობის დასადგენად და პაკეტების შემადგენლობის სრულ ნუსხას.

მუხლი 20. კონფლიქტში მყოფი მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა ზღვაში დასაფლავება მოხდეს, რამდენადაც შესაძლებელია ინდივიდუალურად და მას წინ უნდა უძღოდეს, თუ შესაძლებელია, სამედიცინო გასინჯვა სიკვდილის კონსტატაციის მიზნით. პიროვნების დადგენის გაადვილების მიზნით, ამოსაცნობი ორმაგი მედალიონის ერთი ნაწილი ან თავად მედალიონი, თუ ის ორდინარულია, რჩება სხეულზე.

თუ გარდაცვლილთ ხმელეთზე გამოიყვანენ, მათზე ვრცელდება ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ.

მუხლი 21. კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ მიმართონ ნეიტრალური სავაჭრო გემების, იახტების და მსუბუქი გემების კაპიტნების კატათმოყვარეობას, რათა მათ მიიღონ ბორტზე დაჭრილები, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები, მოუარონ მათ, აგრეთვე მოძებნონ გარდაცვლილები.



ყველა სახის გემი, რომელიც გამოეხმაურება ამ მოთხოვნას, ასევე ისინი, ვინც თავის ინიციატივით მოახდენენ ჩამოთვლილ პირთა აყვანას, ისარგებლებენ ამ დახმარების გასაწევად ნაკისრი მისიისათვის სპეციალური მფარველობით და დახმარებით.

ამ გემთა დაკავება აღნიშნული გადაყვანითი რეისის დროს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. მაგრამ, თუ არ არსებობს სხვა შეთანხმება ასეთი რეისების შესახებ, გემები შეიძლება დააკავონ ნეიტარლიტეტის დარღვევისათვის.

თავი III

ჰოსპიტალური გემები

მუხლი 22. სამხედრო ჰოსპიტალური გემები, ანუ გემები, აგებული ან აღჭურვილი სახელმწიფოების მიერ სპეციალურად ერთადერთი მიზნით — დაეხმარონ დაჭრილებს, ავადმყოფებს, გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებს გაუწიონ დახმარება და გადაიყვანონ, არავითარ შემთხვევაში არ განიცდიან თავდასხმას, არც დაკავებას; ყოველთვის სარგებლობენ პატივისცემით და დაცვით იმ პირობით, რომ გემების გამოყენებამდე 10 დღით ადრე გემების სახელები და დახასიათება ეცნობებათ კონფლიქტში მყოფ მხარეებს.

შეტყობინებაში უნდა შევიდეს ცნობები სარეგისტრო ბრუტო-ტონაჟის, გემის სიგრძეზე ცხვირიდან კიჩომდე, ანძების და მილების რაოდენობის შესახებ.

მუხლი 23. სახმელეთო დაწესებულებანი, რომლებიც იმყოფებიან 1949 წ. 12 აგვისტოს მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის კონვენციის მფარველობის ქვეშ, არ განიცდიან თავდასხმას ან სროლას ზღვიდან.

მუხლი 24. ჰოსპიტალური გემები რომლებსაც იყენებენ წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებები, ოფიციალურად აღიარებული საქველმოქმედო საზოგადოებები ან კერძო პირები, სარგებლობენ ისეთივე მფარველობით, როგორც სამხედრო ჰოსპიტალური გემები და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი დაკავება, თუ კონფლიქტში მონაწილე მხარემ, რომელზედაც ისინი არიან დამოკიდებულნი, მისცა მათ ოფიციალური დავალება და თუ შესრულებულია შეტყობინების შესახებ 22-ე მუხლში მითითებული დებულებები.

ამ გემებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ხელისუფალთა მიერ გადაცემული დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ გემების აღჭურვისა და გაგზავნის მომენტში ამ უკანასკნელთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მუხლი 25. ჰოსპიტალური გემები, რომლებსაც იყენებენ წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებები, ოფიციალურად აღიარებული საქველმოქმედო საზოგადოებები ან ნეიტრალურ ქვეყანათა კერძო პირები, სარგებლობენ ისეთი მფარველობით, როგორც სამხედრო ჰოსპიტალური გემები და არავითარ

შემთხვევაში არ შეიძლება მათი დაკავება, თუ თავისი მთავრობის თანახმობით და კონფლიქტში მყოფი დაინტერესებული მხარის ნებართვით ერთ-ერთი მხარის სამსახურში შევიდნენ და თუ შესრულდა 22-ე მუხლში მითითებული დებულებები შეტყობინებების შესახებ.

მუხლი 26. 22-ე, 24-ე და 25-ე მუხლებში ნახსენები მფარველობა გავრცელდება ნებისმიერი ტონაჟის ჰოსპიტალურ გემებსა და მათსამაშველო ნაგებზე, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ სად გამოიყენება ისინი, მაგრამ, უსაფრთხოებისა და მაქსიმალური მოხერხებულობის უზრუნველყოფის მიზნით, კონფლიქტში მყოფი მხარეები უნდა ეცადონ დაჭრილთა, ავადმყოფთა, გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა გადასაცვანად შორ მანძილზე და ღია ზღვაში გამოიყენონ 2000 ბრუტო-ტონაჟზე მეტი წყალწყვის ჰოსპიტალური გემები.

მუხლი 27. სახელმწიფოს ან ოფიციალურად აღიარებული ჰუმანიტარული საზოგადოების მიერ სანაპირო სამაშველო ოპერაციების შესასრულებლად გამოყენებული მცირე გემები იმავე პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია 22-ე და 24-ე მუხლებში, სარგებლობენ პატივისცემით და მფარველობით იმ ზომით, რის საშუალებასაც იძლევა ოპერატიული მოთხოვნები.

იგივე ეხება მუდმივ სახმელეთო ნაგებობებს, რომლებიც სარგებლობენ მხოლოდ ეს გემები თავიანთი ჰუმანიტარული მოვალეობების აღსრულებით-სათვის.

მუხლი 28. სამხდრო გემების ბორტებზე ბრძოლის შემთხვევაში შეძლებისამებრ დაცული და დანდობილი უნდა იყოს ლაზარეთები. ლაზარეთები და მათი აღჭურვილობა ემორჩილება ომის კანონებს, მაგრამ არ შეიძლება მათი სხვა მიზნებისათვის გამოყენება, სანამ ისინი საჭიროა დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის. მაგრამ ხელმძღვანელს, რომლის ხელისუფლების ქვეშაც ისინი არიან, უფლება აქვს გამოიყენოს ლაზარეთები უკიდურესი სამხედრო საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ, წინასწარ უნდა უზრუნველყოს ლაზარეთში სამკურნალოდ მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების ხვედრი.

მუხლი 29. პორტში მყოფ ნებისმიერ ჰოსპიტალურ გემს, რომელიც მოწინააღმდეგის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა, უფლება ეძლევა დატოვოს პორტი.

მუხლი 30. 22-ე, 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლებში მითითებული გემები დახმარებას უწყვენ დაჭრილებს, ავადმყოფებს, გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებს, ეროვნულობის მიუხედავად.

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ, არ გამოიყენონ ეს გემები სამხედრო მიზნებისათვის.

ამ გემებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეზღუდონ მეზობლთა მოძრაობა.

ბრძოლის დროს და ბრძოლის შემდეგ ისინი მოქმედებენ თავის რისკზე დაყრდნობით.

მუხლი 31. კონფლიქტში მყოფ მხარეებს უფლება აქვთ, მოახდინონ 22-ე, 24-ე, 25-ე, და 27-ე მუხლებში მითითებული გემების კონტროლი და დათვალი-

ერება. მათ შეუძლიათ უარი თქვან გემების დახმარებაზე, უბრძანონ წასვლა. მიუთითონ გარკვეული მიმართულება, აკონტროლონ მათი რადიოაპარატურა და კავშირის სხვა საშუალებანი, დააკავონ გემები 7 დღის ვადით იმ დღიდან, რაც მოხდა გემების დათვალიერება. დაკავების მიზეზი შეიძლება იყოს მდგომარეობის სერიოზულობა.

მხარეებს შეუძლიათ დანიშნონ კომისარი, რომლის მოვალეობაა თვალი ადევნოს წინა აბზაცში მითითებულ დებულებათა საფუძველზე მიცემული ბრძანებების აღსრულებას.

შესაძლებლობის მიხედვით, კონფლიქტში მყოფი მხარეები ჰოსპიტალური გემების ჟურნალში იმ ენაზე ჩაწერენ ბრძანებებს, რომელიც გასაგებია გემის მეთაურისათვის.

კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ, ერთმხრივი აქტის ან სპეციალური შეთანხმების თანახმად, თავის ჰოსპიტალურ გემებზე მოათავსონ ნეიტრალური მეთვალყურენი, რომლებიც დაამოწმებენ მიცემული კონვენციის დებულებათა მკაცრად აღსრულებას.

მუხლი 32. 22-ე, 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლებში მოხსენებული გემები ნეიტრალურ პორტში ყოფნის დროს არ უთანაბრდებიან სახმელრო გემებს.

მუხლი 33. ჰოსპიტალურ გემებად გადაკეთებული სავაჭრო გემების გამოყენება სხვა მიზნით ომის განმავლობაში არ დაიშვება.

მუხლი 34. მფარველობა, რომლითაც სარგებლობენ ჰოსპიტალური გემები და გემებზე ლაზარეთები, შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მფარველობას გამოიყენებენ გარდა თავისი ჰუმანური ვალდებულებების შესრულებისა, მოწინააღმდეგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებებისათვის. მაგრამ მფარველობა შეწყდება მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილებით დაწესებული მისაღები ვადის გასვლის შემდეგ, თუ გაფრთხილებამ არ მოიტანა შედეგი. ჰოსპიტალურ გემებს არ უნდა ჰქონდეთ და არ უნდა გამოიყენონ საიღუმლო კოდი თავიანთი რადიოგადამცემის ან კავშირის სხვა საშუალებებისათვის.

მუხლი 35. ჰოსპიტალურ გემებსა და გემების ლაზარეთებზე დაწესებული მფარველობა არ შეწყდება შემდეგი გარემოებების დროს:

- 1) თუ გემის ეკიპაჟი და ლაზარეთის პერსონალი შეიარაღებულია წესრიგის დაცვის, თავდაცვის, დაჭრილთა და ავადმყოფთა დაცვისათვის;
- 2) თუ გემზე არის ნაოსნობისა და კავშირის უზრუნველყოფისათვის საჭირო აპარატურა;
- 3) თუ ჰოსპიტალურ გემებზე ან ლაზარეთებში აღმოჩნდა დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა იარაღი და საბრძოლო მარაგი, რომელიც ჯერ არ არის ჩაბარებული;
- 4) თუ ჰოსპიტალური გემების და გემებზე მყოფი ლაზარეთების ჰუმანიტარული მოღვაწეობა ვრცელდება დაჭრილ, ავადმყოფ და გემის კატასტროფაში მოყოლილ სამოქალაქო პირებზე.
- 5) თუ სანიტარული ფუნქციების აღსრულებისათვის საჭირო გადასაცვანი პერსონალი ან გადასატანი აღჭურვილობა დაწესებულ ნორმას აჭარბებს.

თავი IV

პირადი შემადგენლობა

მუხლი 36. ჰოსპიტალური გემების სამედიცინო, ჰოსპიტალური და სასულიერო პერსონალი და მათი ეკიპაჟი სარგებლობს პატივისცემით და მფარველობით, არ შეიძლება მათი დაკავება ჰოსპიტალურ გემებზე სამსახურის დროს, დამოუკიდებლად იმისაგან, იმყოფებიან თუ არა გემზე დაჭრილები და ავადმყოფები.

მუხლი 37. სანიტარული, ჰოსპიტალური და სასულიერო პერსონალი, მოწოდებული მე-12 და მე-13 მუხლებში მითითებული პირების სამედიცინო და სასულიერო მომსახურებისათვის, მოწინააღმდეგის ხელთ ჩავარდნისას სარგებლობს პატივისცემით და მფარველობით. მას შეუძლია პროფესიულ მოვალეობათა აღსრულება, ვიდრე ეს საჭიროა დაჭრილთა და ავადმყოფთა მოვლისათვის; შემდეგ შეიძლება მათი უკან გაგზავნა, როგორც კი ამას შესაძლებლად ჩათვლის მთავარსარდალი. გემის დატოვებისას პერსონალის წევრს შეუძლია წაიღოს საკუთარი ნივთები.

მაგრამ, თუ სამხედრო ტყვეთა სანიტარული და სასულიერო მოთხოვნების გამო, საჭიროა ამ პერსონალის ნაწილის დაკავება, მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათ უმოკლეს დროში ხმელეთზე გადასახმელად.

ხმელეთზე გადასული პერსონალი ხდება 1949 წლის 12 აგვისტოს მოქმედ არმიის დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ ქენევის კონვენციის დებულებათა მოქმედების ქვეშ.

თავი V

სანიტარული ტრანსპორტი

მუხლი 38. ამ მიზნით დაქირავებულ გემებს ნებადართული ექნებათ გადაიტანონ მასალა, რომელიც საჭიროა შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა და ავადმყოფთა მკურნალობისათვის ან დაავადების გავრცელების აღსაკვეთად იმ პირობით, რომ მათი რეისების შესახებ ეცნობება მოწინააღმდეგე მხარეს და აგი ამის ნებას დართავს. მოწინააღმდეგეს უფლება აქვს, დაათვალიეროს გემები, მაგრამ არ შეუძლია გემების ან გადასატანი მასალის მიტაცება.

კონფლიქტში მყოფ მხარეთა შორის მოლაპარაკებების საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს ამ გემებზე ნეიტრალური მეთვალყურე, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს გადასატან მასალას. ამასთან, მასალის ნახვა არ უნდა იყოს შეზღუდული.

მუხლი 39. სანიტარული საფრენი აპარატები ე. ი. აპარატები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციისათვის, სანიტარული და პირადი შემადგენლობის გადასაცემად, ქონების გადასატანად, არ გა-

ნიციდიან თავდასხმას, სარგებლობენ მეომარ მხარეთა პატივისცემით, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მეომარ მხარეთა სპეციალური შეთანხმებით ფრენენ გათვალისწინებულ სიმაღლეზე, დადგენილ დროს და დადგენილი მარშრუტით.

მათ ექნებათ 38-ე მუხლში მითითებული მკაფიოდ დასანახი განმასხვავებელი ნიშანი ეროვნული ფერების გვერდით, ქვემოთა, ზემოთა და გვერდითა სიბრტყეებზე; ექნებათ აგრეთვე საომარი მოქმედებების დასაწყისში ან მათი მიმდინარეობის დროს მეომარ მხარეთა შეთანხმებით დაწესებული ყოველგვარი სხვა სიგნალიზაცია ან განმასხვავებელი ნიშნები.

გარდა საწინააღმდეგო ხასიათის შეთანხმებებისა, მოიწინააღმდეგის ან მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ფრენა აკრძალულია.

საფრენი აპარატები უნდა დაემორჩილოს დაფრენის ნებისმიერ მოთხოვნას. მოთხოვნის საფუძველზე დაშვების შემთხვევაში საფრენ აპარატს შეუძლია თავისი მგზავრებითურთ განაგრძოს ფრენა შესაძლო შემოწმების შემდეგ.

მოწინააღმდეგის ან მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ძუღლებითი დაფრენის შემთხვევაში ეკიპაჟი, ასევე დაჭრილები და ავადმყოფები, სამხედრო ტყვეებად იქცევიან. სანიტარულ პერსონალს მოეპყრობიან 36-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად.

მუხლი 40. კონფლიქტში მყოფი მხარეების სანიტარულ საფრენ აპარატებს, ამ მუხლის მეორე აბზაცში მითითებული პირობების დაცვით, შეუძლიათ გადაიფრინონ ნეიტრალური ქვეყნების ტერიტორიებზე და მოახდინონ დაფრენა აუცილებლობის შემთხვევაში ან შუალედური შესვენებისათვის წინასწარ უნდა აცნობონ ნეიტრალურ ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე გადაფრენის შესახებ და დაემორჩილონ დაფრენის ან წყალზე დაშვების ყოველ მოთხოვნას. თავდასხმისაგან დაცული იქნებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იფრენენ დაინტერესებულ ნეიტრალურ სახელმწიფოებსა და კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის, შეთანხმების საფუძველზე დადგენილ სიმაღლეზე, დადგენილი მარშრუტით და შესაბამის დროს.

მაგრამ ნეიტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ პირობები ან შეზღუდვები თავიანთ ტერიტორიებზე სანიტარული საფრენი აპარატების ფრენის ან დაფრენის შესახებ. ეს შესაძლო პირობები ან შეზღუდვები გამოყენებული იქნება თანაბრად კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის მიერ.

ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით, ნეიტრალურ ტერიტორიაზე სანიტარული საფრენი აპარატიდან გადმოყვანილ დაჭრილებს, ავადმყოფებს, გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებს, თუ არ იქნა სხვა სახის შეთანხმება ნეიტრალურ სახელმწიფოსა და კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის, ნეიტრალური სახელმწიფო იმგვარად უვლის, რომ, როცა ამას ითხოვს საერთაშორისო სამართალი, მათ აღარ მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, ამ დაჭრილთა და ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციის და ინტერნირების ხარჯებს იხდის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.



განმასხვავებელი ემბლემა

მუხლი 41. კომპეტენტური სამხედრო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ წითელი ჯვრის ემბლემა თეთრ ფონზე გამოსახული იქნება დროშებზე, სამკლავურებზე და სანიტარულ სამსახურთან დაკავშირებულ ყველა საგანზე.

მაგრამ ქვეყნები, რომლებიც წითელი ჯვრის ნაცვლად ხმარობენ თეთრ ფონზე წითელი ნ/მთვარის ან წითელი ლომის და მზის ემბლემებს განმასხვავებელ ნიშნებად, ეს ემბლემები, მოცემული კონვენციის თანახმად, გამოსაყენებლად დაიშვება იმავე პირობებით, როგორც წითელი ჯვრის ემბლემები.

მუხლი 42. 36-ე და 37-ე მუხლებში მოხსენებული პირადი შემადგენლობა მარცხენა ხელზე ატარებს ნესტის გაძძლე სამკლავურს; რომელიც ბეჭდით დამოწმებული და გაცემულია სამხედრო ხელისუფალთა მიერ. (შემდგომ ტექსტი ემთხვევა მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის მე-40 მუხლს).

მუხლი 43. 22-ე, 24-ე 25-ე და 27-ე მუხლებში მითითებული გემები გაირჩევა შემდეგი ნიშნებით:

a) მთელი ზედაპირი უნდა იყოს თეთრი:

b) რაც შეიძლება დიდი ზომის ერთი ან რამდენიმე მუქი წითელი ფერის ჯვარი გამოსახული უნდა იყოს კორპუსის ყოველ მხარეზე და ჰორიზანტალურ სიბრტყეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საუკეთესო ხილვადობა ზღვაზეც და ჰაერიდანაც.

ყველა ჰოსპიტალური გემი ამოსაცნობად აღმართავს ეროვნულ დროშას, ხოლო ისინი ვინც ნეიტრალურ ქვეყანას ეკუთვნიან — იმ სახელმწიფოს დროშას, რომლის გამგებლობაშიც არიან, თეთრ ფონზე წითელ ჯვრის დროშა უნდა აღიმართოს გროტ-ანძაზე, რაც შეიძლება მაღლა.

ჰოსპიტალური გემების მშველი ნაგები, სანაპირო მშველი გემები და ყველა პატარა გემი, რომელიც სანიტარული სამსახურისათვის გამოიყენება, უნდა შეიღებოს თეთრად და მკვეთრად უნდა მოჩანდეს წითელი ჯვრები. ჰოსპიტალური გემების ამოცნობისათვის დადგენილი ნორმები ვრცელდება ამ გემებზეც.

თუ ზემოხსენებულ გემებს სურთ, მათი მფარველობის უზრუნველყოფა ღამისა და ცუდი ხილვადობის პირობებში, მათ უფლება აქვთ, კონფლიქტში მყოფი იმ მხარის ნებართვით, რომლის გამგებლობაშიც არიან, მიიღონ ზომები, რათა კარგად გამოჩნდეს მათი განმასხვავებელი ემბლემები.

31-ე მუხლის შესაბამისად, მოწინააღმდეგის მიერ დროებით დაკავებულმა ჰოსპიტალურმა გემებმა უნდა დაუშვან კონფლიქტში მყოფი იმ მხარის დროშა, რომლის სამსახურშიც არიან.

სანაპირო მშველ გემებს, თუ ისინი მოქმედებენ ოკუპირებული ბაზებიდან ოკუპაციის მომხდენი ქვეყნის თანხმობით, შეიძლება ნება დაერთოთ, აღმართონ ეროვნული დროშა წითელი ჯვრის დროშის გვერდით, ზღვაში გასვლის წინ, იმ პირობით, რომ კონფლიქტში მყოფ ყველა დაინტერესებულ მხარეს ამის შესახებ წინასწარ აცნობებენ.

მოცემულ მუხლში მოყვანილი დებულებები, წითელი ჯვრის ემბლემაში გამოყენების შესახებ, თანაბრად ეხება 41-ე მუხლში მითითებული ყველა ემბლემის გამოყენებას.

კონფლიქტში მყოფი მხარეები ყოველთვის ეცდებიან, დადონ შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გამოიყენონ ჰოსპიტალური გემების ამოცნობის ყველაზე თანამედროვე, ხელმისაწვდომი მეთოდები.

მუხლი 44. 43-ე მუხლში მითითებული ამოსაცნობი ემბლემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს, მხოლოდ ამ მუხლში მითითებული გემების დაცვის და აღნიშვნის მიზნით. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ რაიმე სხვა საერთაშორისო კონვენციით ან კონფლიქტში მონაწილე ყველა დანტერესებულ მხარეს შორის შეთანხმებით.

მუხლი 45. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები იმ შემთხვევაში, თუ მათი მოქმედი კანონმდებლობა არ აღმოჩნდება საკმარისი, მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა აღიკვეთოს და შეწყდეს ნებისმიერ სხვა დროს 43-ე მუხლში მითითებული ემბლემების ბოროტად გამოყენება.

VII თავის (კონვენციის შესრულება) 46-49 მუხლები, VIII თავის (ბოროტად გამოყენების და დარღვევის აღკვეთა) 50-53 მუხლები, დასკვნითი დებულებების 54-63 მუხლები, თავისი შინაარსით ანალოგიურია 1949 წლის მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის VIII თავის (კონვენციის შესრულება) 45-48, IX თავის (ბოროტად გამოყენების და დარღვევის აღკვეთა) 49-54, დასკვნითი დებულებების 55-64 მუხლებისა*.

კონვენციაზე ხელმოწერისას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გააკეთა შემდეგი შინაარსის შენიშვნა მეათე მუხლის შესახებ;

„იმ სახელმწიფოს მიმართვას, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები ან სანიტარული პერსონალი, ნეიტრალური სახელმწიფოს ან ჰუმანიტარული ორგანიზაციისადმი მფარველი სახელმწიფოს ფუნქციების თავის თავზე აღების შესახებ სსრკ უკანონოდ ჩათვლის, თუ ამას არ დაეთანხმება ის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი“.

* სსრკ-ის მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და კონვენციების კრებული, გამოშვება XVI, მოსკოვი, 1957, გვ. 101-124 (რუსულ ენაზე).

ღეგატები სიტყვის თავისუფლებაზე*

აღნიშნული საქმე ეხება 1984 წლის 22 აგვისტოს, დალასში რესპუბლიკური პარტიის ეროვნული ყრილობის დროს, ჯორჯ ლი ჯონსონის მიერ პოლიტიკური პროტესტის მოტივით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშის დაწვას. ჯონსონი დააბატიმრეს ტეხასის შტატის კანონის საფუძველზე, რომელიც კრძალავს საზოგადოების მიერ წმინდად მიჩნეული ნივთების შეურაცხყოფას. სწორედ ასეთი კვალიფიკაცია მიეცა ჯონსონის ქმედებას. მას მიუსაჯეს ერთი წლით პატიმრობა და დააკისრეს 2000 დოლარი ჯარიმის გადახდა. მან მიმართა სააპელაციო სასამართლოს, სადაც დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მართებულობა. შემდეგ ჯონსონმა შტატის უმაღლეს სასამართლო ორგანოს — უმაღლეს სააპელაციო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ უარყო ბრალდება და გამოიტანა დასკვნა, რომ ტეხასის შტატის სტატუტი არაკონსტიტუციურია. ტეხასის შტატმა გააპროტესტა ეს საქმე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში.

სასამართლო პროცედურის დროს ადვოკატებს შესაძლებლობა აქვთ სათანადო არგუმენტაციებით გამოხატონ თავიანთი პოზიციები. სასამართლო მოსმენამდე მხარეები წარადგენენ რეზიუმეს თავიანთი სამართლებრივი პოზიციების განმარტებით, კონსენსუსის მიღწევა ხდება უშუალოდ პროცესის მიმდინარეობის დროს.

სულ ცოტა ხნით ადრე ჯონსონის საქმე ადვილად გადაწყდებოდა ზედა საფეხურის სასამართლოში კასაციის გარეშეც. ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც პირველ შესწორებას ეყრდნობოდა, უცვლელი დარჩებოდა. ამის მაგალითად წინა წლებში ანალოგიური ხასიათის საქმეთა განხილვის შედეგების გაცნობა იკმარებდა. 1953-1969 წლებში უზენაესმა სასამართლომ ერთი უორენის თავმჯდომარეობით აირჩია პირველი შესწორებისადმი თითქმის „უსიტყვო“ მორჩილების პოზიცია, რაც ნიშნავდა, რომ პირველი შესწორება წარმოადგენდა განსხვავებული აზრის დაცვის საშუალებას.

* სტატია იბეჭდება შემოკლებით.



უორენ ბერგერის თავმჯდომარეობის დროს (1969-1986 წწ.) უზენაესი სასამართლო მთლიანად ეყრდნობოდა ამ პრეცედენტებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა დანიშნა ახალი შემადგენლობა — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უილიამ რენკვისტი, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრები: სანდრა დეი ო'კონორი, ანტონინ სკალია და ენტონი კენედი, კონსერვატორულმა ბლოკმა შეიძინა ძალა და გამბედაობა, უკვე სასამართლომ განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში და რა დოზით იყო შესაძლებელი სასამართლო პრეცედენტებზე დაყრდნობა, მითუმეტეს, როცა ლაპარაკია იმ პრეცედენტებზე, რომელთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობდნენ და დომინირებდნენ ლიბერალები.

პირველივე ფრაზიდან, რომელსაც ქეთი ელის დრიუ წარმოთქვამს ამ პროცესზე, ნათელი ხდება თუ რა ტაქტიკა აირჩია მან. იგი ამტკიცებს, რომ ტენესის შტატს უფლება აქვს დაიცვას დროშის სიმბოლური მთლიანობა და ყოველგვარი ქმედება, რომელიც დროშის დაწვის მსგავსად, საჯაროდ შეურაცხყოფს ამ სიმბოლოს, უნდა გამოცხადდეს უკანონო ქმედებად. პირველ შესწორებასთან დაკავშირებულ საქმეებში კანონი ყოველთვის მიმართავდა თითქმის უსიტყვო ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვით პოლიტიკური პროტესტის საჯაროდ გამოხატვის ყოველგვარი ფორმა, სიმბოლურის ჩათვლით (ვთქვათ დროშის დაწვა), ხდებოდა ამ შესწორების დაცვის სფეროში. ამიტომაც, რომ დრიუ აშკარად გაურბის პრეცედენტის მოხმობას.

ჯონსონის ადვოკატი კანსტლერი სულ სხვა სტრატეგიას ირჩევს. იგი ეყრდნობა მრავალრიცხოვან პრეცედენტებს, მოჰყავს ციტატები ამ საქმეებიდან, რომელთა ადვოკატებიც იმ დღეს ჯონსონის პროცესში იღებდნენ მონაწილეობას, უკვე როგორც უზენაესი სასამართლოს წევრები. კანსტლერის აზრით, მათ მიერ წინა პროცესებში გამოთქმული მოსაზრებები ზუსტად მიუთითებენ იმ პოზიციებზე, რომელთაც ისინი ახლა ამ საკითხთან დაკავშირებით დაიჭერენ, მაგრამ ადვოკატმა წარმატებას ვერ მიაღწია, როცა იგი ცდილობდა მოსამართლეები ამა თუ იმ მხარის წარმომადგენლად წარმოედგინა. სასამართლომ ამგვარი მოქმედება მლიქვნელობით მოსამართლეების ხმების მოპოვების ცდად მიიჩნია.

მიუხედავად ამ პროცესის შედეგებისა, ის ფაქტი, რომ სასამართლომ გადაწყვიტა ამ საქმის მოსმენა, თავისთავად ნიშნავს, რომ მოსამართლეებმა ეჭვს ქვეშ დააყენეს ადრე გაბატონებული სამართლებრივი წარმოდგენა სიტყვის თავისუფლების შესახებ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უილიამ რენკვისტი: ჩვენ ვისმენთ მხარეთა სასამართლებრივ პოზიციებს „ტენესის შტატი ჯორჯ ლი ჯონსონის წინააღმდეგ“ საქმესთან დაკავშირებით. მისი დრიუ, შეგიძლიათ დაიწყოთ.

ქეთი ელის დრიუ: მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს პატივცემულო წევრებო! განსახილველი

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: 1984 წელს ტენესის შტატის ქალაქ დალასში, რესპუბლიკური პარტიის ეროვნული ყრილობის დროს ქალაქის რატუსის წინ, დემონსტრანტთა თვალწინ დაწვეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა. ჩვენთვის საინტერესოა, წარმოადგენს თუ არა სახელმწიფო დროშის დაწვა ამ შემთხვევაში იმ ქმედებას, რომელსაც იცავს აშშ-ს კონსტიტუციის პირვე-



ლი შესწორება. აღმნიშნავი, ვინც ეს ქმედება ჩაიდინა, ვასამართლდა ტეხასის შტატის კანონმდებლობით, რომელიც კრძალავს სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფას. მას მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და დევისრა ჯარიმა 2000 დოლარის რაოდენობით.

ტეხასის შტატის სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლომ გადასინჯა განაჩენი და დაადგინა, რომ ტეხასის სტატუტი არაკონსტიტუციურია, რადგან მისტერ ჯონსონი გამოვიდა პოლიტიკური პროტესტით. მოსამართლე კემპბელმა, რომელიც ამ პროცესს წარმართავდა, ჯონსონის მიერ დროშის დაწვა განსაზღვრა, როგორც პოლიტიკური პროტესტის საჯაროდ გაცხადების სიმბოლური აქტი. სასამართლომ ისიც განსაზღვრა, რომ ტეხასის შტატის ინტერესები, რომელიც მდგომარეობს დროშის დაწვის ფაქტის რეგლამენტირებაში, არ აღემატება პროტესტის გამოხატვის იმ უფლებას, რომელიც მინიჭებულია კონსტიტუციის პირველი შესწორებით.

ტეხასის შტატი ეთანხმება სიმბოლური მოქმედების კრიტერიუმს. მაგრამ ამ საქმეში ტეხასის შტატის განსაკუთრებულ დანტერესებას წარმოადგენს ორი მომენტი: პირველი — დროშის, როგორც სახელმწიფოებრიობის და ეროვნული ერთიანობის სიმბოლოს დაცვა, მეორე — საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილება.

ხელისუფლებას გააჩნია ძალები ეროვნული სიმბოლოს — დროშის განადგურებისაგან დასაცავად.

კოლეგიის წევრი ანტონინ სკალია: რატომ გგონიათ, რომ ბრალდებულის მოქმედება ანადგურებს სიმბოლოს? მისი მოქმედება უშუალოდ ჩივილიდა, თუ არა ის ფაქტი, რომ დროშა საუკეთესო სიმბოლოა იმისა, რის მიმართაც ჯონსონი გამოხატავდა სიძულვილს. მისი მოქმედებით დროშა, როგორც სიმბოლო, არ გამხდარა ნაკლებმნიშვნელოვანი.

დრიუ: ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ სიმბოლო გარკვეული დროის განმავლობაში იგნორირებულია ან შეურაცხყოფილი, მან შეიძლება მართლაც დაკარგოს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა.

სკალია: არა მგონია. ვფიქრობ, მსგავსი მოქმედება მას უფრო მეტ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს. თქვენი არგუმენტაცია სხვა რამეს ამტკიცებს: მან კი არ გაანადგურა დროშა, არამედ გამოხატა უპატივცემულობა მის მიმართ. თქვენი მსჯელობიდან ჩანს, რომ თქვენ

გჭირდებათ არა უბრალოდ სიმბოლო, არამედ წმიდათაწმიდა სიმბოლო. თქვენ ვერ ამტკიცებთ, რომ ჯონსონის ქმედებამ დროშის სიმბოლური მნიშვნელობა შეამცირა.

დრიუ: იძულებული ვარ არ დაგეთანხმოდ. თუ მისტერ ჯონსონის მოქმედება არ არის დროშის შეურაცხყოფა, მაშინ გაუგებარია, რა არის იგი საერთოდ.

სკალია: ჯონსონმა შეურაცხყო დროშა, ეს ასეა, მაგრამ განა, მისმა მოქმედებამ დროშა ნაკლებ მნიშვნელოვან სიმბოლოდ აქცია? თქვენი არგუმენტი ასეთია: თუ ვინმე შეურაცხყოფს ეროვნულ სიმბოლოს, ჩვენ საერთოდ ვკარგავთ მას, როგორც ეროვნულ სიმბოლოს. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება პირველიდან გამომდინარეობდეს მეორე. სულ სხვაა თუ ჩვენ არ გვექნება ყველას მიერ პატივცემული სიმბოლო, მაგრამ თუ თქვენ მოითხოვთ უკლებლივ ყველასაგან დროშისადმი პატივისცემის გამოხატვას, ეს უკვე სხვაგვარი არგუმენტაციაა.

დრიუ: ტეხასის შტატი ვერ მოითხოვს დროშისადმი პატივისცემას. უწინარესად, ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ დროშის ფიზიკური მთლიანობა, რათა მან შეძლოს თავისი სიმბოლური მნიშვნელობის შესრულება. ამასთან მიმაჩნია, რომ დროშის ფიზიკური შეურაცხყოფით (ე. ი. ამ შემთხვევაში ჯონსონის მოქმედებით) იზღლება დროშის სიმბოლური მნიშვნელობა.

რენკვისტი: გარკვეული აზრით, თქვენი მოთხოვნაა დროშისადმი პატივისცემის მინიმალური უზრუნველყოფა, არა? იმ ფორმით კი არა, რომ დროშის დანახვაზე ქუდები მოვიხადოთ, არამედ სულ მცირე, შტატს იმის უფლება ჰქონდეს, რომ მოითხოვოს არ გაანადგუროს დროშა.

დრიუ: დიახ, ჩვენ მოვუწოდებთ სახელმწიფო დროშისადმი პატივისცემისაკენ და აქედან გამომდინარეობს ფიზიკური ხელყოფისაგან დროშის დაცვის მოთხოვნაც. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერავის მოვთხოვთ, რომ დროშის დანახვაზე აუცილებლად გამოხატონ ემოციები.

კოლეგიის წევრი ენტონი კენედი: საუკუნეების მანძილზე ადამიანები პატივისცემით ეპყრობოდნენ ჯვარს. რამდენადაც მესმის, ჯვარი არის რელიგიური სიმბოლო, მაგრამ არასოდეს ყოფილა იმის აუცილებლობა, რომ მომხდარიყო ჯვრის საკანონმდებლო დაცვის უზრუნველყოფა.

დრიუ: დიახ, ვეთანხმებით.

კენედი: ე. ი. ჩვენ შეგვიძლია სიმბოლოები

სისხლის სამართლის კანონმდებლობის გარდა, სხვა საშუალებებით დავიცავთ.

დრიუ: ვფიქრობ, რომ ჯვრის და დროშის შედარება არასწორია, რადგან მათი ხასიათი განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ჩვენს ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ჯვარი არავითარ სიმბოლოს არ წარმოადგენს. ტეხასის შტატის აღნიშნული სტატუტი მხოლოდ დროშის დაცვას ეხება. ამ სტატუტით დროშა ეროვნული საკუთრებაა, იგი ეკუთვნის ყველა ადამიანს და მათ უფლება აქვთ თავისებურად ხედავდნენ სახელმწიფო დროშის სიმბოლურ აზრს. ასევე შეუძლიათ მეტნაკლები პატივისცემით მოეპყრან მას. ჩვენ ამას არ ვარეგულირებთ. ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ დროშა, როგორც სიმბოლო ყველა ადამიანისათვის.

კენედი: თქვენ განაცხადეთ, რომ დროშა არის სიმბოლო და აღიარეთ, რომ მოპასუხის მოქმედება არის სიმბოლური მოქმედება — განსხვავებული აზრის საჯაროდ განცხადება. ასეა, არა?

დრიუ: დიახ, ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ მოქმედების განსაზღვრის და შეფასების ასეთი კრიტერიუმი.

კენედი: კარგი. მაშინ, რომელი კონსტიტუციური კატეგორია შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი სიმბოლური ქმედების დასასჯელად? ეს მხოლოდ დროშისათვის დაშვებული გამონაკლისი იქნება?

დრიუ: მიუხედავად სიმბოლური განცხადების კრიტერიუმისადმი პატივისცემისა, ვფიქრობთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია შტატის მოთხოვნა დროშის ხელუხლებლობის შესახებ.

კენედი: კრძალავს თუ არა სტატუტი დროშის შეურაცხყოფას?

დრიუ: დიახ.

კენედი: ასეთ შემთხვევაში თქვენი კატეგორია, რომელიც ერთ დროშას შეეხება, გავრცელდება 51 დროშაზე (ეროვნული და 50 შტატის დროშა).

კოლეგიის წევრი ხანდრა დეი ო კონორი: შეუძლია თუ არა ტეხასის შტატს აკრძალოს ფედერალური ან შტატის კონსტიტუციის ეგზემპლარების დაწვა?

დრიუ: რამდენადაც ვიცი, არა.

ო კონორი: განა ამ შემთხვევაშიც სიმბოლოსთან დაკავშირებულ შტატის ინტერესთან არა გვაქვს საქმე?

დრიუ: არა.

სკალია: რატომ? შტატის ემბლემა — ყვავილი?

დრიუ: არსებობს კანონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ღილილო შტატის ემბლემაა.

სკალია: მეც ასე ვფიქრობდი.

დრიუ: მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი მისი დაცვის შესახებ.

სკალია: საინტერესოა, რა პრინციპით ირჩევთ დაცვის ობიექტს — დროშას, კონსტიტუციასა და სხვა სიმბოლოებს შორის? მე რომ ვყოფილიყავი არჩევანის წინაშე, კონსტიტუციას ავირჩევდი.

დრიუ: ტეხასის შტატის სტატუტით შტატის დაცვის ქვეშ მყოფი სიმბოლო — ობიექტები არ ამოიწურება მხოლოდ დროშით, მაგრამ ჩვენ სტატუტის იმ ნაწილზე ვლაპარაკობთ, რომელიც დროშით შემოიფარგლება.

სკალია: ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ აქამდე დაუშვებლად მივიჩნევთ რაიმე საგნების გამოცხადებას ეროვნულ სიმბოლოდ და შემდეგ მათ გამოყენებას მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით. თქვენ კი, ფაქტობრივად, ახლა ამას მოითხოვთ.

დრიუ: ჩვენი მოთხოვნაა, აიკრძალოს დროშის საჯარო შეურაცხყოფა, მიუხედავად ადამიანის მამოძრავებელი მოტივისა.

სკალია: წარმოუდგენელია სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფა მის მიმართ პატივისცემის გამოხატვის ნიშნით. ე. ი. დროშის შეურაცხყოფა ხდება მხოლოდ იმ მოვლენისადმი პროტესტის ნიშნად, რისი სიმბოლოცაა დროშა. ასეა, არა?

დრიუ: არ არის აუცილებელი.

სკალია: თუ შეგიძლიათ მოიყვანოთ თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ დროშა შეურაცხყვეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამოსახატავად.

დრიუ: ამის მაგალითად გამოგვადგება ფაქტი, როცა დროშა დაწვეს ვიეტნამში დაღუპულთა პატივსაცემად. მათთვის ამერიკის დროშა ყველაზე ძვირფასი რამ არის. მათ გადაწყვეტილი აქვთ დროშა მოიტანონ დალასის რატუშის წინ და ყვვლას თვალწინ დაწვან იგი.

კოლეგიის წევრი ჯონ პოლ სტივენსი: ვრცელდება თუ არა ტეხასის შტატის სტატუტი ამ მაგალითზე?

დრიუ: დიახ, რადგან ამ აქტის აღმასრულებელი პირის მოტივი...

ო კონორი: მე ვთვლიდი, რომ ეს სტატუტი ეხება იმ პიროვნებებს, რომლებმაც იციან, რომ მათ, მიერ ჩადენილი ქმედება შეურაცხყოფს ირგვლივ მყოფებს.

დრიუ: დიახ.

ო კონორი: კონსტიტუციით აზრის საჯაროდ გამოთქმის აკრძალვა არ შეიძლება იმ მოტი-



ვით, რომ ეს აზრი რომელიმე მსმენელს შეურაცხყოფად მიაჩნია.

დრიუ: დიახ.

ო' კონორი: მაშინ ეს ხომ ისაა, რაც თქვენს შტატის სტატუტიდან გამომდინარეობს.

დრიუ: არა, რადგან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი აქ ისაა, თუ რა საშუალებით შესრულდება მოქმედება და არა ის, თუ რას ამბობს ამ მოქმედებით ადამიანი, ან როგორ აღიქვამენ ამას მნახველები. სახლში, ბნელ სარდაფში დროშის დაწვა არ არღვევს აღნიშნულ სტატუტს, რადგან ტეხასის შტატის სტატუტი შემოიფარგლება დროშის შეურაცხყოფის განსაზღვრული ფორმებით.

კოლეჯის წევრი ჰარი ბლეკმანი: მისის დრიუ, ჩემი კითხვა არაარსებითია, მაგრამ მითხარით, დროშა მოპარული იყო?

დრიუ: დიახ.

ბლეკმანი: ექნებოდა თუ არა ძალა თქვენს აზრუმენტაციას, დროშა რომ ჯონსონის კუთვნილება ყოფილიყო?

დრიუ: დიახ.

სტივენსი: წაუყენეს თუ არა ჯონსონს დროშის მოპარვა ბრალდება?

დრიუ: არა.

სტივენსი: საინტერესოა, რატომ?

დრიუ: არავის დაუნახავს თუ როგორ მოპარა მან დროშა. მოწმეები ამტკიცებენ, რომ დროშა სხვა პირებმა აიღეს და შემდეგ გადაცეს ჯონსონს. ამ პუნქტის დადასტურება ძნელი გახდა, რადგან ბრალდება მეტად ჰიპოთეზური იყო...

კენედი: თქვენ გვთხოვთ, რომ განვსაზღვროთ კონსტიტუციური კატეგორია. ამ კატეგორიის მიხედვით კი ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ დროშა არის რაღაც განსაკუთრებული.

დრიუ: ეს ერთ-ერთი გზაა. ჩვენ გთავაზობთ სხვა გადაწყვეტას: მივიღოთ სიმბოლური განცხადების კრიტერიუმი და განვსაზღვროთ როდის შეიძლება ასეთი მოქმედება უკანონოდ გამოცხადდეს.

ო' კონორი: როგორ გგონიათ პატრიკ ჰენრის ან ვინმე სხვას ამ სახელმწიფოს მამამთარებიდან გამოუხატავს უპატივცემულობა დიდი ბრიტანეთის დროშისადმი?

დრიუ: შესაძლებელია.

ო' კონორი: შესაძლებლად მიიჩნევთ თუ არა, რომ პირველი შესწორების ჩამოყალიბებისა, ისინი მიზნად ისახავდნენ აქედან დანაშაულის მიღებას, რომელსაც კანონი დასჯადად მიიჩნევდა.

დრიუ: ახლა ძნელია განვსაზღვროთ, ჰქონდათ თუ არა მათ ასეთი განზრახვა.

სკალია: თქვენი პასუხიდან გამომდინარეობს, რომ ისინი მზად იყვნენ ჩამსხდარიყვნენ ციხეებში იმ მომენტში, როცა აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციას აწერდნენ ხელს.

სტივენსი: ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათ ვერ დასჯიდნენ.

დრიუ: დიახ, აქ დროულია კლასიკური ფრაზა „ჩვენ ყველანი ერთი თოკით ვართ დაბმული“.

სკალია: თქვენი აზრით, დროშა განსხვავდება სხვა სიმბოლოებისაგან, ე. ი. მასში არის რაღაც უნიკალური.

დრიუ: დიახ.

სტივენსი: მაგრამ თქვენ ვერ დასაბუთებთ დროშის უნიკალობა.

დრიუ: არ გეთანხმებით. დროშა არის ამერიკის შეერთებული შტატების 200 წლიანი ისტორიის თვალნათელი მანიფესტი. 13 დანაყოფი თავდაპირველ 13 კოლონიას ნიშნავს, ხოლო თითოეული შტატი ვარსკვლავითაა აღნიშნული ლურჯ ფონზე, ამაშია მისი უნიკალობა. სახელმწიფო დროშას სწრაფად სცნობს ქვეყნის ყველა მოქალაქე.

კოლეჯის წევრი ტურგუდ მარშალი: დავუშვათ, ვინმემ დაწვა ამერიკის დროშა, რომელზეც 48 ვარსკვლავია გამოსახული.

დრიუ: ვფიქრობ, რომ ეს მოქმედება შეეხება ტეხასის შტატის სტატუტს. აშკარაა, რომ დროშა ძველია. ალბათ, ბევრს ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს იგი და ჰყიდებენ კიდევ 48 ვარსკვლავიან დროშებს.

სკალია: თუ დროშაზე 47 ვარსკვლავია, მაშინ იგი ალბათ გამოუსადეგარია, რადგან ასეთი დროშა არ არსებობდა არასდროს, ეს ხომ არ ნიშნავს...

დრიუ: ...ეს დამოკიდებული იქნება...

სკალია: ...იმაზე, რომ საკმარისია დროშიდან მოგხსნათ ერთი ვარსკვლავი და ყველაფერი რიგზე იქნება?

დრიუ: ეს იმაზე დამოკიდებული, თუ რას ვუწოდებთ დროშას. კონგრესის განმარტებით დროშა არის: „ვარსკვლავებისა და ზოლების ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც საკმარისია ადამიანისათვის, რომელიც უყურებს მას, ჩათვალოს იგი დროშად“. მე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა მგონია ის დროშა, რომელიც აქ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ არ დამითვლია, არის თუ არა მასზე 50 ვარსკვლავი.

სკალია: ე. ი. თქვენ ამბობთ, რომ 47 ვარ-



სკვლავი საკმარისია. მე მგონი, მართალი ბრძანდებით.

დრიუ: მინდა ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ მომენტზე. საქმე ეხება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილებას, რაშიც დაინტერესებულია ტეხასის შტატი. შტატის კანონმდებლობა მიიჩნევს, რომ საჯაროდ შეურაცხყოფას თან სდევს ძალადობის ესკალაცია. ჩვენ გავგიშართლა, რომ ჯონსონის ქმედებას არ მოჰყალიბა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. მსგავსი საქმეები შეიძლება ორი მიმართულებით წარიმართოს: ერთი, დროშის შეურაცხყოფა წამქეზებლური აქტია და მეორე, უნდა დამტკიცდეს არსებობდა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რეალური საფრთხე. ჩვენი მიზანია არა მხოლოდ დამნაშავეის დასჯა, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. ტეხასის შტატის უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ გააანალიზა ტეხასის სასამართლოს სტატუტი და დაადგინა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა არ მომხდარა. დიახ, ეს ასეა. ჯონსონის მოქმედებით შეურაცხყოფილ ხალხს არ მიუშართავს ძალადობისათვის. მაგრამ, ჩემი აზრით, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვიწრო ხასიათისაა.

სკალია: თქვენი თეორიის თანახმად, ცალკე სტატუტი უნდა გვექონდეს დავითის ვარსკვლავზე, ასევე ჯვარზე და ა. შ. ყველაფერზე, რასაც კი შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენონ.

დრიუ: სტატუტში არის სხვა ნაწილი, რომელიც იცავს ძეგლებს, სასაფლაოებსა და ღვთისმსახურების ადგილებს. ალბათ ძველი წარმოსადგენია, რომ ვინმემ სან-ანტონიოს ალამზე დაახატოს სვასტიკა.

კენედი: იმიტომ, რომ ეს საზოგადოებრივი საკუთრებაა. ზემოთ მოყვანილი მაგალითი უადგილოა, რადგან თქვენ იგნორირებთ უკეთებთ საკუთრების ტრადიციულ გაგებას, სიდანაც გამომდინარეობს, რომ დროშა საზოგადოებრივი საკუთრებაა.

დრიუ: ვფიქრობ, რომ მაგალითი არ არის უადგილო. მისტერ ჯონსონის საქმესთან დაკავშირებით ამერიკის სამოქალაქო უფლებათა კავშირის მიერ წარდგენილ განმარტებაში ნათქვამია, რომ პირველი შესწორება არ ვრცელდება ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილების შეურაცხყოფაზე როგორებიცაა სასაფლაოები, რელიგიური კულტმსახურების შესრულების ადგილები, რადგან ისინი ადამიანთა გან-

საზღვრულ ჯგუფს ეკუთვნის. ხოლო სახელმწიფო დროშა ერის წმიდა საკუთრებაა. მთავრობას უფლება აქვს ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებები, მაგრამ ანალოგიური უფლებები გააჩნია ხალხსაც. ჩვენ დროშას იმიტომ ვიცავთ, რომ იგი ეროვნული ერთიანობის მნიშვნელოვანი სიმბოლოა.

სკალია: დიახ, დროშას აქვს ასეთი ფუნქცია, მაგრამ არასოდეს არ მიფიქრია, რომ დროშა, რომელიც მე მაქვს შინ, ასევე თქვენი დროშაცაა.

დრიუ: ამ სასამართლოს მრავალმა მოსამართლემ არაერთხელ დაადასტურა, რომ დროშა ეროვნული საკუთრებაა. თუ სასამართლოს არა აქვს შეკითხვები, მე მინდა წარმოგიდგინოთ დამადასტურებელი საბუთები.

რენკისტი: კარგით, მისის დრიუ. გთხოვთ მისტერ, კანსტლერ.

უილიამ კანსტლერი: ბატონო თავმჯდომარე, პატივცემულო უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრებო! ზემოაღნიშნული კანონი დასჯად მოქმედებად მიიჩნევს კომუნიკაბელურ ასპექტს (ე. ი. არა თვით დროშის დაწვის აქტს, არამედ რეაქციას, რომელიც შეიძლება გამოწვეულიყოს მაყურებელში დროშის დაწვის გამო). შემდეგ მისის დრიუ აღიარებს, რომ სტატუტიდან უნდა ამოვიღოთ ის, რაზეც ლაპარაკობდა მისის ო'კონორი: ე. ი. შედის თუ არა ქმედების ჩამდენი პირის ინტერესებში ქმედების შემსწრე პირებისათვის შეურაცხყოფის მიყენება. დღევანდელ სასამართლოზე კი ეს სიტყვები ამოღებულია. ამაზე დაფუძნებული ბრალდება, მსაჯულებისადმი მიმართვაც და განაჩენიც.

სკალია: მისტერ კანსტლერ, თქვენ ახდენთ ზეწოლას. მისის დრიუმ თქვა, რომ აუცილებელია სახეზე გვექონდეს შეურაცხყოფის ფაქტი, მაგრამ არაა აუცილებელი, რომ იგი წინასწარი იყოს განზრახული...

კანსტლერი: ჩემთვის გასაგებია ეს დასაბუთება, მაგრამ ტეხასის შტატის რეზიუმეში სტატუტიდან ამოღებულ იქნა შეურაცხყოფის ცნება. შეიძლება მე სწორად ვერ გადმოვეცი მისის ო'კონორის არგუმენტაცია, მაგრამ საპასუხო რეზიუმეში არის სიტყვები: „დროშის დაწვა არის დროშის დაწვა“. მოსამართლე სკალია თავის განსაკუთრებულ მოსაზრებაში, რომელიც ეხება საქმეს „საზოგადოება უაილის წინააღმდეგ არაძალადობრივი ქმედებისათვის“ ამბობს: „ადამიანის კომუნიკაციური ბუნებიდან გამომდინარე ქმედების, ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადამიანის მიერ პოლიტიკური პროტეს-

ტის საჯაროდ გამოთქმის წინააღმდეგ კანონის გამოყენებას თან უნდა ახლდეს დასაბუთებული არგუმენტაცია მისი აუცილებლობის შესახებ, ისე, როგორც ამას მოითხოვს პირველი შესწორება“.

სკალია: მისტერ კანტლერ, მაშინ მე სააპელაციო სასამართლოში ვიყავი.

კანტლერი: ვიმედოვნებ, რომ სამსახურებრივ დაწინაურებას არ გამოუწვევია თქვენი შეხედულებების ცვლილება. ვიზიარებ თქვენს მტკიცებულებებს, ასევე ვუერთდები მოსამართლე ოკონორის აზრს, გამოთქმულს „ბუსი ბერის წინააღმდეგ“ საქმესთან დაკავშირებით, სადაც იგი ამბობს, რომ სახელმწიფო დანტერესებულია არა მარტო საჯაროდ გამოთქმული აზრის შინაარსით, არამედ იმითაც, თუ რა გავლენას მოახდენს იგი მსმენელზე.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ უყურებს ქუჩაში მყოფი ხალხი კონკრეტული პიროვნების მოქმედებას. სტატუტში ივულისხმებიან არა მარტო მოწმეები, არამედ ის პირებიც, ვინც სხვადასხვა ინფორმაციის წყაროების საშუალებით გაიგო აღნიშნული ფაქტის შესახებ.

საქმეში „სმიტი მოუგენის წინააღმდეგ“ მოსამართლე უაიტმა თქვა, რომ სტატუტმა უკანონოდ გამოცხადებული ქმედების კომუნიკატიური ასპექტი კანონის დარღვევის ელემენტად აქცია.

ჩვენ შემთხვევაშიც იგივე ხდება. ყველაფერი დამოკიდებულია, იმაზე, თუ როგორ უყურებს ქუჩაში მყოფი მყურებელი ამა თუ იმ ქმედებას. მოსამართლე სკალია უფრო შორს მიდის, როცა მყურებლის კატეგორიაში განიხილავს იმ ადამიანებსაც, რომლებმაც პრესის ან სხვა საშუალებებით შეიტყვეს აღნიშნული ფაქტის შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ სასამართლოს წინანდელ გადაწყვეტილებას, ეს ქმედება წმინდაწყლის პოლიტიკური პროტესტის გამოხატვად შეფასდა და აქ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ რა ხდება მაშინ, როცა კანონი დასჯადად მიიჩნევა ქმედების კომუნიკატურ მხარეს, მაშინ დღევანდელი სტატუტი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ხოლო, რაც შეეხება ეროვნული მთლიანობის საკითხს, ვფიქრობ, რომ იგი კარგადაა გადაწყვეტილი საქმით, სადაც და-

საელეთ ვირჯინიის პედაგოგიური საბჭო გამოდიოდა ბენეტის წინააღმდეგ. ამ საქმეში მოსამართლე რობერტ ჯეკსონმა თქვა: „თუ ჩვენ კონსტიტუციურ თანაფარსკვლავედში არის თუნდაც ერთი მუდმივი ვარსკვლავი, მაშინ არცერთ ოფიციალურ პირს არ შეუძლია შეცვალოს, ის, რაც საყოველთაოდ არის მიღებული“.

ჩენკვისტი: ...მაგრამ ბენეტის საქმის ფაქტებში მეტად განსხვავდება ჯონსონის საქმისაგან: იქ სტუდენტებისაგან დროშის მისაღმებას მოითხოვდნენ.

კანტლერი: აქ კი პირიქით, მოქმედების აკრძალვასთან გვაქვს საქმე.

ჩენკვისტი: დიახ.

კანტლერი: ვფიქრობ, ეს ორი სიტუაცია მსგავსია.

ჩენკვისტი: ვფიქრობ, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თქვენეული ლოგიკით, თუ აკრძალულია ერთი ქმედების ჩადენა, აქედან უნდა გამომდინარეობდეს, რომ აკრძალულია მეორე ქმედებაც. ჩემი აზრით კი, შეიძლება მარტივად ვთქვათ: ერთი ქმედება აკრძალულია, მეორე კი — არა.

კანტლერი: ეს მესმის, მაგრამ „სტრიტი ნიუ-იორკის შტატის წინააღმდეგ“ საქმეში გაკეთდა სწორედ ის, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. სტრიტმა დაწვა დროშა 1966 წელს მისისიპიში ჯეიმს მერედითის მკვლელობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ჩენკვისტი: რა გადაწყვიტა სასამართლომ სტრიტის საქმესთან დაკავშირებით?

კანტლერი: სასამართლომ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია განსაზღვროს ეს ქმედება: საჯარო პოლიტიკური პროტესტის განცხადება იყო თუ საკუთრივ დროშის დაწვა. მაგრამ იმავდროულად სასამართლომ თქვა, რომ მხოლოდ დროშისადმი პატივისცემის გამოხატვის მოთხოვნა და დროშის საშუალებით პროტესტის ან კრიტიკის გამოთქმის აკრძალვა თვით დაწვამდეც კი, არაკანონიერია. ჩვენ რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გვაქვს ამ ფაქტებთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება ადამიანი ვაიძულოთ მიესალმოს დროშას, მაგრამ შეიძლება ავუკრძალოთ საჯაროდ გამოხატოს დროშის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

ჩენკვისტი: ალბათ...

კანტლერი: ...არ ვიცი დაგარწმუნეთ თუ არა, მაგრამ...

ჩენკვისტი: შეიძლება თქვენ სხვები დაარწმუნეთ. მაგრამ ავიღოთ საქმე — „ვიცხოვროთ თავისუფლად თუ მოკვდეთ“. იქ ჩვენ ვთქვით,

¹ სასამართლომ დაამტკიცა, რომ მასაჩუსეტის შტატის სტატუტი, რომელმაც აკრძალა ამერიკის დროშის შეურაცხყოფა, არაკონსტიტუციურია.

რომ ნიუ-ხემპშირის შტატს არ შეუძლია მოსთხოვოს ავტომობილის მფლობელებს ნომრებზე დააწერონ დევიზი „ვიცხოვროთ თავისუფლად ან მოკვდეთ!“. მაგრამ შტატს შეუძლია აკრძალოს სანომრე ნიშნებზე სხვაგვარი წარწერების გაკეთება.

კანსტლერი: რამდენადაც მასსოვს, იელოვას მოწმეთა სექტის წევრებს არ სჯეროდათ ამ დევიზის, ამიტომაც გადალბეს წარწერები.

რეკვიზიტი: სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ შეიძლება ვინმე ვაიძულოთ გააკეთოს საჯარო განაცხადი, მაგრამ თუ ვინმე მოისურვებს ასეთი წარწერიანი ნომრები გაუკეთოს მანქანას, იგი ამას ვერ შეძლებს.

კანსტლერი: ამ პუნქტში გეთანხმებით, მაგრამ ეს ეხება სანომრე ნიშანზე რაიმე უხამსის მოთავსებას, ხოლო იელოვას მოწმეებს უბრალოდ უნდოდათ შტატის დევიზის გადალბვა. თავისი არსით ესეც დროშის დაწვაა.

რეკვიზიტი: ჩვენი აზრები ამ პუნქტებში განსხვავდება ერთმანეთისაგან.

კანსტლერი: დღეს უზენაეს სასამართლოს შენობაზე დროშები წვიმაში გამოფინეს, რაც ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის 36-ე პარაგრაფს ეწინააღმდეგება.

კენედი: არსებობს ერთი გამოჩაქვითი, რომელიც გულისხმობს, რომ დროშის გამოფინა ყოველგვარ ამინდში შეიძლება.

კანსტლერი: ტეხასის შტატის სტატუტით მსგავსი მოქმედება დროშისადმი ცუდ ფიზიკურ მოპყრობად ითვლება.

მარშალი: მისტერ კანსტლერ! შეგიძლიათ დაუბრუნდეთ განსახილველ საქმეს?

კანსტლერი: დიახ, მე ვუბრუნდები საქმეს...

სტივენსი: მისტერ კანსტლერ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს წესი, რომლის თანახმადაც არ შეიძლება დროშის გამოფინა წვიმაში, ასევე აკრძალულია მისი თავდაყირა გამოფინა.

კანსტლერი: არ ვიცი, არა მგონია ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან ეს არ ეკუთვნის სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ეს მხოლოდ რეკომენდაციაა. ადრე ამბობდნენ, რომ არ შეიძლება დროშა ღამით ვაფრილოთ, მაგრამ ახლა, როცა ქუჩები განათებულია, ეს დასაშვებია.

სტივენსი: თვლით თუ არა, რომ ფედერალურ მთავრობას შესაძლებლობა აქვს არაგულისხმობს დროშის გამოფინის უფლება საჯარო ადგილებში?

კანსტლერი: არა მგონია...

კენედი: შეუძლია თუ არა ფედერალურ მთავრობას აკრძალოს დროშის გამოფინა საჯარო ადგილებში?

ვრობას აკრძალოს დროშის გამოფინება კომერციული მიზნებისათვის ან რეკლამებისათვის?

კანსტლერი: არ ვიცი. „პოლტერი ნებრასკის შტატის წინააღმდეგ“ საქმეში ლაპარაკი იყო იმ სტატუტზე, რომელიც კრძალავდა ლუდის ქილებზე დროშის გამოხატვას. ამიტომ მე ვერ გიპასუხებთ ამ კითხვაზე. ერთხანს ბარბარა ბუში ატარებდა ამერიკის დროშის მსგავს შარფს. არსებობს აგრეთვე საცელები დროშის გამოსახულებით და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ ტეხასის შტატის სტატუტით, ეს დროშებია...

სტივენსი: როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა კანონიერი უფლება შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეს დაადონ დისციპლინური პასუხისმგებლობა დროშის საჯარო შეურაცხყოფისათვის?

კანსტლერი: ამ შემთხვევაში თქვენი არაგუმენტაცია დამაჯერებელია.

სტივენსი: ეს თქვენ უნდა დაასაბუთოთ.

კანსტლერი: სამხედრო მოსამსახურეთა შემთხვევაში დროშას სპეციფიკური ხასიათი აქვს. ვფიქრობ, თუ ჯარისკაცმა გაანადგურა დროშა, რომელიც არმიის საკუთრებაა, იგი უნდა გადაეცეს სამხედრო სავსე სასამართლოს, დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოქმედება სამხედრო კოდექსის დარღვევაა, რომელიც უკრძალავს მეომარს, სამხედრო პირისათვის შეუფერებელი მოქმედების ჩადენას.

სტივენსი: მიმაჩნია, რომ არსებობდა რიაც იდენტური სახელმწიფო ინტერესი.

კანსტლერი: დიახ, მაგრამ მე არ მინდა, რომ თქვენ არასწორი წარმოდგენა შეგექმნათ.

სტივენსი: ვფიქრობ, თქვენ აღიარებთ, რომ ის არის...

კანსტლერი: მე ამას არ ვამბობ. ვეცადე იგი ჩვენი შემთხვევისათვის გამომეყენებინა.

სტივენსი: მაგრამ თქვენ ეს თქვით.

კანსტლერი: ვიცი. ძალიან კარგად ვიცნობ პირველ შესწორებასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, არც ერთ საქმეს, რომელიც დაკავშირებული იყო დროშასთან და რომელიც ამავე სასამართლომ განიხილა, არ ახლდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. გამოჩაქვითია საქმე „მონრო ფულტონის ოქლის წინააღმდეგ“, სადაც ერთ-ერთი მაყურებელი წაეჩხუბა დროშის დამწველ პიროვნებას. მოსამართლე ტატლმა ხაზი გაუსვა, რომ ეს შემთხვევა არ წარმოადგენდა აშკარა და უშუალო საფრთხეს.

რეკვიზიტი: ავიღოთ საქმე „ფაინერო ნიუ-იორკის შტატის წინააღმდეგ“, სადაც ერთმა პიროვნებამ სირაკუსაში გამოსვლისას პრეზიდენტ ტრუმენს უსაქმური უწოდა. მას მოსთხოვეს

შეეწყვიტა გამოსვლა. შეშინებულმა ორატორ-
მაც გამოსვლა სასწრაფოდ შეწყვიტა.

კანსტლერი: ეს არაფერს არ ცვლის, რადგან
ეს საქმე არ განსხვავდება საქმისაგან „ტერ-
მინელო ქალაქ ჩიკაგოს წინააღმდეგ“.

რენკვისტი: მაგრამ ეს იყო ტერმინელოს საქ-
მის შემდეგ, შედეგად სხვა იყო.

კანსტლერი: ვიცი, მაგრამ ჩანს, გარდაუვალი
მუქარა იმდენად...

რენკვისტი: ...გარდაუვალი?

კანსტლერი: გმადლობთ, მუქარა იყო გარდა-
უვალი. მაგრამ როდესაც ვკითხულობდი შენი-
შვნებს ტერმინელოს შესახებ სტენოგრაფის გა-
შიფრულ ტექსტში, ცხადი იყო, რომ მან რამ-
დენჯერმე აიცილა თავიდან საფრთხე. როგორც
ჩანს, მას რაღაც ესროლეს, როცა იგი ღრია-
ლითა და ხელების ქნევით გამოდიოდა ებრა-
ელთა წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლომ გადაწყ-
ვიტა, რომ ეს არ იყო საკმარისი. მაგრამ არც
საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და არც
საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის უშუალო
საფრთხე იქ არ ყოფილა.

ბლეკმანი: მაშინ ჩვენ ვუახლოვდებით სკო-
ის საქმეს.

კანსტლერი. დიახ, სკოის საქმეში მუქარა
აშკარა იყო ნეოფაშისტებმა სცადეს მარშით
გაეცვლით ებრაელებით დასახლებულ რაიონში.
მიუხედავად ამისა, მისი შეჩერება შეუძლებე-
ლე იყო.

ბლეკმანი: სწორედ ამის თქმა მიინდა.

კანსტლერი: თუ თქვენ გინდათ დასაწყისში-
ვე აღკვეთოთ ეს, მაშინ, როგორც თავმჯდომე-
რემ ბრძანა, აუცილებელია, რომ საზოგადოებ-
რივი წესრიგის დარღვევის საფრთხე გარდაუ-
ვალი იყოს, ე. ი. საშიშროება უნდა იყოს აშ-
კარა და ძალიან დიდი. მითუმეტეს, რომ ტეხა-
სის შტატის სტატუტი არ შემოიფარგლება მხო-
ლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის
საფრთხის ფიქსირებით: მასში უბრალოდ ნათ-
ქვამია: „...როცა მოქმედების ჩამდენმა იცის,
რომ თავისი ქმედებით იგი სერიოზულ შეუ-
რაცხოფას აყენებს არა მარტო იმ პირს ან პი-
რებს, ვინც უშუალოდ ესწრება აღნიშნულ აქ-
ციას, არამედ იმათაც, ვინც სხვადასხვა საშუა-
ლებით გაიგებს ამის შესახებ“. ტეხასის შტატის
სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამ
სტატუტის ფორმულირება, იმდენად „ფართოა,
რომ იგი შეიძლება გამოვიყენოთ იმ მოქმედე-
ბაზე პასუხსაგებდაც, რომელთაც არ აქვს სა-
ზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განზრახ-
ვა“. სერიოზული შეურაცხყოფა ყოველთვის
როდი იწვევს წესრიგის და სიმშვიდის დარღ-
ვევას. ამ შემთხვევაში პროტესტს არ გამოუწყ-

ვევია საპასუხო ძალადობის ფაქტი. დროშის
დაწვის მოწმე იმდენად შეურაცხყოფილი იყო
ბრალდებულის ქმედებით, რომ მან მოაგროვა
დამწვარი დროშის ნარჩენები და თავისი სახ-
ლის ახლოს დამარხა. აი, რამდენად დიდი იყო
შეურაცხყოფა, მაგრამ მას არ მიუმართავს ძა-
ლადობისათვის. შეურაცხყოფის ფაქტი მოხდა,
მაგრამ მას არ გამოუწყვევია საზოგადოებრივი
წესრიგის დარღვევა. შეუძლებელია ეს ორი
საზოგადოებრივი მოვლენა ისე განვიხილოთ,
თითქოს ერთს აუცილებლად მოჰყვება მეორე,
ე. ი. ეს არის ორი ურთიერთგანპირობებული
ან თანმდევი მოვლენა.

რენკვისტი: რა ედებოდა ბრალად ჯონსონს
მაშინ, როცა საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამარ-
თლოს წარუდგინეს?

კანსტლერი: საბოლოოდ მას ბრალი ედებოდა
დროშის დაწვაში. თავიდან კი ბრალდებოდა სა-
ზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. შემდეგ აღ-
მოჩნდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარ-
ღვევის ბრალდება მას დროშის შეურაცხყოფის
ბრალდებით შეეცვალა...

მინდა დავამთავრო ორი შენიშვნით: პირვე-
ლი, მოსამართლე ჯეკსონმა „ბარნეტის“ საქმეში
თქვა: „ისინი, ვინც უთანხმოების იძულებითი
განადგურებით იწყებენ, მალე აღმოჩნდებიან
მათ შორის, ვინც მათთან უთანხმოებაში მყო-
ფებს ანადგურებენ. ახრთა იძულებით უნიფი-
კაციას მხოლოდ სასაფლაოს თანხმობასთან მიე-
ყვართ... ჩვენი კონსტიტუციის პირველი შეს-
წორების დანიშნულებაა მსგავსი ფინალების
თავიდან აცილება ასეთი წამოწყებიდან თავის
დაღწევით“. ხოლო ახლახანს ყურნალ „ნიუ-
იორკ ტაიმსში“ სათაურით „ჩიკაგოში, წმინდა
ომი დროშისათვის“, ენტონ ლუკასმა თქვა:
„როგორ ტკივილსაც უნდა გვაყენებდეს სიტყ-
ვის თავისუფლება, ესაა პრინციპი, რომლის
გამოც, არ შეგვიძლია არცერთი პოზიციის დათ-
მობა“. მესმის, რომ ამ დროშას ღრმა მნიშვნე-
ლობა აქვს ზოგიერთი ადამიანისათვის, მაგრამ
ეს არ ნიშნავს, რომ იგივე დროშა იმგვარადვე
მნიშვნელოვანია სხვა ადამიანებისთვისაც. პირ-
ველი შესწორების თანახმად ყველას აქვს უფ-
ლება გამოხატოს თავისი აზრი გარკვეული მოქ-
მედებებით და ამას ტეხასის შტატი განიხილავს
წმიდა, თავანსაცემ ობიექტის შეურაცხყოფად.
პირველი შესწორება მოწოდებული იყო საიმი-
სოდ, რომ იმას, რაც ჩვენთვის მიუღებელია
მაგალითად, ტერმინელოს შენიშვნები ან დრო-
შის დაწვა და ბევრი სხვა — ადგილი ჰქონდა
იდეთათა ბაზარზე. მე ვთხოვ სასამართლოს, ძა-
ლაში დატოვოს ტეხასის შტატის სააპელაციო
სასამართლოს გადაწყვეტილება. გმადლობთ.



რენკვისტი: მადლობას მოგახსენებთ, მისტერ კანსტლერ. მისის დრიუ?

დრიუ: გმადლობთ, ...თუ სწორად გავიგე მისტერ კანსტლერის დათმობა, ჩემთვის გაუგებარია თუ როგორ შეიძლება დავიცვათ სახელმწიფოს კუთვნილი დროშები, და შეუძლებელია დავიცვათ დროშა, რომელიც არ არის მთავრობის საკუთრება და რომლის ხელყოფამაც შეიძლება

გამოიწვიოს საზოგადოებრივი წესრიგის დაზარალება და სიმბოლოს შეურაცხყოფა. თუ სასამართლოს აღარ აქვს შეკითხვები ამით დაგამთავრებ.

რენკვისტი: გმადლობთ, მისის დრიუ. საქმე წარდგენილია სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტად.

მოსმენიდან სამი თვის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ ტეხასის შტატის სტატუტი დროშის დაწვის თაობაზე არღვევს ადამიანის უფლებას სიტყვის თავისუფლების შესახებ, რომელიც გარანტირებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით.

ფურნალი „ჰაპერს მეგეზინი“.

ფურნალი „ჰაპერს მეგეზინი“.



რედაქციის მისამართი: 880048, თბილისი, გრიგოლშვილის 19

© „სამართალი“, 1992 წ.

გადაეცა წარმოებას 10.11.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.02.93 წ.

ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.05. შეკვ. 1975. ტირ. 4.400

საქართველოს მუხრან-გაზეთების გამომცემლობა „საზოგადო“ სტამბა, 880009, თბილისი, მ. კოსტავას 14

671/27